

ჯამბულ ფუტკარაია

სამართლის ფილოსოფია

შესავალი ნაწილი

ჯამბულ ფუტკარაია



სამართლის ფილოსოფია

შესავალი ნაწილი

(ძველი სამყარო)

1472

თავი I. სამართლის ფილოსოფიის საბანი,
მეთოდი და სისტემა

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ასოცირებული პროფესორის ჯამბულ შოთას ძე ფუტყარაიას კალამს ეკუთვნის არაერთი მონოგრაფია, სახელმძღვანელო და თარგმანი პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიასა და სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში. მის მიერ გამოქვეყნებულმა ფილოსოფიურ-სამართლებრივი და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის შრომებმა ჩვენი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ბატონ ჯამბულ ფუტყარაიას მიერ გამოცემული ნაწარმოებებიდან გამოსაყოფია: პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია (ლექციების კურსი) 1996 წ.; სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები 1997 წ.; ვაჟა-ფშაველას პოლიტიკური შეხედულებების შესახებ 1998 წ.; ნიკოლო მაკიაველი „მმართველი (თარგმანი) 1999 წ.; ადრეფეოდალური ბიზანტიის პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები 2000 წ.; ფრიდრიხ ჰეგელი „გერმანიის სახელმწიფოს სამართლებრივი მოწყობა“ (თარგმანი) 2000 წ.; სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ჰეგელის პოლიტიკურ ფილოსოფიაში 2001 წ.; ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებისა და სამართლის ისტორია 2001 წ.; ნიკოლოზ ბერდიაევის პოლიტიკური შეხედულებების გაგებისათვის 2002 წ.; გონის „კატეგორიული იმპერატივის“ პრინციპი იმანუელ კანტის სამართლებრივ აზროვნებაში“, 2003 წ.; ნიკო დადიანის „დასტურლამას“ მნიშვნელობა ქართული სამართლის ისტორიაში, 2004 წ.; ლიბერალიზმი და ქართული სახელმწიფო 2005 წ.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს შესავალ ნაწილს „სამართლის ფილოსოფიაში“. მასში ძირითადად განხილულია ძველი სამყაროს სამართლის ფილოსოფიის საკითხები. წიგნი შექმნილია ავტორის მიერ სახელმწიფო თუ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში წაკითხული ლექციების საფუძველზე. იგი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. მოცემული შრომა დამხმარე სახელმძღვანელოს სახით ეძღვნება სამართლის ფილოსოფიას, რომელიც ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე იკითხება როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა.

© ჯ. ფუტყარაია, 2006

ISBN 97716-911-4-2

თანამედროვე პირობებში დამოუკიდებელ სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინად აღიარებულ სამართლის ფილოსოფიას ხანგრძლივი და მეტად მდიდარი ისტორია გააჩნია. იგი არსებობას იწყებს იმ დროიდან, როდესაც სახელმწიფოებრიობის ეპოქაში მცხოვრებ საზოგადოებაში ოფიციალური ხელისუფლების სამართლებრივი იდეოლოგიის გვერდით აღმოცენდა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებული სამართლებრივი შეხედულებანი სამართლიანობაზე და უსამართლობაზე, თავისუფლებაზე და მონობაზე. ადამიანებს იმთავითვე აინტერესებდათ თუ რაში ვლინდებოდა საერთოდ სამართლის არსი, მნიშვნელობა, დანიშნულება და თავისებურებანი, რა დამოკიდებულება არსებობდა არსებული სამართლის ნორმებსა, რელიგიურ ნორმებსა და ჩვეულებით ნორმებს შორის და აქედან გამომდინარე რაში გამოიხატებოდა ის განსხვავება, რომელიც არსებობდა პოზიტიურ ანუ დადებით, ლეგიტიმურ და ე. წ. ბუნებით სამართალს შორის, ზემოჩამოთვლილი სამართლის სახეებიდან რომელი უნდა მიჩნეულიყო ჭეშმარიტ სამართლად, რა განსხვავება არსებობდა სამართალსა და კანონს შორის და რაც მთავარია, ხელისუფლების მიერ შემოღებული პოზიტიური სამართალი თუ რამდენად იცავდა საზოგადოების ამა თუ იმ ფენისა თუ ცალკეული ინდივიდის უფლებებს.

მოცემული საკითხების ირგვლივ საუკუნეების მანძილზე არაერთ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, ფილოსოფოსს, თეოლოგს, იურისტსა და ისტორიკოსს გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება, რომელნიც ხშირად დიამეტრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ თვალში საცემი იყო ის ფაქტი, რომ ამ პრობლემებით უპირატესად ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და იურისტები იყვნენ დაინტერესებულნი. მათ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია და აი, XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად იქნა შემოტანილი სიტყვა „სამართლის ფილოსოფია“. სამართლის ისტორიული სკოლის ფუძემდებელმა გერმანელ

მა იურისტმა გუგომ სწორედ რომ პირველმა ახსენა ეს ტერმინი თავის შრომებში. მისივე აზრით სამართლის ფილოსოფია მოწოდებული იყო ფილოსოფიურად შეესწავლა დადებითი ანუ პოზიტიური სამართალი, ხოლო საერთოდ იურიდიული მეცნიერება სამ ძირითად ნაწილად იყოფა: 1. იურიდიული დოგმატიკა; 2. სამართლის ფილოსოფია; 3. სამართლის ისტორია. იურიდიული დოგმატიკა დაკმაყოფილებოდა სამართლის ემპირიულად შესწავლით, სამართლის ფილოსოფია და სამართლის ისტორია კი სამართალს შეისწავლიდნენ გონიერულ და მეცნიერულ საწყისებზე. ე. ი. გუგოს მიხედვით სამართლის ფილოსოფია გაგებული უნდა ყოფილიყო როგორც უპირატესად იურიდიული დისციპლინა.

ტერმინ „სამართლის ფილოსოფიის“ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებას, ასევე მის ცალკე სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ცნობილი გერმანული ფილოსოფიის ფრიდრიხ ჰეგელის საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომის „სამართლის ფილოსოფიის“ (1820 წ.) გამოვლამ. მოცემულ შრომაში ჰეგელი აწვდის გუგოსაგან განსხვავებულ შეხედულებას და აცხადებს, რომ სამართლის ფილოსოფია წარმოადგენს არა იურიდიულ დისციპლინას, არამედ, ფილოსოფიურ დისციპლინას, სამართლის ფილოსოფია ეს არის სამართლის ნამდვილი მეცნიერება, რომელიც ფილოსოფიის ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული. ჰეგელი აქვე აკონკრეტებს სამართალს ფილოსოფიის საგანსაც და აცხადებს რომ „სამართალზე არსებულ ფილოსოფიურ მეცნიერებას თავის საგნად გააჩნია სამართლის იდეა – სამართლის არსი და მისი განხორციელება“. სამართლის ფილოსოფიის ამოცანას შეადგენს სამართლის საწყისებში არსებულ იდეაში ჩაწვდომა, ხოლო ამის მიღწევა შესაძლებელია სამართლის მხოლოდ ფილოსოფიური კუთხით შესწავლით „სამართალში ადამიანმა უნდა მოიძიოს თავისი გონი, აქედან გამომდინარე გაანალიზოს სამართლის გონიერება და ამით დაკავებულია ჩვენი მეცნიერება განსხვავებით პოზიტიური იურისპრუდენციისაგან, რომელსაც ხშირად საქმე აქვს მხოლოდ დაპირისპირებებთან“. ასკენის იგი. ე. ი. სამართლის ფილოსოფიის საგანია სამართლის ფილოსოფიური თეორია, იდეა, აზრი.

უნდა აღინიშნოს რომ ზემოთმოყვანილი ორი მიდგომა სამართლის ფილოსოფიის საგნისადმი წითელი ზოლივით გასდევს მთელი XIX-XX საუკუნეების ფილოსოფიურ-სამართლებრივ აზროვნებას, ამგვარი პოზიცია არსებობს დღესაც, რომ იტყვიან მეცნიერული დილემა – ფილოსოფიურ თუ იურიდიულ დისციპლინას წარმოადგენს. სამართლის ფილოსოფია გადაუჭრელია, მაგრამ ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ სამართლის ფილოსოფია სამართლის სოციოლოგიასთან და სამართლის ანთროპოლოგიის გვერდით უკვე ორი საუკუნეა ყალიბდება დამოუკიდებელ სამეცნიერო და საწავლო საგნად, რომელიც სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში და რომლის შესწავლის ობიექტია სამართალი თავისი მრავალსახეობით, სიღრმითა და მნიშვნელობით. ცხადია ისიც, რომ თანამედროვე ცხოვრებაში „სამართლის ფილოსოფია“ ჩამოყალიბებულია როგორც ფილოსოფიური ხასიათის იურიდიული დისციპლინა, ანუ მასში შენარჩუნებული არის მისი ფუძემდებელი ორი გერმანელი მოაზროვნის მთავარი პრინციპები, რაზედაც მიგვითითებს თვით მისი სახელწოდება „სამართლის ფილოსოფია“. ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღევანდელ პირობებში სამართლის ფილოსოფია ეს არის ფილოსოფიური ხასიათის დამოუკიდებელი იურიდიული დისციპლინა, რომელსაც სამართლის თეორიის, სამართლის ისტორიის, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის, სამართლის სოციოლოგიის, შედარებითი სამართლის და სამართლის ანთროპოლოგიის გვერდით ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათი და დანიშნულება გააჩნია, და რომლის მეცნიერული კვლევის ობიექტი ანუ საგანია სამართალი საერთოდ.

ჩვენი მხრივ დარწმუნებული ვართ, რომ სამართლის ფილოსოფიის ახლო მომავალში საქართველოში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა, იგი გახდება ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის იურიდიული დისციპლინების განმსაზღვრელი საგანი, ვინაიდან სამართლის თეორია როგორც ცნობილია იკვლევს და განაზოგადებს უშუალოდ პოზიტიური სამართლის არსს, წყაროებს, დანიშნულებას, სისტემას, ამოცანებს და მნიშვნელობას, სამართლის ისტორიის კვლევის ობიექტია სამართლის ისტორიული განვითარება წარმოშობიდან დღემდე, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია,

იგივე სამართლებრივი იდეების ისტორია შემოფარგლულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდეგ შემუშავებული სამართლებრივი იდეებისა თუ კონცეფციების ისტორიული გადმოცემით, ასევე საკუთარი სპეციფიკური მიდგომა ახასიათებთ სამართლისადმი შედარებით სამართალს, სამართლის სოციოლოგიას და სამართლის ანთროპოლოგიას, ხოლო ზემოჩამოთვლილი დისციპლინებისაგან განსხვავებით სამართლის ფილოსოფია, მოწოდებულია ყოველგვარი მიკერძობებისა და სუბიექტურობის გარეშე უშუალოდ ფილოსოფიის პოზიციებიდან შეისწავლის სამართალი მთლიანობაში, მისი არსი და დანიშნულება, სამართლის წყაროები, ტიპები, სახეები, თეორიები, სისტემები და ა. შ. ანუ უნდა შეაჯეროს სამართლის ირგვლის არსებული მთელი ოფიციალური თუ არაოფიციალური იდეები სამართლის ჭეშმარიტი სახის წარმოსაჩენად, ისტორიული და იურიდიული მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით. ე. ი. სამართლის ფილოსოფია თავის თავში აერთიანებს არა ორი განსხვავებული დისციპლინის — ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის ცალკეულ საწყისებს, არამედ აქ წარმოდგენილია სამი დამოკიდებული დარგის — ფილოსოფიის, იურისპრუდენციის და ისტორიის მიღწევები. იურისპრუდენციის სფეროში (ცალკე საუბრის თემა თეოლოგიის წვლილიც) რაც ჩვენ მხედველობის გარეშე არ უნდა გამოვგრჩეს და რაც სამართლის ფილოსოფიას იურიდიულ დისციპლინებს შორის საპატიო და გამორჩეულ ადგილას უმკვიდრებს. ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სამართლის ფილოსოფიის გარეშე წარმოუდგენელია იურიდიული მეცნიერება საერთოდ და მაშინ როდესაც იურიდიული მეცნიერების ყოველი დარგი ვალშია სამართლის ფილოსოფიის წინაშე (მსგავსად სამართლის თეორიისა) ეს გარემოება მოცემულია დისციპლინის მეცნიერულ და დარგობრივ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

სამართლის, როგორც ერთ-ერთ უძველეს და უმთავრეს საზოგადოებრივ მოვლენას იურიდიული მეცნიერების თითქმის ყველა დარგი სწავლობს, მაგრამ არ არის დასამალი ისიც, რომ ეს დარგები უპირატესად დადებითი ანუ პოზიტიური სამართლის შესწავლითა და გაანალიზებით შემოიფარგლებიან, ამავე დროს ისინი მას იურიდიულ-ანალიტიკური მეთოდის მოშველიებით ოფიციალურ-სახელისუფლებო პოზიციებიდან სწავლობენ, რასაც ბუნებრივია დი-

დი თეორიული პრაქტიკული და სამეცნიერო დანიშნულება გააჩნია, მაგრამ უპირატესად პოზიტიური სამართლის ოფიციალური შეფასების გვერდით სამეცნიერო არეალის ორბიტაში არ ექცევა საერთოდ სამართლის მთელი რიგი საკითხები და პრობლემები, რომელთაც თეორიული და ფილოსოფიური მნიშვნელობა გააჩნიათ. სწორედ ეს საკითხები და პრობლემები შეადგენს სამართლის ფილოსოფიის შესწავლის საგანს. ადამიანებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სურთ მოიძიონ ჭეშმარიტება, ხოლო სამართლის ფილოსოფია მოწოდებულია ფილოსოფიურად შეისწავლოს და გაანალიზოს სამართალში არსებული ჭეშმარიტება, რომლის პროცესშიც მან ობიექტურად უნდა გააშუქოს სამართლის ირგვლივ არსებული ფილოსოფიურ-სამართლებრივი შეხედულებები და იდეები, მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური თუ თანამედროვე სამართლის ფილოსოფიის საკითხები, სახელმწიფოებრივი, რელიგიური, ჩვეულებით თუ ზნეობრივი ნორმების ასევე კანონისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები, სამართლებრივი კანონებისა თუ სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციები, ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებაში არსებული ძირითადი ელემენტები, სამართლის უმთავრესი პრინციპები და ა. შ.

დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე უკვე დიდი ხანია ცალკე იურიდიულ დისციპლინად იკითხება სამართლის ფილოსოფია, რომელიც სწორედ ზემოთჩამოთვლილი საკითხების შესწავლაზეა ორიენტირებული, უკანასკნელ წლებში კი როგორც ცხოვრება გვიჩვენებს სამართლის ფილოსოფია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებშიც იკიდებს ფეხს, თუმცა კვლავაც უნდა ავლნიშნოთ ის გარემოება, რომ მოცემული დისციპლინის ირგვლივ ადგილი ჰქონდა და დღესაც გრძელდება მეცნიერული კამათი ვინაიდან იგი სამი სხვადასხვა დისციპლინის იურისპრუდენციის, ისტორიისა და ფილოსოფიის ამა თუ იმ საწყისებს აერთიანებს, ხომ არ ვალიაოთ იგი საგანთშორის დისციპლინად ან ფილოსოფიურ დისციპლინად, ანდა უკეთეს შემთხვევაში იურიდიულ საგნად. მეცნიერები ამ საკითხზე საბოლოოდ არ შეთანხმებულან, მაგრამ რადგანაც სამართლის ფილოსოფია ძირითადად იკითხებოდა და იკითხება იურიდიული ფა-

კულტურებზე, ვფიქრობთ რომ ამით იურისპრუდენციამ საკითხი თავის სასარგებლოდ გადასწონა. არ არის დასამალი ისიც, რომ ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური, სამართლებრივი სისტემები მუდმივად ებრძვიან ერთმანეთს, რომლის დროსაც მეცნიერებას ერთი დარგი მისდაუნებურად იჭრება მის მონათესავე, რომელიმე დარგში, შეაქვს ბევრი პროგრესული იდეა მასში, ასევე ბევრ რამეს იღებს მისგან და ამით თითქოსდა საკუთარ თავს აახალგაზრდავებს. ამგვარი მომენტები კი ნამდვილად ახასიათებს ფილოსოფიას, თეოლოგიას, იურისპრუდენციას, პოლიტოლოგიას, ისტორიას (მაგალითად, ფილოსოფია-იურისპრუდენციას, ფილოსოფია-ისტორიას, თეოლოგია-ფილოსოფიას, იურისპრუდენცია-პოლიტოლოგიას) ასეთ შემთხვევაში მეცნიერთა წინაშე დგება მეცნიერების ერთ დარგის მეორე დარგისაგან გამოჯვანის მეტად რთული პრობლემა. მაგრამ ამგვარ პირობებში ყურადღება უნდა მიექცეს ორი მეტოქე დარგის ძირითად პრინციპებს, სისტემას, საგანს, წყაროებს, მათს მიერ გამოვლილ ისტორიას და ა. შ. ვინაიდან ცნობილია, რომ ამა თუ იმ მეცნიერებას ცნების არსში მოიაზრება მისი ფორმა, სისტემა, საგანი, მეთოდი, მთელი მისი თავისებურებანი. ცალკეადებულ მეცნიერების ნებისმიერ დარგს და სასწავლო დისციპლინას ახასიათებს მუდმივი განვითარება (კონსერვატიზმი აქ მიუღებელია) მეცნიერული კვლევა-ძიება მხოლოდ მიღწეულით არ კმაყოფილდება, მოქმედებს დიალექტიკის კანონები — ყოველი მეცნიერების განვითარებისა და შემეცნების სული. ფილოსოფია, იურისპრუდენცია და ისტორია კი პირველ რიგში ვერ უარყოფენ დროის, რეალობის, ფაქტის მოვლენების უარყოფას, რადგანაც ვერავენ უარყოფს იმ დებულებას, რომ ყოველგვარ დრომოჭმულის, უმართებულოსა და დახავსებულის უარყოფა ცხოვრების აქსიომაა, ხოლო დღევანდელი იურიდიულ მეცნიერების ინტერესები მოითხოვს რომ გაირკვეს „სამართლის ფილოსოფიის“ როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგის და როგორც სასწავლო დისციპლინის ფარგლები უფრო ნათლად ვიდრე ეს დღემდე იყო მიჩნეული და აქ უპირატესობა ალბათ ახალგაზრდა მკვლევრებს უნდა დაეთმოს. როგორც დიდი გოეთე ამბობს „მეცნიერებაში ზნაი ადამიანი მოუსყიდველია, მის საღ თვალს ერთბაშად შეუძლია დაინახოს ის რასაც შეჩვეული თვალი უკვე ვერ ხედავს“. თუმცა გასათვალისწინებ-

ლია ის მომენტიც, რომ „სამართლის ფილოსოფიაში“ ვერავენ იქნება უკანასკნელი მოჰიკანი“ აქ ფრიად მიუღებელია მეცნიერული აზიერებულობა და სიფიცხე, დილეტანტობა“ და ფსევდომეცნიერული „ფუსფუსი“, საჭიროა ფართო მეცნიერული დიაპაზონი, სიღინჯე და წინდახედულობა, ასევე სერიოზული მეცნიერული ჰიპოთეზები და არგუმენტები, რომლებიც გაუძლებენ ობიექტურ მეცნიერულ შემოწმებას.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე აქვე ზედმეტი არ იქნება თუ ჩვენ მკითხველს მოკლედ გავაცნობთ სამართლის ფილოსოფიის პრობლემებზე გასულ საუკუნეში მომუშავე მკვლევარების შეხედულებებს სამართლის ფილოსოფიის საგნის ირგვლივ.

ცნობილი ავსტრიელი იურისტი ა. ვერდროსი როდესაც ეხება სამართლის ფილოსოფიის ამოცანებს აღნიშნავს, რომ „სამართლის ფილოსოფია, როგორც იურიდიული დისციპლინა არ უნდა დაკმაყოფილდეს პოზიტიური სამართლის თეორიით, მან პოზიტიური სამართლის სავალდებულობას უნდა მოუძებნოს ზნეობრივ-ფილოსოფიური გამართლება, რომელსაც ვერ შეძლებს იურიდიული პოზიტივიზმი, მათ შორის კელზენისეული ნორმატივიზმიც ძირითადი ნორმის დახმარებით“. ამავე დროს იგი იძლევა სამართლის ფილოსოფიის ისტორიული განვითარების ოთხ ძირითად ეტაპს: 1. ანტიკური სამართლის ფილოსოფია; 2. ქრისტიანული სამართლის ფილოსოფია, 3. ახალი დროის სამართლის ფილოსოფია, 4. თანამედროვე სამართლის ფილოსოფია.

მისი თანამემამულე ვ. კუბეშიც სამართლის ფილოსოფიას განიხილავს როგორც იურიდიულ დისციპლინას, რომლის საგნად უნდა მივიჩნიოთ სამართლის ნორმატიული იდეა, ხოლო ამ უკანასკნელში აისახება სამართლიანობის იდეა, ადამიანის თავისუფლებანი და ინტერესები, ამის გათვალისწინებით სამართლის ფილოსოფია უნდა დაინტერესდეს როგორც ზოგადფილოსოფიური ისე საკუთრივ იურიდიული პრობლემებით. სამართლის ფილოსოფიის ძირითად საგნად მას მიაჩნია სამართლის სამყაროს კვლევა.

გუგოსა და ჰეგელის კვლადაკვალ სამართლის ფილოსოფიის საგნის ირგვლივ საინტერესო მოსაზრებები წამოაყენეს გერმანელმა მეცნიერებმაც. კერძოდ, სამართალმცოდნე ა. კაუფმანის მტკიცებით სამართლის ფილოსოფია მოწოდებულია გამოიკვლიოს „საგანთა ბუ-

ნება“ და „სამართლის ონტოლოგიური სტრუქტურა“. აქედან გამომდინარე იგი ყურადღებას აქცევს სამართალს როგორც ხელისუფლების საზომს, ადამიანს სამართლის სფეროში, ზნეობასა და სამართალს, სამართლებრივი სახელმწიფოს ბუნებას, ბუნებითი სამართლისა და იურიდიული პოზიტივიზმის ურთიერთმიმართებას და ა. შ.

მეორე გერმანელი სამართალმცოდნე გ. კონინგის აზრით კი სამართლის ფილოსოფია დაკავებული უნდა იყოს სამი ძირითადი პრობლემით ესენია: 1. სამართლიანობის პრინციპები, 2. დადებითი სამართლის არსი; 3. იურიდიული აზროვნების თავისებურებანი. მოცემული იურიდიული პრობლემები შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნენ მხოლოდ ზოგადფილოსოფიური პრობლემებთან ერთად.

გერმანული იურისტი კ. ბრინკმანიც სამართლის ფილოსოფიას დამოუკიდებელ იურიდიულ დისციპლინად განიხილავს. მას იგი დახასიათებული აქვს როგორც მეცნიერება სამართლებრივი ფასეულობებისა და ანტიფასეულობების შესახებ, რომლის დროსაც უმაღლეს სამართლებრივ ფასეულობად სამართლიანობას აცხადებს, ხოლო უკიდურეს ანტიფასეულობად უსამართლობას მიიჩნევს.

სამართლის ფილოსოფიას იურიდიული მეცნიერების დარგად აღიქვამს გ. ხენკელიც. მისი სიტყვებით „სამართლის ფილოსოფიის ამოცანაა სამართლის უზოგადესი განხილვა, მისი მოცულობის გამოვლენა, რათა მის საფუძველზე განსაზღვრის თუ რა აკავშირებს ერთმანეთთან სამართლის ყველა ცალკეულ ფენომენს“. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხენკელი არ გამორიცხავს შესაძლებლობას სამართლის ფილოსოფია გააზრებულ იქნეს ასევე როგორც ზოგადად ფილოსოფიის ერთ-ერთი დარგი ბუნების ფილოსოფიის, ისტორიის ფილოსოფიისა და რელიგიის ფილოსოფიის გვერდით.

ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორის შ. სმიდის შეხედულებითაც სამართლის ფილოსოფია იურიდიულ დისციპლინად არის გამოცხადებული, ხოლო სამართალი დახასიათებულია როგორც ცალკეულ ადამიანის ძალაუფლება და როგორც თავისუფლების ზოგადი წესრიგი. სამართლის ისტორია ეს არის განვითარება ცალკეული ადამიანების პრივილეგიებიდან სამართლებრივ თანასწორობამდე. მისი დანიშნულებაა საზოგადოებაში წესრიგისა და ჰარმონიის დამყარება. „სამართალი ანხორციელებს თანასწორობის

უზრუნველყოფის ფუნქციას კონფლიქტების მოწესრიგებისას და სწორედ ამიტომაც შეუძლია მას შეასრულოს თავისი სამშვიდობო მისია“.

მისგან განსხვავებით კ. როდე სამართლის ფილოსოფიას სამართლის ისტორიას უწოდებს, რომელშიც იგი გამოყოფს სამ ძირითად იტორიულ მონაკვეთს. ესენია ანტიკური სამართლის ფილოსოფია, ქრისტიანული სამართლის ფილოსოფია და ახალი დროის სამართლის ფილოსოფია. მისი მტკიცებით სამართლის ფილოსოფიას ახასიათებს დიალექტიკური განვითარება, რომლის დროსაც მიმდინარეობდა ბრძოლა სამართლებრივი აზროვნების ორი ძირითადი მიმართულების – ბუნებითი სამართლის მოძღვრებასა და იურიდიული პოზიტივიზმს შორის. როდეს შენიშნით სამართლის ფილოსოფია ვინაიდან ორი განსხვავებული შინაარსის სიტყვების („სამართალი“ და „ფილოსოფია“) გაერთიანებას წარმოადგენს მას წინასწარვე არ შეუძლია განსაზღვროს თავისი საგანი. სწორედ ამიტომაც ვერ მოვიდნენ მისი საგნის საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრამდე წინა-მოაზროვნები, ამიტომაც მართებული იქნება მისაღებად აღვიქვათ ყოველი მოაზროვნის აზრი მისი საგნის ირგვლივ.

საგულისხმოა, რომ სამართლის პროფესორმა, გერმანელმა პ. ციპელიუსმა 1982 წელს გამოაქვეყნა მუშაულობა საინტერესო ნაშრომი „სამართლის ფილოსოფია“, რომელშიც მან უარყო სამართლის უკიდურესი სოციოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც სამართლის წარმოშობა-განვითარება უკავშირდება ადამიანის ბუნებას, საზოგადოებაში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, სახალხო სულს და ა. შ.

სამართლის სოციოლოგიური თეორიის ნაცვლად ციპელიუსმა წამოაყენა ე. წ. „ექსპერიმენტული აზროვნების“ მეთოდი. მისი მტკიცებით ადამიანთა მოქმედების კოორდინაცია ხორციელდება პირველ რიგში ქცევის ნორმებით ანუ „აზროვნების“ იგივე გონების ორიენტაციით ხოლო უკიდურესი ნორმატივიზმი ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას რომ „ცოცხალი სამართალი“ ეს ნამდვილი სამართალია, ნამდვილი სამართალი კი ეს სამართალია მოქმედებაში. რეალურად მოქმედი სამართალი წარმოუდგენელია თავისუფლების გარეშე. ციპელიუსი იძლევა სამართლის ფილოსოფიურ გამარტებას როდესაც

აცხადებს რომ „სამართალი ეს არის თავისუფლების რეალიზაციის მხარდამჭერი რეგულაციების ერთობლიობა“.

ციკპელიუსის თანახმად „ექსპერიმენტული აზროვნების“ მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად, არამედ საერთოდ, სამართლის თეორიისა და სამართლიანობის საყოველთაოდ ცნობილი პრობლემის შესასწავლად, რომლის ისტორია შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მთელი რიგი აზრებისა და შეხედულებების გამოცდა, რომლის დროსაც ერთმანეთის მონაცვლე თეორიები ეტაპობრივად ქმნიდნენ და უარყოფდნენ სამართლისა და სამართლიანობის კრიტერიუმებისა, ანუ „ექსპერიმენტული აზროვნების“ მეთოდს საზოგადოებაში ყოველთვის ჰქონდა ადვილი.

ფილოსოფიის იტორიის ჭრილში აქვს განხილული სამართლის ფილოსოფიის წინაშე დასმული საკითხები ავსტრიელ იურისტს პროფესორ გ. ლუფს. სამართლის ფილოსოფიის შესასწავლ ძირითად პრობლემებად იგი ასახელებს სამართლის წყაროებს, სამართლის არსს, სამართლის მოქმედებას, სამართლისა და ზნეობის ურთიერთმიმართებას, ბუნებით სამართალს, სამართლიანობას და ა. შ.

თავის მხრივ ესპანელი სამართალმცოდნე პ. ბელდა სამართლის ფილოსოფიას ჰეგელის მსგავსად განიხილავს როგორც მეცნიერებას ბუნებით სამართალზე, იგი მას ფილოსოფიურ დისციპლინად აღიქვამს, რომელიც მოწოდებულია ყურადღება მიაქციოს სამყაროს საერთო წესრიგის პრობლემებს და ბუნებისაგან ადამიანზე დაკისრებულ მოვალეობებს. მონტესკიეს კვალდაკვალ ბელდა კანონებისა და სამართლის პრობლემას „საგანთა ბუნებას“ უკავშირებს, რომლის დროსაც საუბარი აქვს კოსმოლოგიურ და ნეოლოგიურ კანონებზე. კოსმოლოგიურ კანონებად იგი მიიჩნევს ფიზიკის კანონებს, ქიმიის კანონებს და სხვა. ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობა მისი აზრით ექვემდებარება როგორც კოსმოლოგიურ ისე ნეოლოგიურ კანონების მოთხოვნებს. ეხება რა ბუნებითი და დადებითი სამართლის პრობლემას ბელდა ბუნებით სამართალს დადებითი სამართლის საფუძვლად აცხადებს, ხოლო ადამიანის ბუნებით უფლებებად მას მიაჩნია სიცოცხლის უფლება, ჯანმრთელობის უფლება, საკუთრების უფლება, თანასწორობის უფლება, შრომის

უფლება. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პირობებში ბელდა ბუნებითი სამართლიდან გამოძინარე უფლებად აცხადებს მშობელთა მოვალეობას განათლება მისცენ თავიანთ შვილებს, ხოლო შვილები თავიანთ მხრივ მოვალენი არიან მოცემულ საკითხში დაემორჩილონ მშობლების რჩევა დარიგებას. საერთოდ კი სამართლის ფილოსოფიის ფორმირებაში დიდია ფილოსოფიის ისტორიის კლასიკოსების წვლილი. რომელთაგან გამოსაყოფია პითაგორა, დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე, კონ ფუძი, ლაო ძი, მო ძი, ხან ფეი, სენეკა, მარკუს ავრელიუსი, ავგუსტინი, თომა აქვინელი, თომას გობსი, ჯონ ლოკი, იმანუელ კანტი, ფრიდრიხ ჰეგელი და სხვები. მათ გვერდს უმშვენებენ იურისპრუდენციის წარმომადგენლებიც – რომაელი იურისტები, შუა საუკუნეების იურისტები – ჟან ბოდენი, ჰუგო გროციუსი, ევროპელ განმანათლებელთაგან ვოლტერი, შარლ ლუი მონტესკიე, ჟან-ჟაკ რუსო და სხვები.

ევროპელი ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის გავლენით სამართლის ფილოსოფიის პრობლემებით დაინტერესება გამოიჩინა რუსულმა ფილოსოფიურმა და იურიდიულმა აზროვნებამ და დასამალი არ არის რომ, XIX-XX საუკუნეების არაერთმა რუსმა ფილოსოფოსმა და იურისტმა მეტად საყურადღებო შრომები შექმნეს მოცემული საგნის ირგვლივ. მათგან გამოსაყოფია ა. პ. კუნიცინი, კ. ა. ნეველინი, პ. გ. რედკინი, ა. დ. გრაძოვსკი, ნ. მ. კორკუნოვი, ბ. ნ. ჩიხერინი, ნოვგოროდცევი, შერშენევიჩი, ს. მ. მურომოცევი, ლ. ი. პეტრაჟიციკი, ვ. ს. სოლოვიევი. ნ. ა. ბერდიაევი. რუსეთში სოციალისტური სამართლის ბატონობამ ერთხანს სამართლის ფილოსოფიის საკითხების მეცნიერული კვლევის შეჩერება გამოიწვია. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მომხდარმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა კვლავაც დააყენეს დღის წესრიგში სამართლის ფილოსოფიის პრობლემების შესწავლის საკითხი და რუსი მეცნიერებიდან ამ ბოლო წლებში სამართლის ფილოსოფიის ირგვლივ საინტერესო შრომები გამოსცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ს. ნერსესიანცმა. მისი თხზულებებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 2005 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „სამართლის ფილოსოფია“, რომელშიც შესწავლილია სამართლის

ფილოსოფიის ზოგადი პრობლემები. სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ცალკეული ეტაპები, რუსული სამართლის ფილოსოფია და XX საუკუნეში აღმოცენებული ძირითადი თეორიები სამართლის ფილოსოფიის ირგვლივ.

სამართლის ფილოსოფიის საგანზე მსჯელობისას პროფ. ვ. ს. ნერსესიანცი აცხადებს, რომ „სამართლის ფილოსოფია“ იკვლევს სამართლის არსს, შინაარსსა და ცნებას, მისი ადგილს სამყაროში, მის ფასეულობებს და მნიშვნელობას, მის როლს ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ხალხებისა და კაცობრიობის მომავალში. სამართლის ფილოსოფია სამართლის შესწავლის სხვა სახეებისა და ხერხებთან ერთად წარმოადგენს სამართლის შეცნობის უმაღლეს სულიერ ფორმას, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანთა ცხოვრებაში მისი დანიშნულებისა და ფასეულობების შესწავლა-გააზრება“. მისი განმარტებით სამართლის ზოგადი თეორიის წიადიდან გამოსული სამართლის ფილოსოფია თანდათანობით ყალიბდება როგორც ზოგადმეცნიერული სტატუსით აღჭურვილი დამოუკიდებელი იურიდიული დისციპლინა, რომელსაც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის, სამართლის სოციოლოგიისა და სამართლის ანთროპოლოგიის მსგავსად გააჩნია საკუთარი საგანი, წყაროები, მეთოდი, სისტემა, ამოცანები და განსაკუთრებული სპეციფიკური ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში.

რაც შეეხება სამართლის ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მოაზროვნეებსა და მკვლევარებს, აქ ჩვენ შეიძლება ჩამოვთვალოთ აიეტიისა და ფარტაძის, ანონიმი კოლხი იურისტების, გიორგი მერჩულეს, ექვთიმე მთაწმინდელს, გიორგი მთაწმინდელს, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ეს, დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ამილახვარის, იაგორ ჭილაშვილის, ვახტანგ ბაგრატიონის, დავით ბაგრატიონის, სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვების სახელები. სამართლის პრობლემების ირგვლივ მთელი რიგი ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ქართველ მეცნიერებს ივ. ჯავახიშვილს, ა. ვაჩეიშვილს, ი. სურგულაძეს, ის. დოლიძეს, ივ. სურგულაძეს, გ. ნადარეიშვილს, გ. ინწკირველს, ვ.

აბაშმაძეს, გ. ნაჭყებიას, ბ. ზოიძეს, ი. ფუტყარაძეს, გ. ლობჯანიძეს, გ. ფერაძეს, მ. ცაცანაშვილს, გ. დავითაშვილს, ბ. სეხნაიძეს, გ. ზუბუას და სხვებს. სამართლის უშულოდ ფილოსოფიური იურიდიული პოზიციებიდან შესწავლა განსაკუთრებით ჩანს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვახტანგ აბაშმაძის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში. პროფ. ვახტანგ აბაშმაძემ მთელი რიგი სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები გამოაქვეყნა პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში, რომლის დროსაც მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესწავლილი და გაანალიზებული როგორც ქართული სახელმწიფოს, პოლიტიკისა და სამართლის პრობლემები ასევე მსოფლიო პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიის საკითხები. ამ შრომებიდან გამოსაყოფია. ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან I-II ნაწილი. 1975-1977 წწ. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები. 1989 წ. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური მოძღვრებათა ისტორიიდან 1968 წ. ქართული ინტელექტუალური ფენომენები 1992 წ. ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვი რომ ქართულ იურისპურდენციაში პროფ. ვახტანგ აბაშმაძემ პირველმა დაიწყო სამართლის პრობლემების ფილოსოფიურ-იურიდიული კუთხით შესწავლა, რასაც ობიექტური მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

უნდა ითქვას, რომ სამართლის ფილოსოფიის ფორმირებაში დიდია მთელი რიგი ცალკეული კონცეფციების როლი, რომელთაგან გამოსაყოფია სამართლის ნეოკანტიანური კონცეფცია, სამართლის ნეოჰეგელიანური კონცეფცია, კელზენის წმინდა სამართლის მოძღვრება, იგივე ნორმატივიზმის თეორია, აღორძინებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება, სამართლის ონტოლოგიური თეორია, სამართლის ეგზისტენციალური ფილოსოფიური მოძღვრება. მოცემული კონცეფციების წარმომადგენლებს წარმოყენებული აქვთ საკუთარი ფილოსოფიურ-სამართლებრივი მოსაზრებანი და იდეები სამართლის არსის, წყაროების, დანიშნულებისა და პრინციპების ირგვლივ, რომლის პირობებშიც ცხადია, ისინი განსხვავებულ პოზიციებზე დგანან, მაგრამ ეს სრულებითაც არ აჩინებს მათს წვლილს სამართლის ფილოსოფიის განვითარებაში. როგორც ცალკეულმა მოაზროვნეებმა, ასევე ისტორიულად აღმოცენებულმა თე-


ორიულმა მიმდინარეობებმა თავიანთი შრომებითა და იდეებით მეტად გაამდიდრეს იურიდიული მეცნიერება, ხელი შეუწვევს ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის დაახლოებას. ასეთ გარემოში ჩამოყალიბებულმა სამართლის ფილოსოფიამ XX საუკუნეში მართალია იურიდიული დისციპლინის სახე შეიძინა, მაგრამ მისი განვითარება სრულყოფა ყოველთვის მჭიდროდ დაკავშირებული იყო და მომავალშიც იქნება უპირატესად ფილოსოფიურ აზროვნებასთან.

ცნობილია, რომ ჰუმანიტარული მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია თავისი საგნის კვლევის მეცნიერული მეთოდი და ხერხები, რომლებიც გამოდინარეობენ ორი მთავარი მეთოდიდან მეტაფიზიკური და მატერიალისტური მეთოდიდან. ამ მეთოდებიდან სამართლის ფილოსოფიის ამოცანების უპირატესად შეესაბამება დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდი, რომლის ძირითად კანონებად აღარებულია საგნებისა და მოვლენების რაოდენობრიდან თვისებრიობაში გადასვლის კანონი, ერთიანობისა და დაპირისპირებულობის კანონი, უარყოფის უარყოფის კანონი, განვითარებისა და სრულყოფის კანონი. მოცემული კანონებიდან გამომდინარე დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდი საგნებისა და მოვლენების შესწავლისას ეყრდნობა მთელ რიგ ფილოსოფიურ კატეგორიებს. ესენია: ფორმა და შინაარსი, კონკრეტული და აბსტრაქტული, მარტივი და რთული, უმდაბლესი და უმაღლესი, შესაძლებლობა და სინამდვილე, აუცილებლობა და შემთხვევითობა, მიზეზი და შედეგი, თავისუფლება და პასუხისმგებლობა. მთელი ამ კანონებისა და კატეგორიების გათვალისწინებით სამართლის ფილოსოფიაში გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სოციალურ-მეცნიერული მეთოდები, როგორებიცაა ლოგიკურ-ენობრივი მეთოდი, შედარებითი მეთოდი, სოციოლოგიური მეთოდი, სისტემურ-სტრუქტურული მეთოდი, ისტორიული მეთოდი. ბუნებრივია თითოეული ეს მეთოდი ხელს უწყობს ღრმად და საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ცალკეული სამართლებრივი აზრები, იდეები და თეორიები, იძლევა საშუალებას დადგინდეს მათ შორის არსებული იდეური განსხვავებანი და მსგავსებანი, მათი ძირითადი კრიტერიუმები და სპეციფიკური ნიშნები. აღნიშნული სპეციალური მეცნიერული მეთოდების მეშვეობით ხდება დისციპლინის პრობლემურ-თეორიული საკითხების დამუშავება, მათი სინთეზირება ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნე-

ბის კანონზომიერი განვითარების უწყვეტ პროცესთან, ამავდროულად ისინი სამართლის ფილოსოფიას წარმოაჩენენ როგორც ფილოსოფიური ხასიათის დამოუკიდებელ იურიდიული დისციპლინას, რომელიც თავის უყრის მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდგომ შემუშავებულ ფილოსოფიურ-სამართლებრივ იდეებსა და კონცეფციებს და ახდენს მათს ფილოსოფიურ განზოგადებას.

რაც შეეხება სამართლის ფილოსოფიის სისტემას — ვინაიდან იგი არ განეკუთვნება არც ფილოსოფიურ დისციპლინას არც ისტორიული ხასიათის იურიდიულ დისციპლინებს და არც წმინდად დარგობრივ იურიდიულ დისციპლინებს აქედან გამომდინარე გაჭირდება მისი სისტემის იდეალური ვარიანტით ჩამოყალიბება, მაგრამ ამ სფეროში მომუშავე ცნობილი მკვლევარების აზრის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოცემული შრომა წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სისტემის სახით: 1) სამართლის ფილოსოფიის საგანი, მეთოდი და სისტემა; 2) სამართლის არსი; 3) ინდივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალი; 4) ძველი აღმოსავლური სამართლის ფილოსოფია. 5) ძველი ბერძნული სამართლის ფილოსოფია; 6) ძველი რომაული სამართლის ფილოსოფია. ე. ი. სამართლის ფილოსოფიის როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა შესავალი კურსი, რომელშიც თავმოყრილია სამართლის ფილოსოფიის ისტორიის აქტუალური საკითხები. ცხადია, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებმაც მოცემულ შრომაში ვერ პოულობენ ასახვას, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, სამართლის ფილოსოფია როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა საქართველოში ჯერ ხომ მხოლოდ ფენს იდგამს. ავტორი ვარაუდობს, რომ უახლოეს ხანებში ქართველ მკითხველს წარმოუდგენს სამართლის ფილოსოფიის სრული კურსს, რომელიც მეტნაკლებად დაკმაყოფილებას საზოგადოების ინტერესს.

241



თაზო II. სამართლის არსი

საყოველთაოდ აღიარებულია ის გარემოება, რომ სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს გაცხეს პასუხი კითხვა თუ რა არის სამართალი? ისევე როგორც ფილოსოფიამ უნდა უპასუხოს კითხვას — რა არის ჭეშმარიტება? ხოლო თეოლოგიამ — რა არის რწმენა? იურისპრუდენციისათვის კითხვა — რა არის სამართალი, დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება, ვინაიდან ბევრისათვის სამართალი ეს პოზიტიური სამართალია, ზოგი მას ბუნებით სამართალთან აიგივებს, ზოგი რელიგიურ ნორმებს თვლის სამართლად, ზოგიერთები ჩვეულებისა და ზნეობის ნორმებს აღიქვამენ სამართლად, სამეცნიერო ლიტერატურაშიც მას ხან გონიერი სამართლის სახელით მოიხსენიებენ, ხან ფილოსოფიური სამართლით ახსენებენ, ვხვდებით საგანთა ბუნებისა და სამართლიანობის იდეის სახითაც და ა. შ. სამართალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმდენად აუცილებელი, რთული და უნიკალური სოციალური მოვლენაა რომ იგი მთელი თავისი არსებობის მანძილზე განათლებული კაცობრიობის ყურადღებას ყოველთვის იქცევდა. სამართლის ირგვლივ არსებული მთელი რიგი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებისა და თეორიების გაანალიზებისას მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩეს ის მომენტი თუ როგორ ისტორიულ პირობებში უხდება ფუნქციონირება სამართალს, მის მკვლევარს, თუ როგორია ამ უკანასკნელის ფილოსოფიური, რელიგიური და საერთოდ იდეოლოგიური პოზიცია, თუ რას მიიჩნევენ ცალკეული მკვლევარები თუ თეორიები სამართლის წყაროებად (ადამიანი, ღმერთი, კოსმოსი) და რაც მთავარია თუ რამდენად მყარად შეძლო დამკვიდრება ფილოსოფიურ თუ იურიდიულ აზროვნებაში ამა თუ იმ შეხედულებამ და მოძღვრებამ.

უნდა აღნიშნავს, რომ სამართლის არსის უპირატესად ფილოსოფიური კუთხით შესწავლისას ძირითადად გამოიყენებოდა და გამოიყენება იდეალისტური და მატერიალისტური მეთოდი. პირველი მათგანისათვის დამახასიათებელია სამართლის არსის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ახსნა. მაგალითად, თომა აქვინელის მტკიცებით სამართალს გააჩნია არა მხოლოდ ღვთიური წარმოშობა, არამედ ღვთიური არსიც. პოზიტიური სამართალი მხოლოდ იმ მიზნის მი-

საღწევი საშუალებაა, რომელიც ადამიანებს ღმერთმა განუსაზღვრა. მატერიალისტური მეთოდის გამოყენება უდევს საფუძვლად სამართლის მარქსისტულ თეორიას, რომლის მთავარ ელემენტებად გვევლინებიან სამართლის კლასობრივი ხასიათი, ეკონომიკის განმსაზღვრელი როლი სამართლის მიმართ, სამართლის უკიდურესი დაქვემდებარება სახელმწიფოსადმი და ა. შ. საერთოდ კი იმის და გათვალისწინებით თუ რა ან ვინ უნდა იქნეს მიჩნეული სამართლის შემომქმედად — ადამიანი, საზოგადოება, ერი, რასა, სახელმწიფო, ღმერთი თუ კოსმოსი არსებობს მთელი რიგი ფილოსოფიური, თეოლოგიური და სამართლებრივი თეორიები.

თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაშიც სიტყვა „სამართალს“ სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია სამართალზეა საუბარი როდესაც წამოიჭრება საკითხი ადამიანის უფლებებზე — სიცოცხლის უფლება, ჯანმრთელობის უფლება, განათლების უფლება და ა. შ. სამართალი იგულისხმება მაშინ, როდესაც ვლადიმერ კობაქიძე იურიდიულ ნორმათა ერთობლიობაზე, სამართალზეა აქცენტი გადატანილი როცა ვეხებით სამართლებრივ მოვლენებს, სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს, დარგებს, სახეებსა და სისტემებს ფილოსოფიურ და იურიდიულ აზროვნებაში სამართლის მრავალი განსაზღვრება არსებობს, რომელთა შინაარსი განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რომელი სამართლებრივი მოვლენა არის მიჩნეული სამართლის მთავარ ელემენტად, მაგრამ ვერაფერ ვერ გაექცევა იმ რეალობის აღიარებას, რომ სამართალს მჭიდრო კავშირი აქვს ადამიანთან, საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან, პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან, რელიგიასთან, ჩვეულებასთან და ზნეობასთან. ხოლო მის მთავარ პოსტულატებად ანუ ელემენტებად გამოდიან თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა.

ხაზი უნდა გაუუსვათ იმ გარემოებას, რომ იურიდიული მართმეგნებისათვის სამართლისადმი ამგვარი ნაირფეროვანი მიდგომა წარმოადგენს სამართლის ფილოსოფიის ერთიანი საგნის ახალი კუთხით, ახალი პრინციპებით შესწავლა-გაანალიზებას. უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ ეს არის ერთი ტიპის (იურიდიული) მართლმეგნების განსხვავებული ვარიანტები, ჩამოყალიბებული ცალკეული შეხედულებებისა და კონცეფციების სახით, რომლებიც ემსახურებიან ერთი და იმავე პრობლემის გარკვევას — თუ რა

არის სამართალი. იურისტებისათვის სამართალი არ წარმოადგენს უბრალო სუბიექტური ნების შემთხვევით გამოვლენას, არამედ მისთვის იგი ობიექტური, დამოუკიდებელი მოვლენაა, რომელსაც გააჩნია თავისი საკუთარი ბუნება, საკუთარი არსი, საკუთარი სპეციფიკა, რომლებიც თავს იყრიან მის ელემენტებში ანუ პრინციპებში, ხოლო პრინციპებიდან უმთავრესია სამართლებრივი თანასწორობა, სამართლებრივი თავისუფლება და საყოველთაო სამართლიანობა. ე. ი. ჭეშმარიტი სამართალი უნდა დაემყაროს თანასწორობას, თავისუფლებას და სამართლიანობას. აქედან გამომდინარე სამართლის ფილოსოფია იძლევა სამართლის სამი სახის განმარტებას, რომლის შინაარსი შემდეგნაირად არის გადმოცემული: 1. სამართალი ეს ფორმალური თანასწორობაა; 2. სამართალი ეს ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისუფლების ზოგადი და აუცილებელი ფორმაა; 3. სამართალი ეს საზოგადოებაში საყოველთაო სამართლიანობაა.

პირველ შემთხვევაში თანასწორობაში იგულისხმება ფორმალური, სამართლებრივი თანასწორობა არსებული თავისუფალ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ინდივიდებს შორის მათთვის საერთო მასშტაბის ფარგლებში, საერთო ნორმების საფუძველზე, თანასწორი თავისუფლების პირობებში.

სამართლებრივ თანასწორობას ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ სფეროში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო სამართლის ისტორია ცხადყოფს, რომ ეს არის ისტორია სამართლებრივი ფორმალური თანასწორობის შინაარსის, მოცულობის და მასშტაბის პროგრესისა, რომლის დროსაც ყოველთვის იყო შენარჩუნებული თვით ეს პრინციპი, როგორც სამართლის ნებისმიერი სახისა და სისტემის და საერთოდ სამართლის უმთავრესი პრინციპი. კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპს გააჩნდა ფორმალური თანასწორობის საკუთარი მასშტაბები და სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა საკუთარი წრე, ასე რომ ფორმალური, იურიდიული თანასწორობის პრინციპი მუდამ თან სდევს სამართალს. იგი ავლენს იმ სპეციფიკურობას, რომელიც არსებობს თავისუფალ ინდივიდებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში. პროფ. ვ. ა. ნერსესიანცის სამართლიანი შენიშვნითა

„ყველგან სადაც მოქმედებს ფორმალური თანასწორობის პრინციპი იქ არსებობს სამართლებრივი საწყისები და რეგულირების სამართლებრივი საშუალება. სადაც მოქმედებს სამართალი იქ არსებობს თანასწორობის მოცემული პრინციპი. იქ სადაც არ არის თანასწორობის ეს პრინციპი იქ არ არსებობს სამართალი როგორც ასეთი“.

ლიბერალი მოაზროვნე ფრანგი ალექსის დე ტოკვილი თავის შრომებში (დემოკრატია ამერიკაში; ძველი რეჟიმი და რევოლუცია) თანასწორობის იდეას არც თუ უსაფუძვლოდ დემოკრატიას უკავშირებს. მისი აღიარებით დემოკრატია შლის საზღვრებს სხვადასხვა ერებს, სოციალურ ფენებს, რელიგიურ მიმდინარეობებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ცალკეულ ადამიანებს შორის. იგი ამყარებს საყოველთაო თანასწორობას. დემოკრატიის უპირატესი საფუძველი თანასწორობაა, რომელსაც ტოკვილი თავისუფლებაზე უფრო მაღლა აყენებს, ვინაიდან მიაჩნია, რომ თანასწორ პირობებში მცხოვრები ადამიანები უფრო მეტს ქმნიან ვინემ თავისუფლების პირობებში მცხოვრები ხალხი. ამავე დროს იგი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ეკონომიკურ თანასწორობას და პოლიტიკურ თანასწორობას. ეკონომიკურ თავისუფლებას და პოლიტიკურ თავისუფლებას.

ფორმალური თანასწორობის პრინციპთან არის დაკავშირებული სამართლის როგორც თავისუფლების გააზრება ვინაიდან ინდივიდების თანასწორობა და თავისუფლება ყოველთვის იდენტურ ცნებად იყო გაგებული თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელი იყო საზოგადოების სულიერი, ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრესი, მას ყოველთვის უკავშირებდნენ ჩაგვრისაგან ბრძოლით განთავისუფლებას და სოციალური თანასწორობის მოპოვებას. ისიც ცნობილია, რომ სიტყვა „თავისუფლება“ ისტორიულად ადამიანებს სხვადასხვანაირად ესმოდათ. ფრანგი მოაზროვნის შარლ ლუი მოტესკის განმარტებით: „არ არსებობს სიტყვა, რომელსაც მეტი სხვადასხვა მნიშვნელობა მიეღოს და უფრო ახდენდეს შთაბეჭდილებას გონებაზე ვიდრე „თავისუფლება“ ერთნი თავისუფლებას უწოდებენ იმის დამხობის შესაძლებლობას, ვისაც მათ ტირანული ძალაუფლება მიანიჭეს, მეორენი – იმის არჩევის უფლება, ვისაც უნდა დაემორჩილონ. სხვები – შეიარაღებულად ყოფნის და ძალმომრეობას განხორციელების უფლებას; ზოგნი კიდევ – იმ

პრივილეგიას, რომ საკუთარი ერის წარმომადგენლების მიერ და საკუთარი კანონების შესაბამისად იყვნენ მართულნი, ერთი ხალხი დიდხანს მიიჩნევა თავისუფლებად გრძელი წვერის ტარების ჩვეულებას“.

ინგლისელი ლიბერალი იერემია ბენტამის მტკიცებით კი თავისუფლება კაცობრიობას უბოროტესი მტერია ვინაიდან „არ არსებობს სიტყვა, რომელიც იმდენად დამღუპველი იყოს, როგორც სიტყვა თავისუფლება და მისგან ნაწარმოები“. ფრანგი განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო პირიქით მაღალ შეფასებას აძლევს თავისუფლებას და აცხადებს რომ „თავისუფლება შეიძლება ერთხელ მოიპოვო, მაგრამ მისი ხელახლა მოპოვება შეუძლებელია“ თუმცა „თავისუფლებადაკარგული ხალხი, რომელიც არ მისწრაფვის თავისუფლების ხელახლა მოსაპოვებლად აუცილებლად იმსახურებს იმას რომ მას მოექცნენ როგორც მონას“.

მაგრამ საზოგადოების ისტორია ადასტურებს რომ ადამიანთა ცხოვრებაში თავისუფლების შემოღებისა და უზრუნველყოფის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს, ეს არის სამართლებრივი გზა. სავსებით გასაზიარებელია მოსაზრება რომ „ადამიანები მათი თანასწორობის შესაბამისად არიან თავისუფალნი და თანასწორნი არიან მათი თავისუფლების შესაბამისად, თავისუფლება თანასწორობის გარეშე ეს ელიტის იდეოლოგიაა, ხოლო თანასწორობა თავისუფლების გარეშე მონებისა და ჩაგრული მასების იდეოლოგიად ჩანს“. სამართლებრივ თავისუფლებას გააჩნია თავისი მთავარი იდეა — ეს არის სამართლებრივი თანასწორობა.

ფასდაუდებელია სამართლებრივი თავისუფლების როლი კაცობრიობის პროგრესში, როგორც განვლილი ისტორია ცხადყოფს სამართლებრივი თავისუფლება ერთის მხრივ ხელს უწყობდა საერთოდ სამართლის განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ სულ უფრო მეტი ადამიანი იბენდა სამართლებრივ თავისუფლებას, ანუ ხდებოდა სამართლებრივად თანასწორი. აქვე ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ზოგიერთ მოაზროვნეს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ არსებობს დაპირისპირება სამართალსა და თანასწორობას, სამართალსა და თავისუფლებას, სამართალსა და სამართლიანობას შორის, რომ მათ შორის ჰარმონიის დამყარება შეუძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში მოცემული შეხედულებანი სამართლის ქვეშ

გულისხმობდნენ ხელისუფლების ყოველგვარ ნებას, დამახინჯებულ საკანონმდებლო სისტემას, რომელთაც მართლაცდა ხშირად არასამართლებრივი, უკანონო ხასიათი გააჩნდათ.

თუ კი ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნამდვილად სამართლებრივი თავისუფლება და არა ელიტის პრივილეგიები, მაშინ შეუძლებელია იგი წარმოვიდგინოთ სამართლებრივი თანასწორობის პრინციპის გარეშე. თავისუფლება კი არ უპირისპირდება თანასწორობას არამედ პირიქით თანასწორობის მეშვეობით გამოიხატება თავისუფლება. საყოველთაო თანასწორობისა და თავისუფლების ცენტრში კი დგას თანასწორობის პრინციპით აღჭურვილი თავისუფალი ინდივიდი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი საზომი თავისუფლებისა და თანასწორობისა. და აქ სავსებით გამართლებულად ჟღერს იმანუილ კანტის მიერ წამოყენებული გონის „კატეგორიული იმპერატივის“ პრინციპი „მოიქცი ისე, რომ შენი მოქმედება და თავისუფლება მუდამ შესაბამისობაში მოდიოდეს ქვეყანაში არსებული კანონებთან და ყველა სხვა დანარჩენი ადამიანის თავისუფლებასთან“.

თავისუფლებას ყოველთვის უკავშირებდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლობით მმართველობას, თანასწორობას და სამართლიანობას. ინგლისელი ჯონ სტიუარტ მილიც ამგვარ კონტექსტში განიხილავს მას. შრომებში „თავისუფლების შესახებ“, „წარმომადგენლობითი მმართველობა“, იგი აცხადებს, რომ საუკეთესო მმართველობა ეს წარმომადგენლობითი მმართველობაა, რომლის დროსაც მოსახლეობას უმრავლესობა ირჩევს დეპუტატებს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში და ამ დროს ხალხს უნდა ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა (ანუ თავისუფლება) სწორად ამ გზით აღმოცენდეს ამგვარი ფორმის სახელმწიფო და ხალხს ასევე უნდა ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა (იგულისხმება თავისუფლება) შეასრულოს ის მოვალეობანი და ფუნქციები რომელთაც მას დააკისრებს თავისუფლების საფუძველზე აღმოცენებულ სახელმწიფო.

თავისუფლების ამგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე ფრანგი მოაზროვნის ბენჟამენ კონსტანას შრომაში „კონსტიტუციური პოლიტიკური კურსი“. სახელმწიფო ავტორის აზრით უნდა დაეყრდნოს თავისუფალ საზოგადოებრივი აზრის, ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლებასა და სამართლს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი

ლია გაკონტროლდეს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე ორგანოს საქმიანობა.

სახელმწიფოსა და თავისუფლების დაპირისპირება იკვეთება გერმანელი ლიბერალიზმის წარმომადგენელ ვილგელმ ფონ გუმბოლდტის შრომაში „სახელმწიფოს საქმიანობას საზღვრების დაწესების გამოცდილება“, რომელშიც გერმანელი მოაზროვნე მაღალ შეფასებას აძლევს ადამიანის, საზოგადოების, ერის თავისუფლებას. ამ ფასეულობას მისი თქმით უპირისპირდება სახელმწიფო, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს „აუცილებელ ბოროტებად“ და რომლის ბუნებაში დევს თავისუფლების შეზღუდვა. რამდენად ძლიერია სახელმწიფო ქვეყანაში, იმდენად ნაკლები თავისუფლებით სარგებლობენ ინდივიდები, ერები და საერთოდ საზოგადოება რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის იდეას.

თანასწორობასა და თავისუფლებასთან ერთად სამართლის არსში იგულისხმება სამართლიანობა, რომელსაც ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დიდი მოაზროვნეები სამართლის ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრებდნენ. სამართლიანობა ყოველთვის სამართალს ახლავს თან და არა კანონს, ვინაიდან სამართალი ყოველთვის სამართლიანობად აღიქმება, ხოლო კანონი შეიძლება იყო სამართლიანიც და უსამართლოც, სამართლიანობა რომ მუდამ სამართლის თანმდევი იყო, ამაზე მიუთითებს ძველ რომში შემუშავებული ლათინური იურიდიული ტერმინი *ius* – სამართალი და მისგან ნაწარმოები *iustitia* – სამართლიანობა, რომელიც შემდგომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის იურისპრუდენციაში დამკვიდრდა და ყველგან სამართლიანობის სინონიმად მიიჩნევა.

აღბათ შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ძველმა ბერძნებმა იმ თავითვე ამქვეყნიური სამართლიანობა და კანონიერება მითოლოგიისა და რელიგიის გვერდით პოლიტიკას დაუკავშირეს და განაცხადეს, რომ ადამიანის სამართლიანი ქცევა გამოიხატება იმაში, რომ მან არ დაარღვიოს სახელმწიფოს მიერ შემოღებული კანონი. ხოლო კანონი უზრუნველყოფს საერთო სიკეთეს, საერთო სარგებლიანობას, საერთო სათნოებას და საერთო სამართლიანობას.

როგორც წესი დღეისათვის სამართლიანობად ცხადდება ყოველივე ის რასაც გამოხატავს არსებული სამართალი, რაც მას შეესაბამება და რაც მის მოთხოვნებს გამოხატავს. სამართლიანი მოქ-

მედება ეს არსებული სამართლის ჩარჩოებში მოქმედებაა, მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი ქმედობა არასამართლიანი მოქმედება ანუ უსამართლობაა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სამართლიანობა სამართლიდან გამომდინარეობს, სამართალზეა დამოკიდებული, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ სამართლიანობად როდი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მთელი რიგი მორალური, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, რასობრივი, ეკონომიკური და ცალკეული შემთხვევებში „სამართლებრივი“ მოქმედება ინტერესები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართლის ნორმებს, სამართლებრივ კონსტიტუციებს და კანონებს, სამართლის ძირითად პრინციპებს და საერთოდ კაცობრიობის ინტერესებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი თანასწორობასთან და სამართლებრივ თავისუფლებასთან ერთად სამართლიანობა საზოგადოებაში გამოდის ყოველივე იმის საზომად, რასაც პრეტენზია გააჩნია თანასწორობაზე, თავისუფლებაზე და სამართლიანობაზე. სწორედ სამართლიანობაა ის ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც იზომება სამართლიანობა და უსამართლობა და რომლის დახმარებითაც მყარდება საზოგადოებაში საყოველთაო თანასწორობა, თავისუფლება და სამართალიანობა.

მოცემული სამი ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარეობენ სწორედ დღევანდელ სამართლის ძირითადი იდეები. ესენია: კანონიერება, სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი, ჰუმანიზმი, სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთპატივისცემა, სამართლის უზენაესობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი. პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, სახალხო სუვერენიტეტი, დემოკრატიზმი, ფედერალიზმი და ა. შ.

სამართლის არსის გარკვევის პროცესში ჩვენ აუცილებლად ვაწყდებით სამართლისა და კანონის ურთიერთობის პრობლემასაც. რომელი პრობლემაც მეტად აქტუალურია იურიდიულ მეცნიერებაში გამომდინარე იქიდან, რომ სამართალში, ჯერ ერთი, იგულისხმება როგორც პოზიტიური სამართალი, ისე ბუნებითი სამართალი, კანონიკური სამართალი და ჩვეულებითი სამართალიც და მეორეც, სამართალში ასევე იგულისხმება კანონი და სასამართლო პრაქტი-

კაც. რაც შეეხება კანონს მას გააჩნია საკუთარი სპეციფიკური განსაზღვრება და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამართლისა და კანონის მსგავსებას დავინახავთ ჩვენ, როდესაც სამართალს წარმოვიდგენთ, როგორც ნორმატიული აქტების ერთიანობას, კანონთა ერთობლიობას. ვინაიდან კანონის გარეშე სამართალი მართლაც არ არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არასწორი ვიქნებით, რადგანაც სამართალი თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ სამართლებრივ ნორმებს ანუ კანონებს, არამედ ბუნებითი სამართლის ნორმებს, კანონიკური სამართლის ნორმებსა და სასამართლოს პრაქტიკასაც. ე. ი. უნდა ვაღიაროთ რომ სამართალი იქმნება საზოგადოების მიერ, კანონები კი უშუალოდ სახელმწიფოს მიერ. ანუ უკვე სახეზე გვაქვს განსხვავება სამართალსა და კანონს შორის.

განსხვავება იკვეთება სამართალსა და კანონს შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახელმწიფოს მიერ მიღებული რომელიმე კანონი არ შეიცავს სამართლიანობის იდეას, ანუ სახეზეა უსამართლო კანონი (ვინ მოთვლის რამდენი უსამართლო კანონი მიუღიათ ადამიანებს) რომლის რეალიზაცია საზოგადოებაში ჭირს და ეს სავსებით გასაგებია. იგი ხომ სამართალს არ წარმოადგენს მისი ნამდვილი გაგებით, არ ატარებს სამართლიანობის იდეას, იგი სამართალია მხოლოდ ფორმალურად და არა შინაარსობრივად და ემსახურება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ, დესპოტურ და ტირანულ რეჟიმებს, მაშინ როდესაც სამართალი თავის ცნებაში და დანიშნულებაში ყოველთვის სამართლიანობის იდეითაა გაჯერებული. სამართალს ჩვენ ვერ დავყოფთ სამართლიან და უსამართლო სამართლად, მაშინ როდესაც სახეზე გვაქვს სამართლიანი და უსამართლო კანონები.

სამართლის არსის გარკვევის პროცესში სამართლის ფილოსოფია მოწოდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს სამართლის წყაროებს. ხოლო სამართლის წყარო ამ შემთხვევაში გაგებულნი უნდა იქნენ იმგვარი ფართო დიაპაზონით, როგორც ეს რომაელ იურისტებს ესმოდათ, ანუ სამართლის წყაროდ აღქმულ უნდა იქნენ ყოველგვარი სამართლებრივი ფასეულობა — ბუნებითი სამართლის ნორმები, რელიგიური იგივე კანონიკური სამართლის ნორმები, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, ზნეობის ნორმები, პო-

ზიტიური სამართლის ნორმები, კორპორაციული სამართლის ნორმები. სასამართლო პრეცედენტი ანუ სასამართლო პრაქტიკა და ა. შ. მოცემული ნორმებიდან გამოდინარე სამართლის ფილოსოფია ცხადია გვერდს ვერ აუვლის სამართლის ცალკეული სახეების შინაარსს გარკვევასაც. მან ცალ-ცალკე და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშიც უნდა შეისწავლოს ბუნებითი სამართალი, რელიგიურ სამართალი, ჩვეულებითი სამართალი და პოზიტიური სამართალი. საზოგადოების მიერ გამოვლილი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მხედველობაში მიღების ფაქტიდან გათვალისწინებით უნდა იქნეს შესწავლილი სამართლის ცალკეულ ისტორიულ ტიპებიც — ძველი აღმოსავლური, მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური. სამართლის არსის ჭეშმარიტი შესწავლა შეუძლებელია სამართლის სისტემების გაანალიზების გაერშე, ხოლო სამართლის სისტემებიდან ცნობილია, რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა, ანგლო-საქსური ანუ საერთო სამართლის სისტემა, მუსულმანური სამართლის სისტემა, ჩვეულებითი სამართლის სისტემა, სოციალისტური სამართლის სისტემა.

სამართლის არსთან დაკავშირებულ პრობლემად უნდა იქნენ განხილული სამართლის სირგვლივ არსებული მთელი რიგი ფილოსოფიური, თეოლოგიური და მეცნიერული თეორიები, ასევე სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის სამართლებრივი კონცეფციები (სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულების კონცეფცია, სახალხო სუვერენიტეტის კონცეფცია, სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია და ა. შ.) როგორც აქედან ჩანს, სამართლის არსის საკითხი სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა, რომელიც ღრმა მეცნიერულ კვლევას მოითხოვს.

თავი III. ინდივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალი

უნდა ვაღიაროთ რომ ფილოსოფიას და იურისპრუდენციას ყოველთვის აინტერესებდა ინდივიდის, საზოგადოების, სახელმწიფოს და სამართლის ურთიერთდამოკიდებულებას და ცხადია სამართლის ფილოსოფიაც მოწოდებულია მოცემული პრობლემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინდივიდის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის პოლიტიკურ სამართლებრივ ბუნებას, იმ უწყვეტ კავშირის თავისებურებებს, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი იყო მათთვის. საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის იდეალს პირველ რიგში წარმოადგენს ინდივიდი, ადამიანი, მოქალაქე, პიროვნება განურჩევლად ეროვნული, რასობრივი თუ სოციალური წარმოშობისა, რელიგიური მრწამსისა თუ პოლიტიკური შეხედულებისა. სახელმწიფო კი მოვალეა ადამიანს შეუქმნას ყველა პირობა იმისათვის რომ მან გამოავლინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობანი ვინაიდან ადამიანი უმთავრესი ფასეულობაა არსებულ ფასეულობათა შორის, შეუძლებელია ჩვენ საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალი ადამიანის, ინდივიდის გარეშე წარმოვიდგინოთ და შემთხვევით როდი აღმოცენებულა ფილოსოფიური და იურიდიული შინაარსის ტერმინი „ადამიანის უფლება“, რომელიც თავის ისტორიას ძვ. წ. აღრ.-ის VI-V საუკუნეებიდან იწყებს, როდესაც ძველ ჩინეთსა და ძველ საბერძნეთში დიდმა მოაზროვნეებმა ბუნებითი სამართლის მოშველიებით იწყეს იმის მტკიცება, რომ ადამიანები დაბადებით თანასწორნი არიან და გააჩნიათ ბუნებით ნაბოძები თანაბარი უფლებები.

ფეოდალიზმის პირობებში ბუნებითი სამართლის ბევრმა იდეამ (სიცოცხლის უფლება, საკუთრების უფლება, ოჯახის შექმნის უფლება) რელიგიური ხასიათი შეიძინა, რომელთაც შეძევგ განვითარება პოვეს ლოკის, მონტესკიეს, რუსოს, კანტის, ჰეგელისა და სხვა მოაზროვნეთა შრომებში, ევროპულმა განმანათლებლობამ კიდევ უფრო განავრცო მოცემული იდეები, მათ დაუმატა სინდისის, სიტყვის, შრომისა და სხვა უფლებები. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ პირველ იურიდიულ დოკუმენტებს კი წარმოადგენენ ინგლისში 1215 წელს მიღებული თავისუფლების დიდი ქარტია,

1628 წლის პეტიცია უფლებების შესახებ; 1688 წლის „უფლებების დეკლარაცია“, აშშ-ი 1776 წელს გამოქვეყნებული ვირჯინიის დეკლარაცია, 1787 წელს მიღებული კონსტიტუცია; 1789 წელს საფრანგეთში გამოცხადებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. მოგვიანებით 1948 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, ასევე 1966 წელს დადებულ იქნა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“; 1975 წელს კი დაიდო „ჰელსინკის თათბირის შეთანხმება“. ადამიანის უფლებები გარდა ამისა დაცულია მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შიდასახელმწიფოებრივი კანონებით.

დღეისათვის არსებობს ტერმინი „მოქალაქის უფლებები“ და „პიროვნების უფლებები“ „პიროვნების უფლებები“ უფრო ფართო იურიდიული ტერმინია ვინემ „მოქალაქის უფლებები“ ვინაიდან იგი არ შემოიზღუდება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიათა თუ კონსტიტუციით, ეროვნებით, რასითა თუ რელიგიური აღმსარებლობით. იგი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირებისა და დაცვის ობიექტია „პიროვნებაში“ იგულისხმება ადამიანი, ინდივიდი, მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, ლტოლვილი.

„ადამიანის უფლება“ იგივე „თავისუფლება“ თითოეული ადამიანის თანდაყოლილი უფლებაა, რომელსაც მას სახელმწიფო როდი ჩუქნის, სახელმწიფო „ადამიანის უფლებას“ მხოლოდ კონსტიტუციურად აყალიბებს და თავის თავზე იღებს ვალდებულებას დაცვას ამ უფლების ქვეშ ნაუხსლიხმევი მთელი რიგი უფლებანი, როგორცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობას, საკუთრების, სინდისის, სიტყვის, პრესის, შრომის, განათლების და ა. შ. ხშირად „ადამიანის უფლების“ გვერდით ვხვდებით „მოქალაქის უფლებას“, „პიროვნების უფლებას“. საუკუნეების მანძილზე ინდივიდის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართალს შორის არსებობდა გაუცდობების, სახელმწიფოსა და სამართალს შორის არსებობდა გაუცხოება, ურთიერთმტრობა, მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებიდან იწყება მათ შორის გარდატეხის პროცესი, როდესაც ინდივიდის ადამიანის უფლებებით დაინტერესდა როგორც საზოგადოება ისე სახელმწიფოც და კაპიტალისტურ ეპოქაში არსებულმა სამართალმა ადამიანის ბევრი უფლება აღიარა. სოციალიზმის

პირობებშიც სახელმწიფომ თვალში საცემი ღონისძიებები გაატარა ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების ირგვლივ (უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, ადამიანთა მასობრივი დასაქმება და ა. შ.) მაგრამ სუსტი იყო ამ უფლებების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. სახელმწიფოში არსებული ტოტალიტარულ-ბიუროკრატიული რეჟიმი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

დღეს ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მოცემულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში და კონკრეტული ქვეყნების კონსტიტუციებში. საზოგადოების ცხოვრებისეული მოთხოვნილებების გათვალისწინებით თანამედროვე პირობებში ადამიანის უფლებებში მოიაზრება მისი ეკონომიკური, სამოქალაქო (პირადი) პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ინფორმაციული უფლებები. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ უფლებებთან ერთად ადამიანსა და მოქალაქეს მოცემული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და კონსტიტუციების მიხედვით აკისრია მოვალეობანიც. კერძოდ, ადამიანი მოვალეა რომ პატივი სცეს საზოგადოებას, სახელმწიფოს, არსებულ სამართალს, სხვა ადამიანთა უფლებებს, გადაიხადოს კანონით დაწესებული გადასახადი, მოიხადოს სავალდებულო სამხედრო სამსახური, დაიცვას გარემო, ისტორიისა და კულტურის ძეგლები და ა. შ.

დღევანდელი განათლებული კაცობრიობა „ადამიანის“, „მოქალაქის“, „პიროვნების“ უფლებებს მჭიდროდ უკავშირებს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეაზე, რომელიც პირველ რიგში არის ფილოსოფიურ-სამართლებრივი თეორია, რომლის ყურადღების ცენტრშია სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობა სამართლებრივი კანონების საფუძველზე, რომლის დროსაც დაცული აღმოჩნდება ადამიანის უფლება თავისუფლებანი. მოცემული თეორია მიჩნეულ უნდა იქნეს საზოგადოების ცივილიზაციის ერთ-ერთ პროგრესულ მიღწევად, რომელსაც ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია გააჩნია.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია აღმოცენდა ძველ საბერძნეთში (პლატონი, არისტოტელე) განვითარება პოვა ძველ

რომში (პოლიბოსი, ციცერონი, რომაელი ლეგისტები) ხოლო ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალ ეპოქაში ანტიკურ სამყაროში შემუშავებული ეს თეორია მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი ჯ. ლოკის, შ. ლ. მონტესკიეს, ი. კანტის, ფ. ჰეგელის, ბ. კონსტანის, თ. ჯეფერსონისა და სხვა მოაზროვნეების მიერ. თვით ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილ იქნა XIX საუკუნის დასაწყისში გერმანელი მკვლევარების კ. ვილკერისა და ფონ მოლის მიერ.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ანტიკურ ეპოქაში ადამიანის უფლება-თავისუფლებაში იგულისხმებოდა მისი პოლიტიკური თავისუფლება, ანუ ადამიანის შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოებრივ საქმეებში, ხოლო სამართლებრივი სახელმწიფოს გვიანი ხანის თეორეტიკოსები ადამიანის უფლება-თავისუფლებაში გულისხმობდნენ როგორც პოლიტიკურ ასევე სამოქალაქო-თავისუფლებას, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ სამოქალაქო თავისუფლების პრობლემას, რომელიც ადამიანის შესაძლებლობას მისცემდა მეტნაკლებად თავისუფალი ყოფილიყო სახელმწიფოსაგან. პრობლემის არსს ამგვარადვე უდებოდა XIX საუკუნეებში ჩამოყალიბებული და დღისათვის მსოფლიოს დიდ ნაწილში დამკვიდრებულ ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის წარმომადგენელთა აზრით სამართლებრივ სახელმწიფოს გააჩნია თავისი ძირითადი ნიშნები, იგივე პრინციპები. ესენია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, სახალხო სუვერენიტეტი, სამართლებრივი კანონების ბატონობა, მაღალი სამართლებრივი კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატიული საარჩევნო სისტემა, მრავალპარტიულობა, პლურალიზმი და საჯაროობა.

არ არის დასაძალი ისიც, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიასა და თანამედროვე პრაქტიკას შორის სრული ჰარმონია არ არსებობს, ასევე სრული მოცულობით როდია რეალიზებული ადამიანის უფლებების ირგვლივ მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და კონსტიტუციური ნორმები, მაგრამ ისტორია გვარწმუნებს, რომ მსგავსი თეორიების, აქტების, დეკლარაციებისა და ნორმების გარეშე არ იქნებოდა ჩვენი დროის სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც სისხლხორცულადაა დაინტერესებული საზოგადოების სრული დემოკრატიზაციით,

საერთაშორისო მშვიდობის დამყარებით და ადამიანის უფლებების დაცვით, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია კაცობრიობის პროგრესი. რაც შეეხება საზოგადოებას, მისი როგორც სოციალური მოვლენის ფილოსოფიურ სამართლებრივი კუთხით შესაწვლა ეს სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული საზოგადოება ეს არის ადამიანთა კავშირის რთული საკუთარი გზით განვითარებადი სოციალური სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს ცალკეულ ადამიანთა, მათი ჯგუფების ეთნიკური, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური წარმომადგენლობების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, მორალურ და რელიგიურ ურთიერთობებსა და ინტერესებს. კაცობრიობის იტორია იცნობს პირველყოფილ, მონათმფლობელურ, ფეოდალურ, ბურჟუაზიულ, სოციალისტურ და თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებას. საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა ჯერ სოციალური შემდეგ კი პოლიტიკური ინსტიტუტების გარეშე. ისტორიულად საზოგადოების პირველ სოციალურ ინსტიტუტებად გვევლინებიან ოჯახი, თემი, ტომი, მოგვიანებით აღმოცენდნენ სხვა სოციალური ინსტიტუტებიც რელიგიურ მიმდინარებობების, სავაჭრო გილდიებისა და ხელოსნური ამქრების სახით. დღეისათვის საზოგადოების სოციალურ ინსტიტუტებად გვევლინებიან მთელი რივი არასამთავრობო ორგანიზაციები. საზოგადოების პროგრესის გზით სვლას მოჰყვა პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნაც. პოლიტიკური ინსტიტუტებიდან პირველად სახელმწიფო აღმოცენდა თავისი პირვანდელი პრიმიტიული ფორმით, შემდეგ კი პოლიტიკური ინსტიტუტების რანგში საზოგადოების წიაღიდან იშვნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, სამთავრობო ორგანიზაციები.

სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების გვერდით საზოგადოებას გააჩნია თავისი პოლიტიკური სისტემაც, რომელიც ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც ადამიანთა გაერთიანების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი და ერთმანეთს განსაზღვრავენ, რომლის დროსაც თითოეული სოციალური ჯგუფი პოლიტიკური პარტია, ეთნოსი, ერი, რასა თუ რე-

ლიგიური მიმდინარეობა სახელმწიფოსა და სამართლის მეშვეობით ცდილობს მიაღწიოს თავის პოლიტიკურ მიზანს.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას თავის მხრივ გააჩნია საკუთარი წყაროები. ესენია: 1. პოლიტიკური გაერთიანებები (სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები); 2. პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდებიან პოლიტიკური სისტემის ცალკეულ სტრუქტურებს შორის; 3. პოლიტიკური ნორმები და ტრადიციები, რომელთა მეშვეობით ხდება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგება; 4. პოლიტიკური შეგნება, რომელშიც გამოიხატება პოლიტიკური სისტემის ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ხასიათი; 5. პოლიტიკურ მოქმედება, რომლის განმანორციელებლად გვევლინებიან როგორც პოლიტიკური გაერთიანებანი ასევე ცალკეული პიროვნებანი. საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას ახასიათებს მუდმივი განვითარება. მის მთავარ შემადგენელ ელემენტებად გვევლინებიან სახელმწიფო, სამართალი, პოლიტიკა, რელიგია, ეკონომიკა და კულტურა. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალობაზე იშვა სამოქალაქო საზოგადოების იდეა, რომელი იდეაც დღეისათვის არაა ინტერესმოკლებული, ვინაიდან სწორად მას უკავშირდება სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება.

სამოქალაქო საზოგადოებაში იგულისხმება ისეთი თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოება, რომელიც ორიენტირებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლება-თავისუფლებებზე, პატივს სცემს კანონებსა და ზოგადჰუმანურ იდეალებს, შემუშავებული აქვს სახელმწიფოს საქმიანობაზე კონტროლის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები და ხელს უწყობს თითოეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის, ეთნოსის, ერის თუ რასის შემოქმედებით პოლიტიკურ-სამართლებრივ, ეკონომიკურ-კულტურულ საქმიანობას. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებია პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საარჩევნო სისტემა. სამოქალაქო საზოგადოების შემქნა მთავარი პირობაა დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა.

სამართლის ფილოსოფიაში გამოყოფენ სამოქალაქო საზოგადოების შემდეგ ნიშნებს. იგი თავისუფალი და თანასწორი ინდივი-

დების ერთიანობა, ღია სოციალური გაერთიანებაა, პლურალისტური საზოგადოებაა, თვითგანვითარებადი და თვითმართვადი სისტემაა, სამართლებრივ-დემოკრატიული საზოგადოებაა. სამოქალაქო საზოგადოების სისტემაში პირობითად შეიძლება გამოვყოთ ძირითადი სტრუქტურა: 1. სოციალური; 2. ეკონომიკური; 3. პოლიტიკური; 4. სამართლებრივი; 5. სულიერ კულტურული; 6. ინფორმაციული.

როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ურთიერდამოკიდებულების საკითხზე ბუნებრივია დაისმის კითხვა თუ როგორი ურთიერთობა არსებობს საერთოდ საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, არის თუ არა მათ შორის განსახვავება, დაპირისპირება, საერთო ნება და ა. შ.

უკანასკნელ ხანებამდე მკვლევარები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების პრობლემას, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი საზოგადოებას და სახელმწიფოს ერთმანეთთან აიგივებდა, არადა ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ საზოგადოება სახელმწიფომდე დიდი ხნით ადრე აღმოცენდა და ასწლეულების მანძილზე იგი სახელმწიფოს გარეშე „მშვენიერად გრძნობდა თავს“. მხოლოდ ისტორიული განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე იგრძნო საზოგადოებამ სახელმწიფოს აუცილებლობა, კერძოდ, როდესაც საზოგადოებაში თავი წამოყვეს ანტისაზოგადოებრივმა ელემენტებმა და გამწვავდა ურთიერთობა განსხვავებული ინტერესების მქონე ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის. საზოგადოებამაც უტყუარად იგრძნო დროის მაჯისცემა და თავისი წიაღიდან შვა სახელმწიფო.

ცხადია, სახელმწიფო აღმოცენდა, როგორც საზოგადოების მოწყობის ახალი ფორმა, რომელმაც შეცვალა უკვე დრომოჭმული გვაროვნული ორგანიზაციის ფორმა და ამ მომენტიდან სახელმწიფო ეს არის სტრუქტურულად რთული საზოგადოების ორგანიზების ფორმა, რომელიც როგორც სოციალურ-პოლიტიკური დაწესებულება საზოგადოებაში ასრულებს მთელ რიგ ფუნქციებს. მისი მთავარი დანიშნულებაა სოციალური პრობლემების მოწესრიგება საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, რომლის დროსაც იგი თრგუნავს ანტისაზოგადოებრივ, ანტისახელმწიფოებრივ ძალებს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გვევლინება საზოგადოების მხსნელის როლში. მართალია კლასობრივი საზოგადოების პირობებში სახელ-

მწიფო ეკონომიკურად გაბატონებული კლასის მხარეზე დგება, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც იგი ასრულებს დადებით კონსტრუქციულ-სოციალურ ფუნქციებს.

ფრიად საყურადღებოა, რომ სახელმწიფოს აღმოცენებიდან იწყება მისი რთული და მრავალმხრივი ურთიერთობა საზოგადოებასთან, რომლის დროსაც იგი ისტორიის კაპრიზებიდან გამომდინარე ხან ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესებს, ხან საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილისას, ხან ექცევა საზოგადოების უკიდურესი გავლენის ქვეშ, ხანაც კიდევ უკიდურესად გაბატონდება მთელი საზოგადოების თავზე, დგება მასზე მაღლა, იჭრება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, რითაც ასუსტებს საზოგადოებრივ ორგანიზმს, რაც უარყოფითად აისახება თავად სახელმწიფოს ბუნებაში. ე. ი. მოძიებულ უნდა იქნეს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას და სახელმწიფოს უხეშად არ შეიჭრნენ ერთმანეთის ფუნქციებში. საერთოდ კი, თვალში საცემია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ვითარდება საზოგადოებასთან ერთად, ხდება შედარებით თანამედროვე და ცივილიზებული, საზოგადოების მხრივ მისი ერთგვარი კონტროლი გამართლებულად მოხჩანს, მაგრამ სახელმწიფო ამავე დროს ინარჩუნებს ერთგვარ დამოუკიდებლობას საზოგადოებისაგან, რაც მისაღებია, ვინაიდან ამის გარეშე სახელმწიფოს არ შეეძლება თავისი ორგანოების მეშვეობით საჭიროებისას აქტიურად ჩაერიოს საზოგადოების მრავალფეროვან ცხოვრებისეულ სფეროებში.

თითქმის ანალოგიური სურათი იკვეთება საზოგადოებისა და სამართლის ურთიერთობებისას. ეჭვგარეშეა, რომ სამართალი პირველ რიგში აღმოცენდება საზოგადოებაში არსებული შიდა დაპირისპირების ნიადაგზე. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი გრძნობს მის აუცილებლობას, რომ სწორედ სამართალს ეხელეწიფება საზოგადოებაში დაამკვიდროს ორგანიზებულობა, სტაბილურობა და სამართლებრივი წესრიგი. აღმოცენდება რა ობიექტური მიზეზებიდან სამართალი უკვე აქტიურად მოქმედებს საზოგადოებაზე, მაგრამ ვითარდება არსებული საზოგადოების ეკონომიკური, სამართლებრივი და სულიერი განვითარების საზღვრების ფარგლებში, რომლის დროსაც სამართალი თავის ორგანიზმში იწოვს საზოგადოების არსებული მთელ სოციალურ ფასეულობებს, კერძოდ ჩვე-

ულეებს, ზნობრივ და რელიგიურ ნორმებს, ამავე დროს, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის მიღწევებს. ყოველივე ამის ფონზე სამართალი ერთგვარად დამოუკიდებელი სოციალური მოვლენა ხდება საზოგადოებისაგან, რომელსაც საზოგადოებაში შეაქვს სამართლებრივი იდეები სიკეთესა და ბოროტებაზე, სამართლიანობაზე და უსამართლობაზე, ადამიანთ უფლებებზე და მოვალეობებზე, დანაშაულზე და სასჯელზე და ა. შ. ამავდროულად სამართალი აქრობს სოციალურ კონფლიქტებს, რაც დადებითად აისახება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში.

სახელმწიფოს მსგავსად სამართლის ბუნებაშიც დევს მისი ცვალებადი ხასიათი, ანუ სამართალიც ხან საზოგადოების მხოლოდ გაბატონებული ფენების სამსახურშია, ხან მთელი საზოგადოების თავის ნებას უმორჩილებს ხანაც კი საზოგადოებისაგან უგულვებელყოფილი ხდება, მაგრამ ყველა შემთხვევაში, საზოგადოება უძღურია სამართლის გარეშე იფუნქციონიროს, საზოგადოება, რომელსაც სამართალი არ გააჩნია დაღუპვისთვისაა განწირული. ეს რეალობა გათვითცნობიერებული აქვს საზოგადოებასაც და მთელი ძალისხმევით ცდილობს შეძლიოს და მხარი დაუჭიროს მისთვის მისაღებ სამართალს, ე. ი. სამართალსაც სახელმწიფოს დარად არ შეუძლია თავი სრულებით დააღწიოს საზოგადოების გავლენას. მან ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებრივი აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფილ იქნება საზოგადოების მიერ, ხოლო თუ სახელმწიფო შეეცდება ძალით მოახვიოს თავზე საზოგადოებას ამ უკანასკნელისათვის მიუღებელი სამართალი, მაშინ ეს ღონისძიება გამოიწვევს ანარქიას საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, რის შედეგადაც დაზარალდება ინდივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალიც.

უფრო რთულად გვეჩვენება ჩვენ სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობის პრობლემა. უკანასკნელ ხანებში ამ პრობლემის ირგვლივ გამოიკვეთა ორი მეცნიერული პოზიცია იგივე თეორიული კონცეფცია. 1. ტოტალიტარული კონცეფცია; 2. ლიბერალური კონცეფცია.

ტოტალიტარული კონცეფციის თანახმად სამართალი იქმნება სახელმწიფოს მიერ, როგორც თავისი პოლიტიკის რეალიზების ერთ-ერთი ბერკეტი და აქედან გამომდინარე სამართალი სახელ-

მწიფოზეა დამოკიდებული, ანუ იგნორირებულია საზოგადოების როლი სამართალშემოქმედებით პროცესში.

თავის მხრივ, ლიბერალური კონცეფცია ეყრდნობა რა ბუნებითი სამართლის თეორიას, აცხადებს, რომ სამართალი მალა დგას სახელმწიფოზე ვინაიდან საზოგადოებაში პირველად სამართალი აღმოცენდა და არა სახელმწიფო, ე. ი. აქ საქმე გვაქვს მეორე უკიდურესობასთან და საერთოდ, ორივე ეს კონცეფცია ერთმანეთისაგან თიშავს საზოგადოებას, სახელმწიფოსა და სამართალს და ერთმანეთს უპირისპირებს სახელმწიფოსა და სამართალს, რაც არ უნდა იქნეს გაზიარებული. ჩვენის მხრივ უნდა მივუთითოთ, რომ საზოგადოებაში მართალია ჯერ სამართალი აღმოცენდა და მერე სახელმწიფო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის სრული ჰარმონია არსებობს, ანდა უკიდურესია დაპირისპირება, ანდა უფრო მეტი სრული განცალკევება.

საზოგადოებას, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია ადასტურებს, რომ ისინი მუდამ ერთმანეთს განსაზღვრავდნენ, ერთმანეთზე ზემოქმედებდნენ, მათ შორის ადგილი ჰქონდა მეტნაკლებ დაპირისპირებას და ჰარმონიას და ამ პროცესიდან ჩვენ ვერ გამოვთმავთ სახელმწიფოსა და სამართალსაც. სახელმწიფო და სამართლის განცალკევება შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება, ვინაიდან ორივე მათგანი საზოგადოების წიაღიდან მოდის, მათ საერთო სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები გააჩნიათ და ერთ საერთო მიზანს ემსახურებიან, მათი იზოლირებულად არსებობა — განვითარება კი წარმოუდგენელია.

ხოლო თუ რამდენად ვანიცილიან (თითქმის თანაბარზომიერად) სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების გავლენას ეს შეუიარაღებელი თვალთაც აშკარად ჩანს. უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო უშუალოდ თვით კი არ ქმნის პოლიტიკურ სამართალს არამედ იგი მხოლოდ იურიდიულ სახეს აძლევს ყოველივე იმას, რაც საზოგადოების ობიექტური მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, რაზედაც საზოგადოებას ობიექტური პრეტენზიები გააჩნია. დიდია სახელმწიფოს როლი სამართლის რეალიზაციის პროცესში. სამართლის უკან ყოველთვის სახელმწიფო დგას, რომელიც ყველა დანარჩენს აიძულებს დაემორჩილოს სამართლის მოთხოვნებს, მაგრამ

ამავე დროს თვითონაც ზუსტად იცავს მათ. ე. ი. აქედან გამომდინარე დასკვნა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე სამართალს არსებობა არ შეუძლია, მაგრამ თვითონ სახელმწიფოს არსებობაც წარმოუდგენელია სამართლის გარეშე.

როგორც წესი სამართალი იურიდიულ სახეს აძლევს სახელმწიფოს, არეგულირებს მისი სქმიანობის ყველა სფეროს, მისი მეშვეობით იქმნება სახელმწიფო ხელისუფლებასა და მმართველობის უმაღლესი თუ ადგილობრივი ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემა, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობათა ფარგლები, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობები და ა. შ. ანუ სახელმწიფო და სამართალი შესწავლილ უნდა იქნეს მათი ერთობლიობაში. მაგრამ ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სახელმწიფოსა და პოზიტიურ სამართალს შორის არსებულ ურთიერთობაზე და არა საერთოდ სამართალსა და სახელმწიფოს ურთიერთობებზე. სახელმწიფოს როგორც წესი პირველ რიგში აინტერესებს პოზიტიური, დადებითი სამართალი, სამართლის სხვა სახეები მას იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იცავენ ისინი მის ინტერესებს საზოგადოებაში (რელიგიური სამართლის ნორმები, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, ბუნებითი სამართლის ნორმები, კორპორაციული სამართლის ნორმები) მხოლოდ ინდივიდის და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა და შეიძის ამოცანა — თანაბარი ყურადღება დაუთმოს კაცობრიობისათვის ცნობილი სამართლის ცალკეულ სახეებს (ბუნებითი, ღვთიური, ჩვეულებითი, პოზიტიური, საკორპორაციო) ვინაიდან სახელმწიფო ისტორიული ეპოქების მიხედვით ხშირად ცვლის თავის პოლიტიკურ რეჟიმს ქვეყანაში ცვლის პოზიტიურ სამართალსაც მაგრამ თითქმის უცვლელნი რჩებიან ბუნებითი, ღვთიური და ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომლებიც ყოველთვის ინდივიდისა და საზოგადოების უპირველეს მოთხოვნებს გამოსატავენ, ხოლო თუ რა ფორმით ვლინდება ყოველივე ეს სწორედ ამას უნდა გასცეს პასუხი სამართლის ფილოსოფიამ. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ამ საკითხით იმთავითვე დაინტერესდა ძველი აღმოსავლური, ძველი ბერძნული და ძველი რომაული სამართლის ფილოსოფია, ანუ ზოგადად მონათმფლობელური ეპოქის სამართლის ფილოსოფია.

თავი IV. ძველი აღმოსავლური სამართლის ფილოსოფია

სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კაცობრიობის ისტორიაში პირველი ადრეკლასობრივი საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალი ჩამოყალიბდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ ჩვ. წ. აღრ.-მდე ამ ადრეკლასობრივი საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების კვალდაკვალ რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდება ძველ აღმოსავლეთში ხდება ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზრის წარმოშობა უპირატესად მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების ნიადაგზე. მაგრამ ფაქტია, სამართლის ფილოსოფია უკვე იწყებს თავის ისტორიას.

ძველ აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხების — ეგვიპტელების, ბაბილონელების, ინდოელების, ჩინელების, შუმერების ხეთელების, ასირიელების, ურარტუელების, ფინიკიელების, სპარსელების, ებრაელებისა და სხვათა მიხედვით საზოგადოებრივი მოვლენები და მათ შორის სამართალი უშუალო კავშირშია ბუნების მოვლენებთან, კოსმოსურ წესრიგთან, რაც თავის მხრივ ღვთიური წარმოშობისაა. აქ აღმოცენებული მითოლოგიური ვერსიების მიხედვით სწორედ ღვთის ნება განსაზღვრავს ადამიანთა ამქვეყნიურ ცხოვრებას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, სამართლიანობას და უსამართლობას, ომიანობას და მშვიდობას. ღმერთების ნებაა გამოსატული ცალკე აღებულ ყოველ საზოგადოებაში, სახელმწიფოში, ხელისუფლებაში, სამართალში და კანონში. უნდა ითქვას ისიც, რომ ძველი აღმოსავლური მითოლოგიისა და რელიგიის ძირითად თემას ღმერთები წარმოადგენენ, მაგრამ მითიურ ღმერთებსა და რელიგიურ ღმერთებს შორის განსხვავებაც შეიმჩნევა, კერძოდ მითოლოგიურ თქმულებებში ღმერთები წარმოდგენილი არიან როგორც ემპირიულად არსებული რეალური სუბიექტები, მაშინ როდესაც რელიგიური ღმერთები მოცულნი არიან ზებუნებრივი საიდუმლოების შარავანდედით, თუმცა ორივე შემთხვევაში ისინი საზოგადოების გაბატონებული ფენების ინტერესების სამსახურში არიან.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მითოლოგიურ-რელიგიურ წრმოდგენებით გაჯერებული ფილოსოფიურ-სამართლებრივმა შეხედულებები პირველად ძველ ეგვიპტეში ჩამოყალიბდა, რომლებმაც ჩვენამდე ე. წ. „სწავლებების“ ფორმით მოაღწია. ამ „სწავლებებიდან“ გამოსაყოფია კაგემნის სწავლება, პტახოტეპის სწავლება, მეფე ახტოის სწავლება, ამენემჰეტ მეფის სწავლება, იპუსერის სწავლება, ამენემოპეს სწავლება. სწავლებების ავტორები (მეფეები, ვეზირები, არისტოკრატიის წარმომადგენლები) გადმოგვცემენ საკუთარ შეხედულებებს სახელმწიფოსა და სამართალთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემებზე, ისინი აგრეთვე თავიანთ მემკვიდრეებს და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს აძლევენ საყურადღებო რჩევა დარიგებას.

შინაარსის მიხედვით, „სწავლებები“ წარმოადგენენ ფილოსოფიურ-სამართლებრივი ხასიათის ნაშრომებს, რომელთა მიზანია არსებული მონათმფლობელური საზოგადოების შენარჩუნება-განმტკიცება. ცხადია, ისინი პირველ რიგში მონათმფლობელური სახელმწიფოსა და სამართლის მეხოტბენი არიან, ხოლო „სწავლებებში“ ჩამოყალიბებული მათი სამართლებრივი შეხედულებანი შემდგომ მონათმფლობელური სამართლებრივი ნორმების შექმნას უწყობენ ხელს.

„სწავლებებში“ სამეფო ხელისუფლება ღმერთის მიერ შექმნილად არის მიჩნეული. ფორანი გამოცხადებულია ღვთის მოადგილედ და მისი ნების განმახორციელებლად დედამიწაზე, გამართლებულია სოციალური და ქონებრივი უთანასწორობა არსებული სახელმწიფო და სამართალი მარადიულად არის გამოცხადებული და ა. შ. „სწავლებებიდან“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მეფე ახტოის სწავლება“, რომელშიც გადმოცემულია მონათმფლობელურ ეგვიპტეში არსებული შეხედულებანი კანონის, სამართალდარღვევისა და სასჯელთა არსისა და დანიშნულების შესახებ. ნაწარმოებს ავტორის აზრით ვინაიდან სამეფო ხელისუფლება ღვთიური წარმოშობისაა, მეფე ქვეყნის მართვისას შეუხლდველია და კანონია ის, რასაც მეფე ბრძანებს, ხოლო ქვეშევრდომებმა უსიტყვოდ უნდა შესრულონ მეფის მიერ დაწესებული კანონები. სამართალდარღვევებიდან განსაკუთრებით საშიშად მიჩნეულია ძარცვა და ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებანი, რომელთა დროს მეფემ

უნდა გამოიყენოს მძიმე სასჯელები დამნაშავეთა მიმართ. „დასაჯე დამნაშავე, შენ გაგამართლებს ღმერთი... შენ სჯი საკუთარი კანონებით, ნუ დასჯი იმ ადამიანს, ვისაც კანონი არ დაურღვევია. დათრგუნე ბრბო, ჩააქრე მის მიერ გაჩაღებული ხანძარი, ნუ შეიბრალებ იმას ვინც გმტრობს, ვინაიდან ის, რასაც აკეთებს აჯანყებული შენს წინააღმდეგ ზეცასაც ეზიზღება“. აცხადებს მეფე ახტოი. როგორც აქედან ჩანს, სასჯელის მთავარ დანიშნულებას შეადგენს ხალხის დაშინება. ყურადსაღებია ისიც, რომ მეფე ახტოი თავის სწავლებაში ეხება საერთაშორისო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ომის წარმოების წესები. მისი მტკიცებით არსებობს ორი სახის ომი — სამართლიანი და უსამართლო. სამართლიანია ის ომი, რომლის დაწყებას წინ უძღვის მისი გამოცხადება, ხოლო ომის გამოცხადების გარეშე წარმოებული ყველა ომი უსამართლოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

მონათმფლობელური სამართლებრივი იდეოლოგია ცხადად ჩანს ძველ ბაბილონში ძველი წ. აღრიცხვის XVIII საუკუნეში შექმნილ ცნობილ „ჰამურაბას კანონებშიც“. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში — შესავალში ჩამოთვლილია მიზეზები, რამაც განაპირობა კანონების დადგენის აუცილებლობა, აქვეა გადმოცემული ზოგადი მოძღვრება სამყაროს, სახელმწიფოს, საზოგადოების, სამართლისა და სხვათა შესახებ. მეორე ნაწილი დათმობილი აქვს კანონთა ტექსტს, ხოლო მესამე ნაწილში — დასკვნაში ჰამურაბი ქვეშევრდომებისაგან მოითხოვს მის მიერ დადგენილი კანონების შესრულებას. სამივე ნაწილში აშკარად იკვეთება ქვეყანაში გაბატონებული სოციალური ფენების პოლიტიკურ-სამართლებრივი ინტერესები სწორედ ამიტომაც შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მეფე ჰამურაბი მოცემული კანონების შემოღებას აცხადებს როგორც ძველი ბაბილონის მზის, სამართლისა და სამართლიანობის ღმერთის შამაშის ნების აღსრულებას, რომელიც მკაცრად სჯის ყოველგვარ ბოროტებას, სიცრუეს, უკანონობას და უსამართლობას. ანუ არსებული კანონები და სამართალი საერთოდ გამოცხადებულია როგორც მთელი საზოგადოების ინტერესების დამცველი და ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების საშუალება, ამავდროულად, როგორც ამაზე ცნობილი მეცნიერები მიუთითებენ ყურადღებას იქცევს ჰამურაბის კანონებში სამართლებ-

რივი, მორალური და რელიგიური ნორმების ერთმანეთისაგან გა-
მიჯვნა, რაც ამ კანონებს პროგრესულობის ხასიათს ანიჭებს.

მაგრამ ჩვენ ვერ გავქვეყნებით იმ გარემოებას, რომ როგორც
მონათმფლობელური სამართლის ძველი „ჰამურაბის კანონები, მთე-
ლი სიმკაცრით იცავს მონათმფლობელობას ეკონომიკურ და პოლი-
ტიკურ საფუძვლებს და უმკაცრეს სასჯელებს აწესებს მათი ხელ-
ყოფისათვის. განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს კანონმდებელი მო-
ნათმფლობელური საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანას-
წორობის დაცვისა და განმტკიცებისათვის, ერთი და იმავე დანაშა-
ულებრივი ქმედებისათვის სხვადასხვა სასჯელს აწესებს იმის მი-
ხედვით, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის ამ მოქმედების
ჩამდენი“.

კანონთა კრებულის შემდგენლის მეფე ჰამურაბის მიხედვით კი
მის მიერ შემოღებული სამართალი სამყაროს მბრძანებელი ღმერ-
თების ნება-სურვილს გამოხატავს და ამდენად იგი ჭეშმარიტი სა-
მართალია, რომელსაც ადამიანები პატივისცემით უნდა მოეპყრონ
„რათა ძლიერი არ ავიწროვებდეს სუსტს, რათა ობოლსა და
ქვრვის ეპყრობოდნენ სამართლიანად... რათა ქვეყნად სუფევდეს
მართლმსაჯულება, რათა ამქვეყნად ღვინდებოდეს განაჩენები მე
გამოვკვეთე ჩემი ძვირფასი სიტყვები ჩემს ძველზე და ღვადგი ჩე-
მი, სამართლიანი მეფის გამოსახულების წინაშე“ როგორც აქედან
ჩანს მეფე ჰამურაბის სიტყვებით სამართლიანი სამართალია ის,
რასაც ქვეყნის ერთპიროვნული მმართველები გამოსცემენ ამკვიდ-
რებენ და იცავენ.

მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების გავლენით იქ-
მნებოდა ძველი ინდოეთის ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზრიც
და ეს წითელი ზოლივით გასდევს ქვეყანაში აღმოცენებული სამი
უდიდესი ფილოსოფიური და რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარე-
ობის ბრაჰმანიზმის, ჯაინიზმისა და ბუდიზმის მიერ შექმნილი პო-
ლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებებს სახელმწიფოზე, სამართალ-
ზე, პოლიტიკაზე, რელიგიაზე, საზოგადოების კასტურ სისტემაზე.
ძვ. ინდოეთის სამართლებრივ აზროვნებაში სახელმწიფოზე და სა-
მართალზე არსებულ რელიგიურ შეხედულებებს ერთგვარად დაუ-
პირისპირდა ძვ. წ. აღრ. IV საუკუნის დასასრულს შექმნილი ფი-
ლოსოფიურ-პოლიტიკური შინაარსის ნაწარმოები „ართჰაშასტრა“

ანუ მეცნიერება პოლიტიკის შესახებ, რომლის ავტორად მიჩნეუ-
ლია ბრძენი კაუტილია. თხზულების შესავალში ავტორი მიუთი-
თებს, რომ იგი შექმნილია ადამიანის, საზოგადოების, სახელმწი-
ფოს და სამართლის დაცვის მიზნით, ხოლო თავად ხელმძღვანე-
ლობდა ფილოსოფიით ვინაიდან „ფილოსოფია ყოველთვის არის
ყველა მეცნიერების მანათობელი ლამპარი, ყველა საქმის სრულ-
ქმნის საშუალება, ყველა დაწესებულების დასაყრდენი“.

ნაწარმოები ყურადღებას იქცევს იმ გარემოებით, რომ აქ გად-
მოცემული სამართლებრივი შეხედულებანი თავისუფალია რელიგი-
ური წარმოდგენებისაგან. ადამიანთა არსებობის აუცილებელ პირო-
ბად აღიარებულია არა ღმერთი არამედ მატერიალური სიმდიდრე,
უმთავრესად ნაყოფიერი მიწები, ასევე მინიშნებულია რომ სამარ-
თლის საფუძველს ჭეშმარიტება და სიმართლე შეადგენს, მაგრამ
სამართალი საერთოდ გაგებულია როგორც გაბატონებული სოცია-
ლური ფენების ინტერესების დამცველი კანონების ერთობლიობა,
რომელმაც უნდა უზრუნველყოს ოთხი კასტის: ბრაჰმანების, ქშატ-
რიების, ვაიშიებისა და შუდრების სამართლებრივი დაცვა. ე. ი. სა-
მართალმა უნდა იზრუნოს არსებული საზოგადოებრივი წყობილე-
ბის შენარჩუნებაზე. ნაწარმოების თანახმად თითოეულ კასტას თა-
ვისი კანონი გააჩნია: „კანონი ბრაჰმანისათვის – სწავლა, სხვისი
სწავლება, მსხვერპლის შეწირვა თავისი და სხვისი სახელით, სა-
ჩუქრების გაცემა და მიღება; კანონი ქშატრიისათვის – სწავლა,
მსხვერპლის შეწირვა, საჩუქრების გაცემა, სამხედრო საქმიანობა,
ცოცხალ არსებათა დაცვა; კანონი ვაიშისათვის – სწავლა,
მსხვერპლის შეწირვა, საჩუქრების გაცემა, მიწათმოქმედება მესა-
ქონლეობა, ვაჭრობა; კანონი შუდრასათვის – ორჯერ დაბადებუ-
ლისადმი მორჩილებაში ყოფნა, მათ მეურნეობაში მუშაობა, ხე-
ლოსნობა და მსახიობობა“.

კაუტილიას შეხედულებით კანონებში მოცემული ქცევის სა-
ვალდებულო წესები ჭეშმარიტი და სავალდებულოა ადამიანები-
სათვის, თუმცა მათ შორის ბევრს არ ესმის კანონის სარგებლია-
ნობა: „ჭკვიანსა და განსწავლულს ესმის კანონი, მისი სარგებლია-
ნობა და შესაბამისად მოქმედებს, ეს ესმის შეზღუდული გონების
ადამიანსაც, მაგრამ კანონის შესაბამისად მაინც არ მოქმედებს, სუ-
ლელი ყოველთვის სულელურად მოქმედებს – სძულს კანონიც და

სარეგულირებელი კანონების დაცვისა და განხორციელების გარანტს წარმოადგენს მეფე, რომელიც „თვითონ არის კანონების განმახორციელებელი, იგი იცავს ხალხის ზნეობას და ჩვევებს ოთხი კასტისა და ცხოვრების ოთხი საფეხურის ფარგლებში“.

კანონების გარდა სამართლის ელემენტებად კაუტილიას მიანიჭა სასამართლო პრაქტიკა, ადათები და ხელისუფლების ბრძანებები. „ართჰაშასტრაში“ განვითარებული აზრის მიხედვით სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს სამართლის დამრღვევთა მიმართ სასჯელის აუცილებელ გამოყენებას. სასჯელის შეფარდებისას კი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დამნაშავეის სოციალური მდგომარეობა. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს და სამართალს მრავალი საკითხთან ტრადიციული ფილოსოფიურ-რელიგიური მიდგომისდა მიუხედავად (კასტური სისტემის დაცვა, სამეფო ხელისუფლების აღიარება და ა. შ.) კაუტილიას მიერ განვითარებული სამართლებრივ შეხედულებებში ძველი ინდოეთის ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში პირველად იქნა ჩამოყალიბებული საერო ხასიათის დოქტრინა კანონმდებლობაზე.

ძველი ინდოეთის სამართლებრივი იდეოლოგიას განსაკუთრებული სიღრმით გვიხატავს ცნობილი „მანუს კანონები“, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. იგი ბრაჰმანი ქურუმების მიერ იქნებოდა ოთხი საუკუნის მანძილზე ძვ. წ. აღრ. II საუკუნიდან ახალი წ. აღრ. II საუკუნემდე და აქ საუბარია სამყაროს წარმოშობაზე, სახელმწიფოზე, პოლიტიკაზე, სამართალზე ბევრ სხვა საკითხზე.

„მანუს კანონების“ მიხედვით სამყარო ღვთაებრივი წარმოშობისაა, ამდენად ის ამართლებს საზოგადოებაში არსებულ სოციალურ უთანასწორობას და იცავს ძველ ინდოეთში არსებულ მოსახლეობის კასტურ სისტემას, როდესაც ბრაჰმანები ანუ რელიგიის მსახურები მიჩნეულნი არიან ყველაზე უკეთესობილეს სოციალურ ფენად. მანუს კანონებში ნათქვამია: „ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე უკეთესად ითვლებიან სულიერნი, სულიერ შორის, გონიერნი, გონიერთა შორის ადამიანები, ადამიანთა შორის ბრაჰმანები“.

ბრაჰმანები იბადებიან იმისათვის, რომ დაიცვან დრაჰმები (კანონები, ჩვეულება).

ბუნებრივია „მანუს კანონებში“ მოცემული სამართლებრივი შეხედულებები მთლიანად რელიგიურ საფუძველს ემყარება და გაბატონებული სოციალური ფენების ინტერესებს გამოხატავს. აქედან გამომდინარე, „მანუს კანონების“ მთავარ მიზნად ჩანს ქვეყანაში არსებული კასტური წყობის შენარჩუნება. აქ მოცემული საოჯახო, საქორწინო, სისხლის, ვალდებულებითი და საკუთრების სამართლის ნორმების გვერდით ვხვდებით საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც, რომლებიც ეხებიან ომის წარმოების წესებს.

კანონებში ნათქვამია, რომ „საჭიროა მზადყოფნა ომისათვის, მუდამ ძალის ჩვენება, საიდუმლოებათა დაცვა, მტრის სუსტი მხარეების შეტყობა, ვინც მუდამ მზად არის ომისათვის მისი ემინია მთელ სამყაროს“. აქვე ერთმანეთისაგან არის განსხვავებული ორი სახის ომი. ომი – დაწყებული საკუთარი სახელმწიფოებრივი მიზნების მისაღწევად და ომი – დაწყებული მოკავშირე ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ორივე სახის ომის დროს მეომარი მხარეები ვალდებული არიან დაიცვან საომარი წესები. კერძოდ, მოწინააღმდეგის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული დაკბილული, ცეცხლზე გავარგარებული და მოწამლული იარაღი, რომელიც ზედმეტ ტანჯვას მოუტანს მებრძოლთ, ასევე არ შეიძლება მძინარე, უიარაღო, დაჭრილი და ტყვედ ჩაგარდნილი მტრის მოკვლა, ვინაიდან ყოველივე ეს ეწინააღმდეგება დრაჰმების მოთხოვნებს.

ძველმა აღმოსავლურმა სამართლის ფილოსოფიამ თავისი სრულყოფა ძველ ჩინეთში პოვა, სადაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდნენ მთელი რიგი ცნობილი ფილოსოფოსები და ფილოსოფიურ-სამართლებრივი მიმდინარეობანი. ძველი ჩინეთის ფილოსოფიური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთ უძველეს და უძლიერეს მიმართულებას წარმოადგენს დაოიზმი, რომელსაც სათავე დაუდო ძვ. წ. აღრ.-ის VI საუკუნის უდიდესმა მოაზროვნემ ლაო ძიმ. ლაო ძის ფილოსოფიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები გადმოცემულია მის მიერ დაწერილ ნაშრომში „დაო დე ძინ“ (წიგნი დაოსა და დეს შესახებ).

აღნიშნულ ნაწარმოებში ლაო ძი უარყოფს სამყაროში არსებული მოვლენების ტრადიციულ თეოლოგიურ გაგებას და ამტკიცებს

ცებს რომ სამყაროს მოვლენები ვითარდება არა ზეცაში ღვთაებრივი ძალის კარნახით, არამედ მისგან დამოუკიდებელი ბუნებითი გზით, რომელსაც იგი დაოს უწოდებს. დაო ზეცას, ბუნებას და საზოგადოებას უწესებს კანონებს და ის განასახიერებს უმაღლეს სიკეთესა და სამართლიანობას. დაოსთან მიმართებაში ყველა და ყველაფერი თანასწორია, ვინაიდან იგი ბუნებითი კანონზომიერებაა. დაო არა მარტო სამყაროს ბუნებითი კანონია, არამედ ყველა ნივთის შექმნის მიზეზიცაა, სწორედ ამიტომაც, რომ სამყაროში ყველაფერი რაც კი ჩნდება, ვითარდება და ისპობა „ერთი არსება მიდის, მას სხვები მისდევენ. ერთი ყვავის, მეორე ხმება, ერთი ძლიერდება, მეორე სუსტდება, ერთი ჩნდება, მეორე ინგრევა“. ე. ი. სამყაროს ღვთაებრივი კუთხით ალება მცდარი ჩანს და მისი განვითარება მხოლოდ ბუნების ობიექტურ კანონებს ემყარება ანუ დაოს.

დაოსთან ერთად ლაო ძის თვალსაზრისით სამყაროში არსებული მოვლენებისა და საგნების შეცნობისას შეიმჩნევა რაღაც მუდმივი და უცვლელი, რომელიც ამ მოვლენებისა და საგნების საფუძველს წარმოადგენს. ამას იგი „დეს“ უწოდებს. „დეს“ მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მასში აისახება უზილავი, შეუხებელი მაგრამ არსებული „დაო“. „დაო წარმოიშობს (ნივთებს) „დე“ კვებავს (მათ) ნივთები ფორმდება, ფორმები სრულყოფილი ხდება, ამიტომაც არ არსებობენ ნივთები, რომელთაც არ ამაღლებდეს დაო და პატივს არ სცემდეს დე. დაო ამაღლებულია, დე საპატიო, რადგან ისინი არ იძლევიან ბრძანებებს, არამედ მიჰყვებიან ბუნებრიობას“.

ზემოთმოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ ლაო ძი დაოსა და დეს განიხილავს როგორც სამყაროს შემოქმედ ძალებს, რომელთაგან პირველი წარმოადგენს სამყაროს საერთო-საყოველთაო შინაარსს, არსს, იდეას, ხოლო მეორე სამყაროს არსის გამოვლინებას რეალობაში.

აღსანიშნავია, რომ ლაო ძის ნაშრომში დაო განხილულია როგორც ბუნებითი სამართალი, რომელიც საზოგადოებაში მბრძანებლობდა მანამ, სანამ აღმოცენდებოდა სახელმწიფო და პოზიტიური სამართალი და ეს იყო ბედნიერი ხანა საზოგადოებისათვის ვინაიდან ადამიანები ცხოვრობდნენ ბუნებით მდგომარეობაში, იყვნენ თანასწორნი და ბედნიერნი. მაგრამ თანდათანობით ადამიანებმა იწ-

ყეს სიმდიდრის დაგროვება და მოვლენებისა და ნივთების ბუნებრივი განვითარების პროცესში ჩარევა. სიმდიდრემ გამოიწვია ადამიანთა მხრივ ძალადობა, მტრობა, შური, ძლიერთა მხრივ სუსტების დაჩაგვრა. ბუნებითი დაოს გვერდით სახელმწიფოს კვალდაკვალ გაჩნდა ადამიანური დაო (პოზიტიური სამართალი), რომელიც დაუპირისპირდა ბუნებით სამართლიანობას, ბუნებითი დაოს კანონებს.

ლაო ძის განმარტებით ჭეშმარიტი სამართალი ეს ბუნებითი სამართალია ბუნებითი დაოა, რომელიც ართმევს იმას ვისაც ზედმეტი აქვს და აძლევს იმას, ვისაც იგი ესაჭიროება. ხოლო პოზიტიური სამართალი, იგივე ადამიანური დაო, პირიქით, ართმევს ღარიბებს და აძლევს მდიდრებს, ანუ იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული ნამდვილ ჭეშმარიტ სამართლად.

ძველი ჩინეთის ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში თვალსაჩინო ფიგურებს წარმოადგენენ – კონ ფუძი (ძვ. წ. აღრ. 551-479 წწ.) და მო ძი (ძვ. წ. აღრ. 479-400 წწ.), რომელთა შრომებმა წარუშლელი კვალი დაამჩნიეს ჩინელი ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ცხოვრების წესს სწორედ მათ მიერ იქნა გამოცხადებული ჰუმანიზმის, სამართლიანობის, ადამიანთა ბუნებითი თანასწორობის, ცხოვრების არსებული წესის დაცვის იდეები, რომელთაც ჩინეთში დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა.

ზემოთხსენებული მოაზროვნებისაგან განსხვავებული სამართლებრივი იდეები იქნა წამოყენებული მოგვიანებით ჩინეთში ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივ-იდეოლოგიის-ლეგიზმის წარმომადგენელთა მიერ. ლეგიზმი იგივე კანონისმცოდნეთა (ფაცის) სკოლა ჩინეთში აღმოცენდა ძვ. წ. აღრ.-ის IV საუკუნის შუა ხანებში. მის ცნობილ წარმომადგენლებად გვევლინებიან გუნსუნ იანი, შენ ბუ ხა, ინ ვენი, ხან ფეი და სხვები.

საყურადღებოა, რომ კანონისმცოდნეობა (ფაცის) სკოლის წარმომადგენელთა ძირითადი სამართლებრივი იდეები უპირატესად გადმოცემულია გუნსუნ იანის იგივე შან იანისა (ძვ. წ. აღრ.-ის 390-338 წწ.) და ხან ფეის (ძვ. წ. აღრ.-ის 280-230 წწ.) შრომებში. ლეგიზმის ამ ორი მთავარი იდეოლოგიიდან კი სამართლის, კანონების, სამართლიანობის თუ უსამართლობის, დანაშაულისა და

სასჯელის პრობლემებზე ფრიად ორიგინალური მოსაზრებები აქვს გამოთქმული ხან ფეის.

როგორც ლეგიზმის იდეოლოგი თავის თხზულებებში იგი თავგამოდებით იცავს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში კარგი ანუ მკაცრი კანონების გამოყენების იდეას, ვინაიდან, როგორც იგი აცხადებს, მის წინამორბედ ლევისტებს „დაწვრილებით არ შეუსწავლიათ კანონები და მმართველობის ხელოვნება“ და სათანადოდ ვერ გაუგიათ კანონისა და წესჩვეულებების დაპირისპირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„კანონი არის ის რასაც ადგენს სახელმწიფო“ აცხადებს ხან ფეი. ე. ი. წეს-ჩვეულებასთან შედარებით კანონი საზოგადოებაში უმაღლესია და მის შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ თანამდებობის პირები და ქვეშევრდომები. მისი მტკიცებით კანონები უძველეს დროში არ არსებობდა. მაშინ ადამიანთა ურთიერთობები რეგულირდებოდა დაუწერელი ბუნებითი კანონებით და წეს-ჩვეულებებით. მხოლოდ სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ჩნდება საზოგადოებაში წერილობითი სახით შედგენილი და სახელმწიფოს მიერ შემოღებული კანონები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ქვეყანაში უზრუნველყონ წესრიგი „კანონს მოაქვს წესრიგი, კერძო პირთა ინტერესებს — არეულობა“. კანონები ემსახურებიან სამი მთავარი მიზნის განხორციელებას. პირველი — ისინი ხელს უწყობენ ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებას, მეორე — მათი გამოყენებით ქვეშევრდომები მხოლოდ დამსახურებისდა მიხედვით ღებულობენ ჯილდოს და მესამე — მხოლოდ კანონის მიხედვით უსჯიან სასჯელებს დამნაშავეებს. რეპუტაცია, ჯილდო და სასჯელი კანონის სამ ქვაკუთხედს წარმოადგენს“ ასკენის ხან ფეი.

თავი V. ძველი ბერძნული სამართლის ფილოსოფია

აღსანიშნავია, რომ ძველ ბერძნულ ტომებში ძვ. წ. აღრ. II ათასწლეულის დასასრულიდან ჩნდება სამართლებრივი შინაარსის ტერმინები დიკე (სიმართლე, სამართლიანობა), ტემის (ჩვეულება, ჩვეულებითი სამართალი), ნომოს (კანონი) და ა. შ. ხოლო საზოგადოებრივი მოვლენების ირგვლივ რაციონალურმა, ფილოსოფიურმა შეხედულებებმა ჩასახვა პოვეს უფრო მოგვიანებით ძვ. წ. აღრ. -ის VII-VI საუკუნეებიდან, მანამდე კი ძველ აღმოსავლეთს ქვეყნებში არსებული ვითარების მსგავსად ძველი ბერძნული სამართლებრივი იდეოლოგიაც სამყაროს მოვლენების შეცნობის პროცესში მთლიანად მითოლოგიასა და რელიგიას ეყრდნობა. ყოველივე ეს ნათლად ჩანს ძ. წ. აღრ. -ის VIII საუკუნეში ჰომეროსის მიერ შექმნილ ნაწარმოებში „ილიადა და ოდისეაში“. მასში აღნიშნულია რომ ამქვეყნად სამართლიანობის, კანონიერებისა და ძველი ბერძნების ცხოვრების საწყისი დაკავშირებულია ოლიმპოს ღმერთების ნებასთან, რომელთაც სათავეში უდგას უძლეველი ზევსი.

თხზულებაში ზევსი ნაჩვენებია როგორც სამართლიანობის უზენაესი განსახიერება, რომელიც მკაცრად სჯის ყოველგვარ ბოროტსა და უსამართლოს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანობის იდეის დამკვიდრების დაკავშირება ღმერთებთან ჩანს ძვ. წ. აღრ. -ის VII საუკუნეში მოღვაწე ჰესიოდეს ორ პოემაში — „თეოგენია“ და „შრომები და ღლეები“. მათში ღმერთები გამოდიან განსხვავებული მორალურ-სამართლებრივი პრინციპებისა და ძალების განმასახიერებლად.

„თეოგონიაში“ ჰესიოდეს წინა პლანზე გამოჰყავს ღმერთი ზევსი და ქალღმერთი თემიდა. ზევსი როგორც ყოველივე ამქვეყნად არსებულის შემქმნელი და საფუძველი და თემიდა როგორც ბუნებითი წესრიგის მუდმივი განსახიერება. მათ შეუღლების შედეგად ებადებათ ორი ქალღმერთი: დიკე ანუ სამართლიანობა და ეენომია ანუ კეთილშობილება, რომელთაგან დიკე იცავს ღვთიურ სამართლიანობას, ხოლო ეენომია ანსახიერებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული კანონების ღვთიურ საწყისს.

ძვ. წ. აღრ.-ის VII-VI საუკუნიდან ძველმა ბერძნულმა სამართლებრივმა შეხედულებებს უპირატესად ფილოსოფიური ხასიათი შეიძინეს. არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და რელიგიურ-სამართლებრივი წესრიგის, სრულყოფის, სამართლიანი კანონებისა და პოლისური ცხოვრების დაცვის იდეით გამოდიან ცნობილი მოაზროვნეები ხილონი, სოლონი, პითაგორა, თალესი, ანაქსიმანდრე, ჰერკლიტე და სხვები. მათგან სპარტელი ხილონი თანამემამულეებს ასეთი სიტყვებით მიმართავს „დაიცავით კანონები“. მასვე ეკუთვნის დელფოსში, აპოლონის ტაძარში ამოკვეთილ ცნობილი შეგონება „შეიცან თავი შენი“. საუკეთესო ქალაქ პოლისად კი ხილონს მიაჩნია ის პოლისი სადაც კანონებს უფრო მეტად უგდებენ ყურს ვინემ ორატორებს.

ძვ. ბერძნულ სამართლებრივ აზროვნების ისტორიაში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა რეფორმატორმა. სახელმწიფო მოღვაწემ და კანონმდებელმა სოლონმა (638-559 წწ.). მან თავისუფალი მოსახლეობის ორი ბანაკის – მდიდრებისა და ღარიბების შერიგების, მშვიდობის ჩამოგდებისა და სამართლიანობას შემოღების მიზნით გააუქმა ყველა ვალი და შემდგომისათვისაც აკრძალა ყველა სავალო კაბალა, ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მთელი საზოგადოება დაყო ოთხ ძირითად სოციალურ ფენად. შექმნა უმაღლეს საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები ოთხასთა საბჭოსა და ჰელეიას სახით და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ათენი მონათმფლობელური ეპოქის ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად ქცევას სწორად რომ სოლონას რეფორმებს უნდა უმაღლოდეს. აქ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დანაწილებული აღმოჩნდა ოთხასთა საბჭოს, არეოპაგსა, სახალხო კრებასა და ჰელეიას შორის. ქვეყნის მმართველობის სისტემაში დაიხვეწა აღმასრულებელი ორგანოები: 1) არქონტების კოლეგია; 2) სტრატეგთა კოლეგია; 3) საფინანსო საქმეებით დაკავებული კოლეგარეტები და აპოდექტები. როგორც სოლონი თავის „ელეგია“ებში გამოგვცემს მან თავისი რეფორმები ჩაატარა „სამართლისა და ძალის ერთობლიობით, კანონის ძალაუფლებით“ სწორად მან უჩვენა ხალხს „ნამდვილი სამართლიანობა“ და ღარიბებსა და მდიდრებს თანასწორად დაუწესა კანონები. ძველ საბერძნეთში სოლონის შემდგომ კი ვრცელდება გამოთქმა „დაწერილი კანონები

ყველასათვის“ სოლონის რეფორმების გვერდით ძველი ბერძნული სამართლებრივი აზრის განვითარებაში უდაოდ დიდია მასზე უფრო ადრე ძვ. წ. აღრ.-ის VIII საუკუნის შუა ხანებში მოღვაწე კანონმდებელი თუზესის წვლილიც, რომელმაც როგორც გადმოგვცემენ თავისი კონსტიტუციით ხელი შეუწყო ათენის სახელმწიფოს წარმოშობას, კერძოდ, შექმნა ცენტრალური მმართველობა და შემოიღო საყოველთაო სახალხო სამართალი, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა საზოგადოების სამივე ფენაზე (ევპატრიდები, დემიურგები, გეომერები).

ძველ საბერძნეთში არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობის კრიტიკაა მოცემული ცნობილი ფილოსოფოსის პითაგორასა (ძვ. წ. აღრ. 580-500 წწ.) და მისი მოსწავლეების სამართლებრივ შეხედულებებში, რომელთათვის მიუღებელი ჩანს ქვეყანაში არსებული დემოკრატიული მმართველობის ზოგიერთი პრინციპი. ისინი ადამიანთა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას უკეთ მოწყობის მიზნით ეძიებენ სამართლიანობისა და სამართლის უფრო ობიექტურ ნორმებს და მიაჩნიათ რომ საზოგადოებრივი ცხოვრება რეფორმირებულ უნდა იქნეს სამართალზე და სამართლიანობაზე ფილოსოფიური შეხედულებების გათვალისწინებით.

საგულისხმოა რომ, პითაგორელთა მიერ შემუშავებულ იქნა საზოგადოებაში „საუკეთესოების“ ახალ არისტოკრატიების მმართველობის იდეა. ამავდროულად მათ პირველებმა დაამუშავეს სამართლისა და სამართლიანობის პრობლემების განხილვისას მათთან უშუალო კავშირში ტერმინი „თანასწორობა“ და მიუთითეს რომ საზოგადოებრივ ურთიერთობების რეგულირების პროცესში სამართალი გამოდის როგორც თანასწორობის საზომი ადამიანებს შორის. ე. ი. თავისუფალ ადამიანებს შორის სოციალური თანასწორობისა და ჰარმონიის შენარჩუნება დამოკიდებულია სამართალზე, აქედან გამომდინარე პითაგორელთა პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენს ისეთი პოლისი, სადაც ბატონობენ სამართლიანი კანონები. თვით პითაგორას მიხედვით ღმერთების შემდეგ ყველაზე დიდი პატივი უნდა მივაგოთ კანონებსა და მშობლებს, რომელთაც ადამიანები უნდა დაემორჩილონ შინაგანი რწმენით და არა მოჩვენებითი ერთგულებით, ვინაიდან წინაპართა წეს-ჩვეულებები და კანონები

დიდი ფასეულობა და მათი მოთხოვნების შესრულება უდიდეს სათნოებასთანაა დაკავშირებული. ამასთან ერთად ადამიანები უნდა მოერიდონ ძველ წეს-ჩვეულებებისა და კანონების შეცვლასა თუ განახლებას, თუნდაც ისინი უარესები იყონ.

პითაგორას სამართლებრივი შეხედულებების სრულყოფა ჩანს ჰერაკლიტე ეფესელის (530-470 წწ.) არისტოკრატიულ სამართლებრივ აზროვნებაში. მისი ფილოსოფიური მოსაზრების მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანებმა უნდა მისდიონ აზროვნებაზე უდრო მალა მდგომ ყოვლისმბრძანებელ გონს — საყოველთაო ლოგოსს, რომლის თანახმადაც ადამიანები იყოფიან ბრძენებად და შეუგნებლებად, საუკეთესოებად და უარესებად, აქედან გამომდინარე იგი ამართლებს ძველ საბერძნეთში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ დაპირისპირებას და აცხადებს, რომ ბრძოლა, იგივე „ომი — ეს არის ყველა და ყველა მეფის მამა. ზოგიერთებს მან განუსაზღვრა იყონ ღმერთებად, სხვებს იყონ ადამიანებად, ზოგიერთები მან აქცია მონებად, სხვები — თავისუფლებად“.

ჰერაკლიტეს თანახმად პოლისების ცხოვრება და კანონები უნდა დაექვემდებარონ ყოვლისმემძლე ლოგოსს, გონს, ბუნებას. აქ ამ შემთხვევაში ლოგოსი გამოდის როგორც ღვთიური კანონი, რომელიც ადამიანთა შემოღებული კანონების ანუ პოზიტიური სამართლის წყაროა, სწორედ ამიტომაც ჰერაკლიტე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადამიანები ვალდებული არიან იბრძოლონ კანონისათვის ისე, როგორც საკუთარი სამშობლოსათვის. ჰერაკლიტე უარყოფითად არის განწყობილი დემოკრატიული მმართველობის მიმართ, როდესაც ქვეყანაში ბატონობს ბრბო და საუკეთესოებისათვის ადვილი არ არის. მისი აზრით, საუკეთესოების ანუ არისტოკრატების მმართველობა არის ყველაზე უფრო მისაღები. „ერთი ჩემთვის ათი ათასია თუ იგი საუკეთესოა“ აცხადებს იგი და ამ სიტყვების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოებრივი კანონების მიღებისათვის სავსებით არ არის მიზანშეწონილი მათი მოწონება სახალხო კრებაზე. კანონისათვის მთავარია არა საყოველთაო-სახალხო მიღება, არამედ მისი შესაბამისობა ყოვლისმომცველ ლოგოსთან, რომლის გათვითცნობიერება ერთი საუკეთესოსათვის უფრო ადვილია ვინემ მრავალი უბრალო ადამიანისათვის.

ჰერაკლიტეს აზრით სამყაროეულ მოვლენებს ახასიათებთ აუცილებელი მიზეზ-შედეგობრიობა და „ფარული ჰარმონია“, რომლის არსში ჩაწვდომა ადამიანებს ძალუძთ. სამყაროეული მოვლენების ურთიერთმიმართების მომწესრიგებელ ეკვივალენტად უნდა მივიჩნიოთ ცეცხლი. ცეცხლზე იცვლება ყველაფერი და ცეცხლი ყველაფერზე, როგორც „ოქრო საქონელზე და საქონელი ოქროზე“ ცეცხლით განპირობებული კოსმოსის ბედი წარმოადგენს ჰერაკლიტეს აზრით საყოველთაო კანონზომიერებას, იმ მუდმივ ლოგოსს, რომელიც უდიდეს საფუძვლად სამყაროში მიმდინარე ყოველ მოვლენას. ლოგოსისათვის დამახასიათებელია ბრძოლა და აუცილებლობა, ხოლო ღვთიური ლოგოსისადმი თანამიმდევრული მიყოლა ეს სამართლიანობაა.

ჰერაკლიტესათვის ზევსი, ლოგოსი, ცეცხლი სინონიმებია, რომლებიც ღვთიურ სამართალში იყრიან თავს. საერთოდ კი უნდა მივუთითოთ რომ უშუალოდ ჰერაკლიტეს ფილოსოფიური კონცეფციიდან იღებს სათავეს ანტიკურ ეპოქაში თუ შემდგომ ხანებში აღმოცენებული ბუნებითი სამართლის იდეები, რომლებიც ბუნებით სამართალში გულისხმობენ, როგორც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ნორმებს, ასევე ღვთიურ სამართალს და სამყაროეულ გონს.

ძველი ბერძნული ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზრის განვითარებაში გამოსაყოფია სოფიზმის წვლილიც. სოფისტებმა გაბედული სიტყვა თქვეს ფილოსოფიის, ლოგიკის, ეთიკის, პოლიტიკისა და სამართლის სფეროში თუ არსებული ნატურფილოსოფია ძირითადად დაკავებული იყო „საგანთა ობიექტური ბუნებით“ და ყურადღების გარეშე სტოვებდა ადამიანს, მის შემოქმედებით აქტიურობას სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. სოფისტებმა მისგან განსხვავებით წინ წამოსწიეს ყოფა-ცხოვრებისა და აზროვნების სუბიექტური ფაქტორი. ადამიანთა გონებრივი შესაძლებლობის სოციალური არსი და ხასიათი. სამართლისა და კანონის ბუნებითი საფუძვლების ძიება იწყეს თვით ადამიანთა ბუნებაში და ადამიანთა საზოგადოებაში. ძველი ბერძენი სოფისტები მთავარ პრინციპად საუკეთესოდ გამოხატა სოფისტმა პროთაგორამ სიტყვებით: „ყველა საგანთა საზომი ადამიანია — არსებულთათვის რომ ისინი არსებობენ და არარსებულთათვის რომ ისინი არ არსებობენ“. ხოლო სოფისტი მოაზროვნებიდან ყურადღებას იქცევენ პროთაგორა, გორ-

გია, ჰიბია, ანტიფონტი, კრიტია და სხვები. სოფიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლის პროთაგორას (ძვ. წ. აღრ. 481-411 წწ.) აზრით სამართალს და საერთოდ სამართლის ნორმებს პირობითი შეფარდებითი ხასიათი გააჩნიათ, ვინაიდან არ არსებობს ერთიანი და მუდმივი სამართალი როგორც ყველა ისე ცალკეული ხალხისათვის. სამართლად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის, რაც სახელმწიფოს მიაჩნია სამართლიანად მოცემულ პირობებში. სამართლისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა უზრუნველყოს თავისუფალი მოსახლეობის თანასწორობა, თავისუფლება და უსაფრთხოება, ამიტომაც საკანონმდებლო საქმიანობისას სახელმწიფომ ისეთი კანონები უნდა შემოიღოს, რომლებიც შეესაბამებინან მოქალაქეთა ინტერესებს. კანონების დანიშნულებაა მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა და დამნაშავეთა დასჯა. პროთაგორა ასე მიმართავს ათენელებს „კანონის დამრღვევთ სახელმწიფო სჯის და თქვენთანაც და სხვა ბევრ ადგილებშიც ამ სასჯელის სახელწოდებაა გამოსწორება, რადგანაც გამოსწორება სამართლიანი შურისგებით შეიძლება“.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული პოზიტიური სამართლის გვერდით პროთაგორა ცნობს მუდმივ, უცვლელ ე. წ. ბუნებით სამართალს და მიუთითებს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე სწორედ ბუნებითი სამართლის ნორმები მოქმედებდა ადამიანებში. აღნიშნული ნორმების გავლენა უნდა ვაღიაროთ თანამედროვე პირობებშიც, რაც შეეხება ღმერთებს „ღმერთების შესახებ მე არაფერი ვიცი, არც ის რომ ისინი არსებობენ და არც ის რომ ისინი არ არსებობენ, რადგან ამის ცოდნას ბევრი რამ უშლის ხელს, საკითხის სიძნელე და ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობა“ ასკვნის იგი.

სამართლის ფილოსოფიური გააზრებაა მოცემული სოფისტ გორგიას (ძვ. წ. აღრ.-ის 483-375 წწ.) შრომებშიც, რომელიც ასევე აიდეალებს პოზიტიური სამართლის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი მტკიცებით სახელმწიფო თავის საქმიანობაში უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სახალხო კრებას, ხოლო სახალხო კრებაზე უნდა იქნეს მიღებული სამართლიანი კანონები და გადაწყვეტილებები.

გორგიას აზრით შეიძლება მოხდეს ისე, რომ სახალხო კრება შეცდეს და გამოიტანოს უსამართლო კანონები და გადაწყვეტილებები. ამიტომაც სახალხო კრების მიღებული ყოველი დადგენილება კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული. ამ პრობლემასთან დაკავშირებით მას შემოაქვს ცნებები — „რბილი სამართლიანობა“, „მკაცრი სამართალი“, „აზრის მიხედვით საქმის სამართლიანობა“ და „შიშველი კანონი“. რომლებიც სახელმწიფოებრივ და სასამართლო საქმიანობაში სამართლის ნორმის შეფარდებლის განკარგულებაშია, ხოლო დროისა და გარემოების მიხედვით თუ რომელი მათგანი უნდა იქნეს გამოყენებული ამაზე პასუხობს გორგიას დებულება, რომ „ყველაზე ღვთაებრივი და საყოველთაო კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ის, რაც საჭიროა თავის დროზე ვთქვათ და როცა საჭიროა გავჩუძდეთ, ის, რაც საჭიროა თავის დროზე გავაკეთოთ და როცა საჭიროა არ გავაკეთოთ“.

გორგია დიდად აფასებს სახელმწიფოს მიერ შემოღებულ დაწერილ (პოზიტიურ) სამართალს, რადგანაც „დაწერილი სამართალი სამართლიანობის დამცველია“ დაწერილი სამართლისაგან როგორც ჩანს იგი ანსხვავებს დაუწერელ სამართალს, რომელსაც ახასიათებს როგორც „ღვთაებრივ სა საყოველთაო კანონს“, ანუ ბუნებით სამართალს, მაგრამ საინტერესოა რომ გორგია ერთმანეთს არ უპირისპირებს პოზიტიურ და ბუნებით სამართალს თუმცა უპირატესობას დაწერილი სამართლის ნორმებს ანიჭებს და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება მიზანშეწონილად მიაჩნია მათი გამოყენებით. დაწერილი სამართლის ამგვარი მაღალი შეფასების გვერდით გორგია სამართლიანობას როგორც ასეთს სახელმწიფოებრივ კანონებზე უფრო მაღლა აყენებს. კერძოდ, ომში დაღუპულ ათენელების საპატივცემულოდ წარმოთქმულ სიტყვაში იგი ამბობს, რომ „ისინი ზშირად მკაცრ სამართალს რბილ სამართლიანობას ამჯობინებდნენ, ზშირად კი არსებულ საქმეებს კანონის ტექსტზე მაღლა აყენებდნენ“. გორგია ყურადღებას აქცევს რა სამართლიანობისა და თანასწორობის ურთიერთკავშირს აგრძელებს, რომ ომში დაცემული ათენელები „თავიანთი თანამოქალაქეების მიმართ სამართლიანნი იყვნენ თანსწორობას გრძნობის ძალით“. ე. ი. გორგია სამართლიანობას და თანასწორობას საერთოდ არსებული სამართლის მთავარ ელემენტებად განიხილავს.

სოფისტებიდან ძველ საბერძნეთში ბუნებითი სამართლის იდეების დაცვით პირველი გამოდის სახელგანთქმული ორაჭორი და მოაზროვნე ჰიპია (ძვ. წ. აღრ.-ის 460-400 წწ.) იგი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ბუნებით და პოზიტიურ, დადებით სამართალს. ბუნებითი სამართალი, მისი აზრით, წარმოადგენს დაუწერელ სამართალს, რომლის ნორმები არავის მიერ არ არის დადგენილი, ისინი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობენ. რაც შეეება პოზიტიურ სამართალს იგი სახელმწიფოს მიერაა დადგენილი და გამოხატავს ხალხის ნებას. ჰიპიას აღნიშვნით, დადებითი სამართალი ყოველთვის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ბუნებით სამართალთან, ვინაიდან იგი წარმოადგენს მის საფუძველს, მაგრამ ხდება პირიქით — პოზიტიური სამართალი ხშირად ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს და ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაწერილი კანონები ადამიანებზე უსამართლოდ ბატონობენ. ჰიპია ასე მიმართავს მის ირგვლივ თავშეყრილ ხალხს: „აქ შეგროვილო ხალხო. მე მიმაჩნია, რომ თქვენ აქ ყველანი ნათესავები, მოყვრები და თანამოქალაქეები ხართ ბუნებით და არა კანონით, ვინაიდან მსგავსი ხომ ნათესავია ბუნებით მსგავსისა, კანონი კი მბრძანებლობს რა ადამიანებზე, აიძულებს მათ ბევრ ისეთ რამეს, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება“.

ჰიპია თავის უარყოფით დამოკიდებულებას პოზიტიური კანონებისადმი იმით ამართლებს, რომ მათ ახასიათებთ პირობითობა, ხშირი ცვლა, რის გამოც ისინი აუცილებლობას მოკლებულად ჩანან. „ვინ იფიქრებს კანონებზე და მათს შესრულებაზე როგორც სერიოზულ საქმეზე, როდესაც ხშირად თვითონ კანონმდებლები არ იწონებენ მათ და ხშირად ცვლიან? კითხულობს იგი. მაშინ როდესაც ბუნებით სამართლის ნორმებს „ერთნაირად ასრულებენ ყოველ ქვეყანაში“.

ჰიპიას მიერ შემუშავებული ბუნებითი სამართლის იდეები განვითარებულ იქნა მის თანამედროვე ანტიფონტიკის მიერ. შრომაში „ჭეშმარიტების შესახებ“. ანტიფონტიკ აცხადებს, რომ „კანონთა ბრძანებები თვითნებურია, ბუნებისა კი გარდაუვალი. ამას გარდა, კანონთა ბრძანებები წარმოადგენს ადამიანთა შეთანხმების შედეგს და იგი არ არის თავისი თავიდან (ბუნებიდან) წარმომდგარი ბუნების ბრძანებები კი არის თვითწარმოშობის შედეგი (თანდაყოლილი

საწყისი) და არა ადამიანთა შორის შეთანხმებების პროდუქტი... ბევრი მითითება რომელიც მიჩნეულია დადებითი კანონის მიერ სამართლიანად ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას“.

ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე დაყრდნობით ანტიფონტიკი აღნიშნავს, რომ ელინები (ბერძნები) და ბარბაროსები, კეთილშობილები და მდაბიოები ბუნებით თანასწორნი არიან, მათ ერთნაირი ბუნებრივი მოთხოვნები და მიღრეკილებანი გააჩნიათ. ადამიანთა შორის არსებულ უთანასწორობას კი ადამიანთა მიერ დაწესებული კანონები ადგენენ, რაც ბუნებითი სამართლიანობის დარღვევაა. მისი სიტყვებით: „მათ ვინც წარჩინებულთა ოჯახებს ეკუთვნიან ვეთაყვანებით და პატივს ვცემთ, მდაბიოთა ოჯახებიდან გამოსულებს, კი პატივს არ ვცემთ ამ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთის მიმართ ვიქცევით როგორც ბარბაროსები. ბუნებით ჩვენ და ამასთან ერთად, ბარბაროსებიც და ელინელებიც ყოველმხრივ თანასწორნი ვართ... ყველა ჩვენთაგანი ერთნაირად ვსუნთქავთ ჰაერს პირით და ცხვირით, ყველა ჩვენთაგანი ერთნაირად ვჭამთ საჭმელს ხელების საშუალებით“.

ზემოთქმულიდან ცხადად ჩანს, რომ ანტიფონტიკი უპირატესობას ბუნებით სამართალს აძლევს და მიზანშეწონილად მიიჩნია ადამიანთა აღზრდა ბუნებითი თანასწორობის იდეებზე, ანუ მისი შეხედულებები გამოირჩევიან ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპებით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პოზიტიური ისე ბუნებითი სამართლის სუბიექტებად მას მონები არ მიიჩნია რაც ძველ საბერძნეთში არსებული ტრადიციული მონათმფლობელურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩვეულებრივ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

ძველ საბერძნეთში სუსტზე ძლიერის ბატონობის იდეიდან გამოდინარ სოფისტები კრიტიკა, თრაზიმაქი და კალიკლი, კრიტიკას მტკიცებით „თანამედროვე საზოგადოებაში არაფერი არ არის სამართლიანი“, ხოლო თრაზიმაქის მიაჩნია, რომ ყველა სახელმწიფოში ხელისუფლება მისთვის სასარგებლო კანონებს აწესებს. დემოკრატიული ხელისუფლება დემოკრატიულ კანონებს, ტირანული ხელისუფლება ტირანულ კანონებს და ა. შ. ამასთან, ყველა ეს ხელისუფლება ამ კანონებს სამართლიანად აცხადებს, აქედან გამომდინარე თრაზიმაქი აკეთებს დასკვნას „მე ვამტკიცებ, რომ სა-

მართლიანობა არის ის, რაც სასარგებლოა ძლიერისათვის“. ძლიერის სუსტზე ბატონობის იდეას მთლიანად ემხრობა ათენელი კალიკლიც, რომლის წარმოდგენით ძლიერის სუსტზე ბატონობა უშუალოდ გამოდინარეობს ბუნების კანონებიდან.

კალიკლის თქმით „თვით ბუნება ადგენს იმას, რომ უკეთესი და ძლიერი უარესზე და სუსტზე მაღლა იდგეს. ეს რომ ასეა იგი ყველგან და ყველაფერში ჩანს, ცხოველებთანაც და ადამიანებთანაც. თუ გადავხედავთ სახელმწიფოებს და ხალხებს საერთოდ დავრწმუნდებით, რომ სამართლიანობის ნიშანი ასეთია: ძლიერები მბრძანებლობენ სუსტებზე და მათზე მაღლა დგანან“. ე. ი. კალიკლის თანახმად ბუნებითი სამართალი არის ძლიერთა ინტერესების დამცველი უმაღლესი სამართლიანობა და ადამიანებმა მას უნდა მისდიონ.

კალიკლის ფრიად ორიგინალური მოსაზრება გააჩნია პოზიტიური სამართლის ირგვლივ. უპირისპირებს რა პოზიტიურ სამართალს ბუნებით სამართალს იგი აცხადებს, რომ პოზიტიურ სამართალს საზოგადოებაში ადგენენ არა ძლიერები არამედ სუსტები, ხოლო სუსტების მიერ ძლიერების შიშით შექმნილი პოზიტიური სამართალი, იგივე კანონები ეწინააღმდეგება ბუნებით სამართლიანობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ „ყველაფერი რაც სუსტებს გააჩნიათ უნდა ეკუთვნოდეს ძლიერებს“ ხდება კი პირიქით „სუსტები ცდილობენ დააშინონ უფრო ძლიერი, კერძოდ, ისინი, ვისაც მათზე ამაღლებისა და გაბატონების უნარი აქვთ, სუსტებს ეშინიათ ძლიერების ამაღლებისა და ამტკიცებენ, რომ სხვებზე გაბატონება არასამართლიანია და სამარცხვინოა“.

კალიკლის ამგვარ მოსაზრებას არ ეთანხმება ძვ. წ. აღრ. III საუკუნეში მოღვაწე სოფისტი ლიკოფრონი. მისი წარმოდგენით საზოგადოება დაფუძნებულია ადამიანთა თანასწორობის პრინციპზე და სახელმწიფო როგორც ადამიანთა პოლიტიკური კავშირი წარმოიშვა თანასწორ და თავისუფალ ადამიანთა შორის დადებული შეთანხმების ანუ ხელშეკრულების საფუძველზე. ადამიანთა თანასწორობა კი განპირობებულია იმ პირადი უფლებით, რომელი ბუნებამ ადამიანების თანასწორად უბოძა. ლიკოფრონი ამავდროულად უარყოფს საზოგადოებრივ მოვლენებზე ღმერთების ნების გავლენას, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას იგი

უკავშირებს ადამიანთა პოლიტიკურ და სამართლებრივ მოთხოვნებებს, რომელთაც ბუნებით ახასიათებთ მიღრეკილება ერთად ცხოვრებისაკენ.

ადამიანთა ბუნებითი თანასწორობის იდეა ძველ საბერძნეთში სრულყო გორგიას მოწაფე ალკიდამისმა თავისი ცნობილი სიტყვებით „ღმერთმა ყველა შექმნა თავისუფალად, ხოლო ბუნებას არავინ უქცევია მონად“.

საერთოდ კი, უნდა ავღნიშნოთ, რომ ძვ. ბერძენმა სოფისტებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს არა მარტო სამართლის, არამედ სახელმწიფოს, პოლიტიკის, რელიგიის, ეთიკისა და რიტორიკის საკითხები და მიუხედავად იმისა, რომ მათი ბევრი თეორიული ნააზრევი იმთავითვე და გვიან ხანებში კრიტიკის საგნად იქცა მათ ახალი შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს მონათმფლობელურ საზოგადოებაში ადამიანთა თავისუფლებისა და თანასწორობის პრობლემებს ახლებურად განსაზღვრეს სახელმწიფოსა და სამართლის, კანონებისა და კანონმდებლობის წარმოშობის ისტორიული პირობები, მათი არსი და დანიშნულება, რითაც, რომ იტყვიან ახალ საფეხურზე აიყვანეს ძველი ბერძნული სამართლის ფილოსოფია.

მონათმფლობელური საზოგადოების, სახელმწიფოს, პოლიტიკისა და სამართლის ფილოსოფიური ანალიზია მოცემული ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნის (დემოკრიტეს) ფილოსოფიურ-სამართლებრივ შეხედულებებში (ცხ. ძვ. წ. აღრის 460-370 წწ.) თავის „დიდ ღიაკოსმოსში“ დემოკრიტე ერთ-ერთი პირველი აყენებს სამყაროს აგებულების ატომისტურ მოძღვრებას და საუბარი აქვს სამყაროს ოთხი მთავარი ელემენტის (ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა) შესახებ. საზოგადოებრივი მოვლენების წარმოშობა-განვითარებას დემოკრიტე უკავშირებს არა ღმერთების ნებას, არამედ ადამიანთა საზოგადოების ხანგრძლივი ევოლუციური განვითარების პროცესს.

დემოკრიტე როდესაც ეხება სახელმწიფოში არსებულ სამართალსა და სამართლიანობას მიუთითებს, რომ კანონების მთავარი დანიშნულებაა ქვეყანაში ადამიანთა კეთილმოწყობა. კანონები მართალია ერთგვარად ზღუდავენ ადამიანთა თავისუფლებას, მაგრამ ამავდროულად ეხმარებიან მათ ურთიერთშორის წამოჭრილი სხვადასხვა სახის წინააღმდეგობების გადაჭრაში. ადამიანებს თუ სურთ

მშვიდად იცხოვრონ ისინი უნდა დაემორჩილონ კანონს ანუ სამართლის მოთხოვნებს. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ფილოსოფოსები (ბრძენები) ვინაიდან მათ ნებისმიერი მმართველობის პირობებში შეუძლიათ შეინარჩუნონ „სულის კეთილი მდგომარეობა“ მათთვის სამშობლო, მამული ეს მთელი სამყაროა. ბრძენი არ უნდა ემორჩილებოდეს კანონს, მას შეუძლია თავისუფლად იცხოვროს ყველგან, ვინაიდან მისი სიცოცხლის მიზანია მიაღწიოს სულიერ სიმშვიდეს (ეკტიუმიას).

დემოკრიტეს შეხედულებით საზოგადოებაში მოქმედი კანონები ერთნაირი არ არიან თავიანთი წარმოშობის, შინაარსისა და სავალდებულო ძალის თვალსაზრისით. იგი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ბუნებით სამართალს, დაწერილ (პოზიტიურ სამართალს) და წინაპართა სამართალს (ძველ ადათ-წესებს) ბუნებითი სამართალი უშუალოდ ბუნების შემოქმედების ნაყოფია, მისი ბრძანებაა, მასზე ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ, იგი მუდმივია და უცვლელი, ბუნებითი სამართლის ნორმები თავისთავად, ბუნებრივად არსებობენ და მათი აღსრულება, რეალიზაცია გარდაუვალია. ბუნებითი სამართლის მოთხოვნებს ყველგან ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და ისინი ყველასათვის სავალდებულოა. რაც შეეხება დაწერილ (პოზიტიურ) სამართალს, იგივე სახელმწიფოებრივ კანონებს ის მხოლოდ ადამიანთა შეთანხმების შედეგს წარმოადგენს და მისი ნორმები გრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც ისინი დაადგინა, ამასთან ერთად მას ახასიათებს ხშირი ცვლილება. ხოლო წინაპართა სამართალში როგორც ჩანს დემოკრიტე გულისხმობს საზოგადოებაში ძველ დროში არსებულ მტკიცე წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, რომელთა ერთობლიობას იგი მამისეულ (წინაპართა) კანონებს უწოდებს. დემოკრიტე როდესაც ბუნებით სამართალს გამოყოფს პოზიტიური სამართლისაგან აცხადებს, რომ „კანონთა მოთხოვნები ხელოვნურია, ბუნებაში არსებობენ ატომები და სიცარიელე“.

ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ შემოღებული პოზიტიური სამართლის ნორმები დემოკრიტეს მტკიცებით განუხრელად უნდა სრულდებოდეს სამართლიანობის დაცვის მიზნით. ადამიანები კანონებს უნდა ემორჩილებოდნენ ნებაყოფლობით და არა სასჯელის მუქარით. ადამიანებს კანონების მიმართ უნდა გააჩნდეთ არა შიშის, არამედ მოკრძალების პატივისცემის გრძნობა. ამავედროულად დამნაშავეთა

მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს მკაცრი სასჯელები, რადგანაც სასჯელის მიზანია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება.

სამართლიანობის, კანონიერების, თავისუფლების და მორალის პრობლემებს ეხება უსამართლოდ დასჯილი ტრაგიკული მოაზროვნის სოკრატეს (ცხ. ძვ. წ. ალრი-ის 469-399 წწ.) ზნეობრივი ფილოსოფია, რომელიც ვრცლად მსჯელობს სახელმწიფოს, სამართლის, კანონების, პოლიტიკის საკითხებზე.

სოკრატე კანონებს მათი წყაროების მიხედვით ორ სახედ ყოფს. ღვთაებრივ კანონებად და ადამიანურ კანონებად. ღვთაებრივი ანუ ბუნებითი კანონები უშუალოდ ღმერთების მიერაა დაწესებული და ისინი ყველგან და ყველაფერზე მოქმედებენ. ადამიანური კანონები გამოხატავენ ადამიანთა ნებას და ისინი სახელმწიფოს მიერაა დადგენილი, მაგრამ ეს ადამიანებს არ აძლევს უფლებას თავიანთი შეხედულებისდა მიხედვით მოექცნენ სახელმწიფოებრივ კანონებს. სახელმწიფოს მიერ შემოღებული კანონი აუცილებლად უნდა შესრულდეს, ასევე უნდა აღსრულდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი უსამართლო განაჩენიც კი, ვინაიდან კანონების იგნორირებას და სასამართლო განაჩენების აღსრულებლობას მოსდევს სახელმწიფოს რღვევა და დაცემა, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა საზოგადოებისათვის.

სოკრატე ვალდებულებას დასამართლიანობას ერთ ჭრილში განიხილავს. მისი მტკიცებით სამართლიანობა და ვალდებულება კანონითაა აღიარებული, ის რაც სამართლიანია თავის მხრივ მოქალაქეთა ვალდებულებასაც წარმოადგენს და პირიქით ვალდებულებანი სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისადმი დაკისრებული სამართლიანი ბრძანებანია. „ვინც ასრულებს იმას, რასაც კანონები გვიბრძანებენ იგი აკეთებს სამართლიან საქმეებს“. ანუ კანონიერი და სამართლიანი ერთიდაიგივეა“.

სახელმწიფო თავის მოქალაქეებს განუსაზღვრავს მთელ რიგ ვალდებულებებს, რომელთაგან მთავარია ღმერთებისადმი პატივისცემა, სახელმწიფოსადმი ერთგული სამსახური, მიწის მოვლა, სამხედრო სამსახური, გონებისადმი სხეულის დაქვემდებარება, მესაქონლეობის განვითარებაზე ზრუნვა და მეგობრებისათვის სიკეთის ქმნა.

სოკრატეს აზრით კანონების გაბატონებით რეგულირდება არა მარტო მათ მიღებაზე არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი

არამედ კანონები გათვალისწინებულია მომავლისადმიც და ისინი ყველა შემთხვევაში მეტად ზუსტად უნდა იქნეს დაცული. ამ შემთხვევაში საინტერესოა მისი კამათი სოფისტ ჰიპიასთან. ამ უკანასკნელის მოსაზრებას რომ ვინაიდან კანონები ხშირად იცვლებიან, კანონებისადმი მორჩილებას სერიოზული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, სოკრატე შთამბეჭდავად პასუხობს: „სახელმწიფო ხშირად უცხადებს ომს მეზობელ სახელმწიფოს, მაგრამ ისინი შემდეგში ზავს დებენ ერთმანეთთან. ამგვარი ვითარება კი მეორებს სრულებითაც არ აძლევს უფლებას ბრძოლაზე აიღონ ხელი იმ მოტივით, რომ მომავალში ზავი აუცილებლად დაიდება. თუ ისინი ამგვარ ნაბიჯს გადადგამენ სახელმწიფო მათ აუცილებლად დასჯის. ამის მსგავსად ის გარემოება, რომ კანონები მომავალში უნდა გაუქმდეს, სრულებითაც არ წარმოადგენს სახელმწიფოში მოქმედი კანონებისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველს“.

სოკრატე იწონებს ათენში მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარების პირობებში ჩამოყალიბებული ორი პოლიტიკური ინსტიტუტის „ისონომიას“ ანუ კანონთა წინაშე ყველა თავისუფალი ადამიანის თანასწორუფლებიანობას და „ისეგორიას“ ანუ სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ სახელმწიფოში ნებისმიერ სახელმწიფოებრივი თანმდებობა უნდა დაიკავონ მხოლოდ ცოდნით გამორჩეულმა ადამიანებმა, რომელთაც იციან კანონები და სახელმწიფოს მართვა.

სოკრატეს სამართლებრივი მსოფლმხედველობამ განვითარება ძვ. საბერძნეთში ასახვა პოვა მისი მოწაფე პლატონის შრომებში (ცხ. ძვ. წ. აღრ.-ის 427-347 წწ.) რომელთაგან გამოსაყოფია „სახელმწიფო“, „სოკრატეს აპოლოგია“, „კანონები“ და „პოლიტიკოსი“. მათში მოცემულია მონათმფლობელური საზოგადოების ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგია, ფილოსოფიური პოზიციებიდან არის წამოყენებული ახალი წარმოდგენები სახელმწიფოს, სამართლის, კანონმდებლობის, კანონების, სამართლიანობის, რელიგიისა და სხვათა შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „სახელმწიფოში“ და „კანონებში“ ავტორის მიერ გადმოცემული იდეალური მონათმფლობელური სახელმწიფოს ორი პროექტი, რომელთა მიხედვითაც უნდა მომხდარიყო არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა

მოცემული პროექტებით პლატონი ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში შევიდა როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ფუძემდებელი. ასევე სწორედ პლატონის სახელს უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის აღმოცენება, ვინაიდან მას ესმის სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის სირთულე ამიტომაც მოითხოვს რომ სახელმწიფოებრივი შრომა ანუ სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებულ იქნეს ცალკეულ თანმდებობის პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. მისი განმარტებით „ადამიანს სრულყოფილად შეუძლია შეასრულოს მასზედ დაკისრებული მხოლოდ ერთი საქმე, თუ იგი ერთბაშად რამდენიმე საქმეს მოკიდებს ხელს მას არაფერი გამოუვა“. აქედან გამომდინარე პლატონი მოითხოვს ქვეყანაში არსებული მთელი სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებულ იქნეს სამ ცალკეული ხელისუფლებად საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლოდ.

პლატონის სამართლებრივ აზრში ჩვენ ვხვდებით კანონის უკიდურეს გაფეტიშებას, როგორც იგი ამბობს „ყველა მეცნიერებიდან ადამიანს ყველაზე მეტად სრულყოფს მეცნიერება კანონების შესახებ“. სწორედ კანონების მიხედვით ცხოვრება განასხვავებს ადამიანებს ველური მხეცებისაგან, ვინაიდან კანონის მთავარი მიზანია საყოველთაო სიკეთის შემოღება. კანონების შემოღებისას, კანონმდებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის გეოგრაფიული გარემო, კლიმატი, ადამიანთა ბუნება და სახელმწიფოს ფორმა. პლატონს გაუმართლებლად მიაჩნია კანონების ხშირი ცვლა, ასევე მრავალი ახალი კანონის წამდაუწუმ მიღება რადგანაც ყოველივე ეს მხოლოდ ახალ-ახალ უსამართლობებს უხსნის გზას.

საყურადღებო ფილოსოფიურ მოსაზრებებს აყენებს პლატონი კანონთა კლასიფიკაციის დროს. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს კანონებს მათი სუბიექტების, გადმოცემის ფორმისა და შინაარსის მიხედვით.

სუბიექტთა მიხედვით პლატონი ერთმანეთისაგან მიჯნავს ბუნებით და პოზიტიურ კანონებს. გადმოცემის ფორმის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან ჰყოფს დაწერილ და დაუწერილ კანონებს. ხოლო კანონების შინაარსის მიხედვით განსხვავებისას ამბობს,

რომ საზოგადოებაში გვეხდება სხვადასხვა სოციალური ფენა (ბატონები, მონები, მდიდრები, ღარიბები, მოქალაქეები, უცხოელები), რომლის წარმომადგენლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ღირსებით, საზოგადოებრივი მდგომარეობით, ამის გათვალისწინებით კანონდებელი ღირსეულ და მორალურად სრულყოფილ ადამიანთათვის ადგენს განსაკუთრებულ კანონს, სხვა დანარჩენისათვის კი განსხვავებული შინაარსის კანონს.

პლატონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონის შეფარდების საკითხს. სამართლის ნორმის შეფარდების მიზანია ის, რომ „არავინ არ მიითვისოს სხვისი და არავინ არ დაკარგოს თავისი, სამართლიანობა იმაში მდგომარეობს რომ, თითოეულს ჰქონდეს თავისი და ასრულებდეს აგრეთვე თავისას“ აცხადებს იგი და კანონთა დამცველებს უწოდებს თანამდებობების პირებს, რომელთაც აქვთ მხოლოდ სახელმწიფოებრივი უფლება შეუფარდონ სამართლის ნორმა მოქალაქეებს. პლატონის ფილოსოფიურ აზროვნებას მხედველობიდან არ რჩება ის გარემოება, რომ კანონდებლობა არასოდეს არ არის სრულყოფილი ანუ ადგილი აქვს ზარეზს კანონმდებლობაში, ამიტომაც იძლევა ზარეზის შევსების მისეულ პრინციპს. კერძოდ, არსებული ზარეზის შევსება თავიანთ თავზე უნდა აიღონ თავად მოსამართლეებმა უშუალოდ საქმეთ განხილვის დროს არსებული კანონმდებლობის საერთო მიზნების გათვალისწინებით. ამ მისიის შესრულება შეუძლია კანონმდებლებსაც კერძოდ „უკეთუ მოხუც კანონდებელს მხედველობიდან გამოჩეხება კანონში რაიმე წვრილმანი და ამას ადვილად შენიშნავენ, დაე, იგი შეავსოს ახალმა კანონმდებელმა“.

პლატონის შემდეგ ძველი ბერძნული სამართლის ფილოსოფია ახალ საფერხურზე აიყვანა მისმა მოსწავლემ, არისტოტელემ (ძვ. წ. აღრ.-ის 384-322 წწ.), რომელმაც როგორც გადმოგვცემენ ათასამდე მცენიერული შრომა მიუძღვნა მეცნიერების სხვადასხვა დარგებს: ფილოსოფიას, იურისპრუდენციას, ისტორიას, პოლიტიკას, მათემატიკას და ა. შ. არისტოტელეს უშუალო პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები კი ძირითადად გადმოცემულია შრომებში: „პოლიტიკა“, „ათენის პოლიტიკა“, „ეთიკა“, „რიტორიკა“, „პოეტიკა“.

თავის პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში არისტოტელე ყურადღებით სწავლობს მეცნიერებას პოლიტიკის შესახებ, რომელსაც იგი მჭიდროდ უკავშირებს ეთიკას, რადგანაც „უმაღლესი სიკეთე არის უპირატესი მიზანი ყველა მეცნიერებიდან და ხელოვნებიდან ყველაზე მთავრისა — პოლიტიკისა“. პოლიტიკა არისტოტელეს წარმოუდგენია როგორც მეცნიერება მეცნიერების შესახებ, რომელშიც შედის მეცნიერების ყველა დარგი, აქედან გამომდინარე იგი სამართალს საერთოდ აღებულს უშუალოდ პოლიტიკურ მოვლენად აღიარებს და მას მოიხსენიებს როგორც პოლიტიკურ სამართალს. პოლიტიკური სამართალი ორ სახედ იყოფა. ერთია ბუნებითი სამართალი, ხოლო მეორე პოზიტიური სამართალი. არისტოტელე ამბობს: „მე ვამტკიცებ, რომ არსებობს კერძო კანონი და ზოგადი კანონი, კერძო კანონს მე ვუწოდებ ისეთ კანონს, რომელიც დადგენილია თითოეული ხალხის მიერ თავისთავად, ეს კანონი შეიძლება იყოს დაწერილი და დაუწერილი. ზოგად კანონს მე ვუწოდებ ბუნებით კანონს, რომელიც საერთოა ყველასათვის, რომელიც მიჩნეულია ასეთად ყველა ხალხის მიერ, თუნდაც მათ შორის არ არსებობდეს არანაირი ურთიერთობა და არავითარი შეთანხმება ამის თაობაზე“. ბუნებითი სამართალი არისტოტელეს აზრით საყოველთაო, მუდმივი და უცვლელია, იგი ადგენს ყველაზე უმაღლეს სამართლიანობას, რაც შეეხება პოზიტიურ სამართალს, იგივე კერძო კანონს (რომელსაც არისტოტელე მეორენაირად ადამიანურ სამართალსაც უწოდებს) მასში მოცემულია სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესები და მისი ნორმები ხშირად განიცდის ცვლილებებს.

საგულისხმოა ისიც, რომ არისტოტელე მართალია აღიარებს პოლიტიკური სამართლის ორ ნაწილად დაყოფას, მაგრამ ორივე მათგანი მიჩნეულია პოლიტიკური მოვლენების სფეროში შემავალი სამართლის ისეთ სახედ, რომელთა შორის წინააღმდეგობა მანცდამანც დიდი არ არის. ამას კი განაპირობებს უშუალოდ ადამიანის პოლიტიკური ბუნება, არისტოტელეს აზრით ადამიანი ზომ თავისი ბუნებით პოლიტიკური არსებაა. თუმცე ეს მდგომარეობა არისტოტელეს ხელს არ უშლის აღიაროს ბუნებითი სამართლის უპირატესობა პოზიტიურ სამართალზე და აცხადებს: „დაწერილი კანონი არ არის ჭეშმარიტი კანონი, რადგან იგი არ ასრულებს

კანონის მოვალეობას... მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე ადამიანები დაწერილი კანონების ნაცვლად დაუწერელი კანონებით ხელმძღვანელობენ“.

აღნიშნული სიტყვები სრულებითაც არ ნიშნავენ იმას, რომ არისტოტელე თითქოსდა უარყოფს კანონებსა და საერთოდ სამართლის როლს საზოგადოებაში. მისი აზრით სამართლიანი და კანონიერი ერთი და იგივე ცნებაა, რომელიც ნიშნავს საერთო სიკეთის დაცვას. თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა შორის სამართლიანობა კი ყველაზე აშკარად პოლიტიკაში ჩანს. აქედან გამომდინარე სამართალი უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური სამართალი, რომლის ნორმები არეგულირებენ პოლიტიკურ ურთიერთობებს ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს. კანონები სახელმწიფოებრივ პრიციპებზე მოწყობილ საზოგადოებას ყოველთვის დასჭირდება.

არისტოტელეს მტკიცებით: „კანონები ჩვენ გვჭირდება მთელი ცხოვრების მანძილზე, ურავლესობა აუფრო აუცილებლობისა და შიშის გამო ემორჩილება მას, ვიდრე გონების მოთხოვნილებითა და მშვენიერების შეგნებით“. კანონები აწესრიგებენ საზოგადოების მრავალფეროვან და რთულ ურთიერთობებს, ისინი ყველაზე და ყველაფერზე ზედამხედველობენ, მათ მოთხოვნებს სავალდებულო ძალა გააჩნია ყველა მოქალაქის, თანამდებობის პირისა და სახელმწიფო ორგანოთა მიმართ „სადაც კანონი არ მბრძანებლობს, იქ სახელმწიფოებრივი წყობილების არავითარ ფორმას არ აქვს, ადგილი კანონი უნდა მბრძანებლობდეს ყველაზე“.

არისტოტელეს წარმოდგენით კანონები უნდა გამოიცეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების შესაბამისად და არა პირიქით კანონისადმი მათი დაქვემდებარების მიზნით. კანონმდებელმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობას საშუალო ფენის სასიცოცხლო ინტერესები და უნდა შემოიღოს ისეთი კანონები, რომელიც მოქალაქეებს ჩაუნერგავს სიკეთის, სამართლიანობის, სათნოებისა და ერთსულოვნების გრძნობებს. მან მიზნად უნდა დაისახოს არა საკუთარი თუ მეზობელი ხალხების დამონება არამედ საკუთარი მოქალაქეებისა და სახელმწიფოს დაცვა როგორც შინაური ისე გარეშე მტრებისაგან კანონდმებელი იმას უნდა ცდილობდეს, რომ კანონებით არ იქნეს

განმტკიცებული დესპოტური ხელისუფლება ვინაიდან „ყოველგვარი კანონი ნიშნავს ერთგვარი სამართლის წარმოშობას“.

ნიშანდობლივია, რომ არისტოტელემ უფრო სრულყო პლატონის მიერ წამოყენებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების სამართლებრივი თეორია. გაიზიარა რა მთელი სახელმწიფო ხელისუფლების სამ ხელისუფლებად დანაწილების იდეა არისტოტელემ უფრო საფუძვლიანად ჩამოაყალიბა თითოეულ ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ფუნქციები.

საკანონმდებლო ორგანო არისტოტელეს აზრით უნდა წყვეტდეს ომის და ზავის, ქვეყნიდან მოქალაქის გაძევებისა და ქონების კონფისკაციის, სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულების დადებისა და გაუქმებას, თანამდებობის პირების არჩევისა, კანონების დადგენისა და სიკვდილით დასჯის საკითხებს“. ამავე დროს საკანონმდებლო ხელისუფლება სხვა ხელისუფლებასთან შედარებით უმაღლესია სახელმწიფოში.

აღმასრულებელ ხელისუფლებას არისტოტელე მასში შემავალ მთელ რიგ მაგისტრატურებთან მთლიანობაში განიხილავს. აღმასრულებელ ხელისუფლებაში იგი გამოყოფს საპოლიციო, სამხედრო, საფინანსო, სასამართლო, საკონტროლო, საკანონმდებლო და რელიგიურ მაგისტრატურებს.

უფრო ვრცლად საუბრობს არისტოტელე სასამართლო ხელისუფლებაზე და პირველ რიგში იძლევა სასამართლო ორგანოების კლასიფიკაციას: 1. სასამართლოები, რომლებიც ღებულობენ თანამდებობის პირების ანგარიშებს. 2. სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანით გამოწვეულ დანაშაულებს. 3. სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ მხოლოდ იმათ საქმეებს, ვინც განიზრახა სახელმწიფო გადატრიალება. 4. სასამართლოები, რომლებიც იხილავენ დავას თანამდებობის პირების მიერ კერძო პირთა დაჯარიმების თაობაზე. 5. სასამართლოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ მსხვილი სავაჭრო გარიგებების თაობაზე წარმოჭრილი დავის განხილვა. 6. სასამართლოები, რომლებიც იხილავენ მკვლელობის საქმეებს. 7. სასამართლოები, რომლებსაც დავალეული აქვთ უცხოელთა საქმეების განხილვა. 8. სასამართლოები, რომლებიც იხილავენ წვრილი სავაჭრო გარიგების თაობაზე წარმოჭრილ დავებს.

კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას ანუ დანაშაულს, რომელიც ზემოთხსენებულმა სასამართლოებმა უნდა განიხილონ არისტოტელე ყოფს განზრახ ჩადენილ და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებად. იგი ასევე ერთმანეთისაგან ანხევავებს სასჯელსა და შურისგებას. მისი შეხედულებით სასჯელის მიზანია დანაშაულის გამოსწორება, ხოლო შურისგება ამას არ ითვალისწინებს — „სასჯელს უფარდებენ დასასჯელის სასარგებლოდ, შურისძიება კი ხდება შურისმაძიებლის სასარგებლოდ, რათა ამ უკანასკნელმა გაიქარვოს გულისწყრომა“. არისტოტელე ბევრს მსჯელობს სასამართლოზე წარმოსათქმელი სიტყვის ირგვლივ, რომლის დანიშნულებაცაა დაბრალება ან უარყოფა. სასამართლო სიტყვას იგი ოთხ ნაწილად ყოფს. 1. შესავალი; 2. საქმის ფაქტიური გარემოების გადმოცემა; 3. მტკიცებულებების წარმოდგენა ან უარყოფა; 4. დასკვნა.

საერთოდ კი პოლიტიკური მმართველობა არისტოტელეს თქმით ეს კანონების მმართველობაა, რომელსაც უნდა ჰქონდეს ადგილი საზოგადოებაში, სადაც ადამიანები კი არ უნდა ბატონობდნენ არამედ კანონები. არისტოტელეს ფილოსოფიურ-სამართლებრივი კონცეფციაში ჩვენ ვხედავთ სოფისტებისა და სოკრატე-პლატონის სამართლებრივი შეხედულებების სინთეზს. კერძოდ, სოფისტებს ადამიანი მიაჩნდათ „ყველა საგანთა საზომად“. სოკრატემ და პლატონმა ყველა საგანთა საზომად ღმერთი გამოაცხადეს. არისტოტელემ თავის მხრივ მათი გათვალისწინებით ადამიანი პოლიტიკურ არსებად გამოაცხადა, რომელიც პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენების სამართლიანობასთან მიმართებაში გამოდის როგორც ბუნებით — ადამიანური წყარო.

ძველი ბერძნული სამართლის ფილოსოფია ელინიზმის ხანაში თავისი გამოხატულებას პოულობს ეპიკურეს, ბერძენი სტოელებისა და პოლიბიოსის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეხედულებებში. დემოკრიტეს მიერ განვითარებული ატომისტური მოძღვრების გამგრძელებელი ეპიკურე (ძვ. წ. აღრ.-ის 341-270 წწ.) თავის ფილოსოფიურ-სამართლებრივ აზროვნებაში უპირატეს ყურადღებას უთმობს ცხოვრებაში ადამიანური ბედნიერების მიღწევის საშუალებების შინაარსის გარკვევას, ამ შემთხვევაში მისი ფილოსოფიური წარმოდგენების შეამკაცვრებული ეთიკური პრინციპები ადამიანებს

მოუწოდებს ხელი აიღონ აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაზე.

მისი თქმით „საჭიროა განვთავისუფლდეთ უსიამოვნო საქმეების ზეგავლენისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან“ რათა ვეზიაროთ თავისუფლებას, სიამოვნებას, სულის სიმშვიდეს (ატარაკსიას) ამავედროულად ეპიკურეს მიხედვით თავისუფლება ეს არის ცხოვრების საკუთარი გზის გონივრული არჩევა, რომლის დროსაც ადამიანი თვითონ არის პასუხისმგებელი საკუთარი მოქცევაზე საზოგადოებაში. ეპიკურე ადამიანთა ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას უკავშირებს ხალხისაგან განმარტებით წყნარ და უშფოთველ ყოფას, რაც შეეხება სახელმწიფოსა და სამართლს, მის მიხედვით, მათი მიზანია ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სახელმწიფო წარმოიშობა ადამიანთ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, და საერთოდ, საზოგადოებრივი მოვლენების წარმოშობა განვითარება ხდება საკუთარი კანონების მიხედვით ღმერთებს ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

სახელმწიფოში არსებული კანონები ეპიკურეს აზრით შექმნილია ხალხის ბრბოსაგან ბრძენი ადამიანების დაცვის მიზნით „კანონები ბრძენების სასარგებლოდ გამოცემულია არა იმიტომ, რომ მათ არ ჩაიდინონ ბოროტება, არამედ იმიტომ, რომ მათ არ მოექცნენ ბოროტად“. ბუნებრივია ეპიკურე ბრძენ ადამიანს ამ შემთხვევაში უპირისპირებს ხალხის ბრბოს და საკუთარი ცხოვრების წესიც მოჰყავს. ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრების უპირატესობის დამტკიცების თვალსაზრისით. „ბრბოს წინაშე მე არასოდეს მომიწონებია თავი, რაც მას მოსწონდა იმას მე არ ვსწავლობდი, ხოლო რაც მე ვიცოდი ის ძალიან შორს იყო მათი გრძნობებიდან“ ამბობს იგი.

ეპიკურე საინტერესოდ მსჯელობს სამართლიანობაზე. სამართლიანობა მისი მტკიცებით აღმოცენდება სახელმწიფოსა და სამართლის აუცილებლობიდან გამომდინარე „სამართლიანობა თავისთავად არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ ადამიანთა შორის ურთიერთობებში ყოველთვის არსებობს რაიმე ხელშეკრულება იმაზე რომ ზიანი არ მიაყენონ ერთმანეთს და არ მოითმინონ ზიანი“. ხელშეკრულება, სამართლიანობა, სახელმწიფო და სამართალი ეპიკურეს მოძღვრებაში ერთმანეთს განაპირობებენ, მათი წყაროა

არა ბუნება და ღმერთი, არამედ ადამიანი, საზოგადოება. ეპიკურეს მიერ წამოყენებულ ხელშეკრულების თეორიაში ნაგულისხმევი თავისუფლება, სამართლიანობა და თანასწორობა დღეისათვის მიჩნეულია ლიბერალიზმის პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგიის პირველ ფილოსოფიურ-სამართლებრივ კონცეფციად.

ძველი ბერძნული სამართლებრივი აზრის განვითარებაში არც თუ მცირე წვლილი მიუძღვის ახალი ფილოსოფიური სკოლის „სტოიციზმის“ წარმომადგენლებს, კერძოდ, ზენონს, ქრიზიპოსს, პოსილოდინის და პანეტისის. „სტოიციზმი“ ძველ საბერძნეთში აღმოცენდა მონათმფლობელური წყობილების კრიზისთან დაკავშირებით. მან ადრე არსებული ფილოსოფიური და პოლიტიკურ-სამართლებრივ-შეხედულებებისაგან განსხვავებით კაცობრიობის ცხოვრებაში უპირველესად აღიარა ბედისწერა, ფატალიზმი, ადამიანთა ბუნებითი თანასწორობა, რელიგიური კოსმოპოლიტიზმი და ა. შ.

ძველი ბერძენი სტოიციელების მიერ წამოყენებულ იქნა ბუნებითი სამართლის მთელი რიგი ფატალისტური კონცეფციები და კოსმოპოლიტური თეორიები, რომლებიც მოგვიანებით რომაელმა სტოელებმა განავითარეს.

„სტოიციზმის“ საფუძვლის დამდებად მიჩნეულია ზენონი (ძვ. წ. აღრ-ის 280-205 წწ.) სტოიციზმის თანახმად სამყაროს მოვლენებზე ბედისწერა მბრძანებლობს, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ყოველივე არსებულის კანონს, ბუნებით კანონს, რომელსაც გააჩნია ღვთაებრივი ძალა და დანიშნულება. მისი მეშვეობით აღმოცენდება ადამიანთა საზოგადოება, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოს წარმოშობას უწყობს ხელს. ე. ი. მისი აზრით სახელმწიფო წარმოქმნილია ადამიანთა ბუნებრივი გაერთიანების ნიადაგზე და არა საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად. ბუნებითი კანონების უნივერსალურობისა და ადამიანთა ბუნებიდან გამომდინარე ზენონი ანვითარებს კოსმოპოლიტურ იდეებს, რომლის მიხედვითაც ადამიანები წარმოადგენენ ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს მოქალაქეებს (კოსმოპოლისი), რითაც ადამიანი მსოფლიო მოქალაქედ ცხადდება.

როგორც ძველი წყაროები გადმოგვცემენ ზენონმა პირველად ახსენა სიტყვა „მოვალეობა“ თავისი ფილოსოფიურ-სამართლებრივი მნიშვნელობით. „მოვალეობა ეს არის ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე მოქმედება. მოქმედებისას ერთნი ეთანხმებიან მას, მეო-

რენი წინააღმდეგნი არიან მისი, მესამენი არ იზიარებენ არც ერთს და არც მეორეს. მოვალეობასთან ჰარმონიაშია ის რასაც გონება გვკარნახობს, მაგალითად პატივი ვცეთ მშობლებს, ძმებს, სამშობლოს, დავეთმოთ მეგობრებს. მოვალეობის საწინააღმდეგოა ის რასაც გონება არ გვკარნახობს“. მოვალეობას ძველი ბერძენი სტოელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, ვინაიდან მათი შეხედულებით ადამიანის ცხოვრებას მხოლოდ მოვალეობანი განაპირობებენ, მათ მრავალი რიგი მოვალეობანი აკისრიათ ერთმანეთის, საზოგადოების, სახელმწიფოს, კანონების, ბუნების, და საერთოდ, სამყაროს წინაშე.

უნივერსალური ბუნებითი კანონისა და მსოფლიო სახელმწიფოს იდეის წინ წამოწევასთან ერთად ბერძენი სტოელების კრიტიკის ობიექტად იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული ინსტიტუტები: ოჯახი, ტაძრები, სასამართლოები, სკოლები, ვაჭრობა, ფული და ა. შ. ყოველივე ეს რა თქმა უნდა მათი მხრივ არსებული სახელმწიფოებრივი კანონებისა და ცხოვრების წესის უარყოფას ნიშნავს, თუმცა როგორც წყაროები ადასტურებენ სტოელები აღიარებენ გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმის უპირატესობას და ქვეყანაში შემოდებული პოზიტიური კანონებისადმი პატივისცემას და ამ შემთხვევაში ისინი სახელმწიფოებრივ წესრიგს და კანონებს განიხილავენ როგორც უნივერსალური კანონების პირდაპირ ასახვას ამქვეყნად.

პლატონისა და არისტოტელეს სამართლებრივი შეხედულებების გავლენასთან ერთად ბერძნულ სტოიციზმის ცალკეული წარმოდგენების შემოქმედება ეტყობა. თვალსაჩინო ბერძენი ისტორიკოსის პოლიბიოსის (ცხ. ძვ. წ. აღრ-ის 210-123 წწ.) ვრცელ ნაშრომს „რომის ისტორია“. თხზულებაში ავტორი იკვლევს რომის მსოფლიო იმპერიის წარმოშობის წინაპირობებს, იმ გარემოებებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებმაც ხელი შეუწვევს პატარა ქალაქ რომს გამხდარიყო უზარმაზარი იმპერიის ცენტრი. საკითხის ფილოსოფიურ და ისტორიულ ასპექტში განხილვისას პოლიბიოსი ორ მთავარ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას; პირველი ეს არის რომის ისტორიული ბედისწერა, როგორც კაცობრიობის ისტორიული პროცესის შინაგანი კანონზომიერების პირდაპირი შედეგი და მეორე – ბუნებითი კანონების უნივერსალურობის დადასტუ-

რება რომის იმპერიის მაგალითზე, რომელიც ნიშნავს საზოგადოების განვითარების ბუნებრივი პროცესის ნიადაგზე სახელმწიფოების წარმოშობას და მათი ფორმების ცვლილებას.

პირველ შემთხვევაში პოლიბიოსი ეყრდნობა „სტოიციზმის“ მიერ შემუშავებულ დებულებას ბედისწერის, ისტორიული ფაქტების როლის შესახებ, რომლის თანახმადაც ბედისწერა მალაღმას როგორც ბუნებით კანონებზე, ასევე საზოგადოებაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში პლატონისა და არისტოტელეს მაგალითზე პოლიბიოსი სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას უკავშირებს საზოგადოების ხანგრძლივი ისტორიული პროცესს, რომლის დროსაც სახელმწიფო მმართველობის ფორმები მუდმივ ცვლას განიცდიან.

თავი VI. ძველი რომაული სამართლის ფილოსოფია

როგორც ძველი რომის სამართლებრივი აზროვნების ისტორია ცხადყოფს ფილოსოფია აქ ძირითადად ვითრდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების დაპირისპირების ფონზე, რომლის დროსაც ქვეყანაში არსებული ყოველი სოციალური ფენისა თუ პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიურ წყაროდ ძველი ბერძნული ფილოსოფია და ძველ საბერძნეთში არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტები ჩანან. ძველი ბერძნული ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზრის გავლენა რომის სახელმწიფოზე კი უძველესი დროიდან იღებს სათავეს.

წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ ძვ. წ. აღრ.-ის V საუკუნის შუა ხანებისათვის რომიდან საბერძნეთში იქაური კანონმდებლობის გასაცნობად გაგზავნილ იქნა 10 კაციანი ჯგუფი, რომელმაც ყურადღებით შეისწავლა ძველი ბერძნული კანონები რომში ჩამოსვლის შემდეგ კი ბერძნული კანონმდებლობის გათვალისწინებით შექმნეს ძველი რომაული სამართლის შესანიშნავი ძეგლი „თორმეტი ტაბულის კანონი“. ძველ რომაულ მოაზროვნებებზე დიდი გავლენა იქონიეს ასევე დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს, სტოიციზმის წარმომადგენელთა შრომებმა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი რომაელი იურისტები სახელმწიფოსა და სამართლის დარგში თავიანთი ბერძენი წინამორბედების საქმის უბრალო განმგრძელებლებად როდი მოგვევლინენ, არამედ მათ მიერ შექმნილი იქნა მეცნიერების ცალკე სფერო — იურისპრუდენცია.

რომაელი იურისტების მიერ დაწვრილებით იქნა შესწავლილი იურიდიული მეცნიერების ცალკეული დარგები: სამოქალაქო სამართალი, კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი, ასევე მთელი რიგი სამართლებრივი ინსტიტუტები — თავიანთი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში რომაელმა იურისტებმა სამართლებრივი საქმიანობის მთელი ეპოქა შექმნეს, რომელიც იწყება ძვ. წ. აღრ.-ის VII საუკუნიდან და გრძელდება ახ. წ. აღრ.-ის 476 წლამდე რომის დაცემამდე.

თავდაპირველად სამართლის საკითხებით ძველ რომში რელიგიის მსახურები ქურუმები იყვნენ დაკავებულნი. რომის სამართლის რელიგიური გავლენისაგან განთავისუფლება დაკავშირებულია ვნეიუს ფლავიუსის სახელთან (ძვ. წ. აღრ.-ის 300 წ.), რომელმაც პირველად ფარულად გამოაქვეყნა რომის კანონებით გათვალისწინებული იურიდიულ ფორმულირებათა კრებული. ამ კრებულმა დასაბამი მისცა რომის სამართლის განვითარებას საერთო საწყისებზე და მას ფლავიუსის ცივილური სამართლი ეწოდა.

ძვ. წ. აღრ.-ის 253 წელს ტიბერიუს კორუნკანიუსმა, რომელსაც უმაღლესი პონტიფიკოსის თანამდებობა ეკავა თავისი მოწაფეების თანდასწრებით იწყო იურიდიული საკითხების განხილვა, რითაც საფუძველი დაედო იურიდიული მეცნიერების საჯარო სწავლებას რომში, ხოლო ძვ. წ. აღრ.-ის II საუკუნის დასაწყისისათვის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ სექსტიუს იულიუს პეტიმ გნეიუს ფლავიუსის კრებული შეავსო ახალი სასარჩელო ფორმულირებებით. მანვე გამოაქვეყნა ცალკე წიგნი, რომელშიც თორმეტი ტაბულის კანონები გააერთიანა რომაული იურისტების კომენტარებთან და სასარჩელო ფორმულირებებთან. ძვ. წ. აღრ.-ის II-I საუკუნეებში რომის სამართლის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა იურისტებმა მუციუს სცევოლამ, სერვიუს რუფმა, იულიანმა და ბევრმა სხვამ.

აღსანიშნავია, რომ რომის სამართლის განვითარება კლასიკური სახით მოდის ძვ. წ. აღრ.-ის I ახ. წ. აღრ.-ის III საუკუნეებზე. კლასიკური პერიოდის ცნობილ რომაელ იურისტებად მიჩნეულნი არიან გაიუსი პაველი, ულპიანე, პაპინიუსი, მოდესტინი. რომაელ იურისტებს განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდათ იმპერიის ხანის დასაწყისში, როდესაც რომის იმპერატორები ცდილობდნენ მოეპოვებინათ მხარდაჭერა იურისტებისაგან, რათა იურისპრუდენცია გამოეყენებინათ თავიანთი ინტერესებისათვის, სწორედ ამიტომაც მათ ცალკეულ იურისტებს მიანიჭეს სპეციალური უფლება იმპერატორთა სახელით გაეცათ სავალდებულო ძალის მქონე პასუხები სამართლებრივ საკითხებზე (რესპონდარე) სასამართლოებს ისინი უნდა მიეღოთ როგორც კანონის ტექსტი.

ახ. წ. აღრ.-ის III საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც რომის იმპერატორებმა თავიანთ ხელში მოაქციეს შეუზღუდავი და

ლაუფლება მათ დაიწყეს რომაელი იურისტების შევიწროება და იურისტებს ჩამოართვეს უფლება მათი სახელით გაეცათ პასუხები სამართლებრივი საკითხების ირგვლივ, თუმცა რომაელმა იურისტებმა ახალ პირობებშიც შეინარჩუნეს სათანადო ავტორიტეტი.

ძვ. რომში რომაელი იურისტების მიერ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა იურიდიული თხზულებები. რომლებიც მოგვიანებით საფუძველად დაედო ბიზანტიაში იმპერატორ იუსტინიანეს ინიციატივით შექმნილ ცნობილ კოდიფიკაციას (კორპუს იურის ცივილის), რომელიც 4 ნაწილისაგან შედგება: 1) ინსტიტუციები; 2) ნოველები; 3) დიგესტები; 4) იუსტინიანეს კოდექსი.

უნდა აღინიშნოს, რომ საკოდიფიკაციო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა იმ დროის სახელგანთქმული იურისტი ტრიბონიანი.

რომაელი იურისტების საქმიანობამ უდიდესი როლი შეასრულა შემდგომი პერიოდის სამართლებრივი აზრის განვითარებაში, რომელიც ძირითადად განპირობებულია რომის იურისპრუდენციის მაღალი სამართლებრივი დონით. რომელმა იურისტებმა თავიანთ ნაწარმოებებში შესანიშნავად ასახეს რომის სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სოციალურ-ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობა, რომელიც ძირითადად ვლინდება კერძო საკუთრების განვითარებასა და სამოქალაქო სამართლის სრულყოფაში, რესპუბლიკური მმართველობიდან იმპერიულ მმართველობაზე გადასვლაში და მთელი რიგი ობიექტური მიზეზებით განპირობებული მონათმფლობელური საზოგადოების გამოუვალ კრიზისში, რომელსაც თან დაერთო იმპერიაში ახალი მსოფლიო რელიგიის ქრისტიანობას აღმოცენება და მისი გაძლიერება.

აღსანიშნავია, რომ რომაელმა იურისტებმა პირველებმა დაყვეს სამართალი საჯარო და კერძო სამართლად, როგორც რომაელი იურისტი ულპიანე აცხადებს: „საჯარო სამართალი იცავს სახელმწიფოს საერთო ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი ცალკეული პირების ინტერესებს“. კერძო სამართალში თავის მხრივ მათ მოაქციეს ბუნებითი სამართალი (იუს ნატურალე), ხალხთა სამართალი (იუს გენტიუმ) და ცივილური სამართალი (იუს ცივილე). ბუნებით სამართალს რომაელი იურისტები იმ გავებით განიხილავდნენ როგორც ეს ესმოდათ ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს. ხალხთა სამართალს ისინი უწოდებდნენ იმ ნორმებს, რომელსაც ცალ-

კეული ხალხები იყენებდნენ საერთაშორისო ურთიერთობას მოწეს-რიგებისას, რაც შეეხება ცივილურ სამართალს იგივე კვირიტულ სამართალს რომელი იურისტები თეორიასა თუ პრაქტიკაში მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათი მტკიცებით მასში შედიოდა როგორც დწერილი ისე დაუწერიელი კანონები და მის წყაროდ განიხილებოდა ჩვეულებითი სამართალი, კანონი, პლების-ციტი, სენატის გადაწყვეტილება, იურისტების უფლება (რესპონდა-რე) პრეტორული სამართალი, პრინციპებისა და იმპერატორების დეკრეტები, მანდატები რესკრიპტები და კონსტიტუციები.

რომაელი იურისტების მოღვაწეობამ თავი იჩინა სამ ძირითად ფუნქციაშიც. 1. რესპონდარე — კერძო პირების იურიდიული კითხვებზე სავალდებულო ძალის მქონე პასუხების გაცემა. 2. კავერე — ცალკეული პირებისათვის სხვადასხვა კერძოსამართლებრივი აქტების შედგენა (ანდერძი, ნასყიდობის აქტი, გაცვლილობის აქტი და ა. შ.) 3. აგერე — ცალკეული პირებისათვის რჩევის მიცემა სარჩელის აღძვრისას თუ აღძრული საქმის წარმოებისას. ამ შემთხვევაში საფუძველს არაა მოკლებული მეცნიერთა აზრი რომ თავიანთი თეორიული თუ პრაქტიკული მოღვაწეობით რომაელმა იუსტიტებმა ერთგვარად სამართალის ახალი სახეს ჩაუყარეს საფუძველი, რომელიც ძველ რომში იწოდებოდა, როგორც „იურისტების სამართალი“, რომელიც მართალია არასოდეს არ გამოსულა კანონის როლში მაგრამ თავისთავში ყოველთვის ატარებდა სამართლიანობის იდეას, გამოდიოდა როგორც „სამართლიანი სამართალი (იუს აეგუმ).“

სამართლებრივი თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში რომაელი იურისტების როლი კარგად ესმის ულპიანეს, როდესაც აცხადებს, რომ „ჩვენ სამართლიანად გვიწოდეს ქურუმები, ვინაიდან ჩვენ ვიბრძვით სამართლიანობისათვის, ვაგლწნთ სიკეთისა და სიბოროტის არსს, უსამართლოს ვაცალკავებთ სამართლიანისაგან, აკრძალულისაგან ვანსხვავებთ ნებადართულს, რათა კეთილი საქმეები განხორციელდეს არა სასჯელის შიშის გზით, არამედ ჯილდოთი დაჯილდოების გზით, რითაც მივიღტვით ჭეშმარიტი ფილოსოფიისაკენ და არა სხვა რაიმესკენ“. მოცემულ სიტყვებში ამკარად ჩანს რომაელი იურისტრულენციის ფილოსოფიურ-სამარ-

თლებრივი აზრი, პრინციპები და დანიშნულება მოცემულ ისტორიულ ეპოქაში.

ძველი რომის ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორია წარმოუდგენელია მარკუს ტულიუს ციცერონის სახელის გარეშე (ცხ. ძვ. წ. აღრ.-ის 106-43 წწ.). როგორც ფილოსოფოსს, იურისტს და პოლიტიკოსს მას შექმნილი აქვს მრავალი ნაწარმოები ფილოსოფიის, ეთიკის, პოლიტიკისა და სამართლის სფეროში მაგრამ მისი უშუალო ფილოსოფიურ-სამართლებრივი შეხედულებები ძირითადად გადმოცემულია სამ ნაშრომში, ესენია „სახელმწიფოს შესახებ“, „კანონების შესახებ“, „ვალდებულებების შესახებ“ ასევე მის მიერ წარმოთქმულ ბევრ პოლიტიკურ და სასამართლო სიტყვებში.

თავის სამართლებრივ შეხედულებებში ციცერონი უპირატესად ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მოსაზრებებს ეყრდნობა, ეს იქნება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, სამართლის არსის პრობლემები, ხელისუფლების დანაწილების იდეა და ა. შ. სახელმწიფო ციცერონის აზრით წარმოიშობა ადამიანთა ბუნებრივი მისწრაფებათა მიადგზე — იცხოვრონ ერთად, რომლის დროსაც მათ საშუალება ეძლევათ უზრუნველყონ თავიანთი განმგებლობაში არსებული საკუთრების უსაფრთხოება და დაიცვან სამართლიანობა საზოგადოებაში. „სახელმწიფო ადამიანთა ჩვეულებრივი გაერთიანება როდია, არამედ ბევრი ადამიანის გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან თანხმობის ნიადაგზე, სამართლისა და ინტერესთა ერთიანობის საკითხში“.

ციცერონი სოკრატესაგან სესხულობს აზრს, რომ სახელმწიფოს მართვა ადამიანებისაგან მოითხოვს მეცნიერულ ცოდნასა და ხელოვნებას, რომლის დროსაც მხოლოდ განათლება, სიმდიდრე და სათნოება არაა საკმარისი, საჭიროა აგრეთვე დაუფლო პრაქტიკულ ცხოვრებაში მათი გამოყენების ხერხებს, ანუ პრაქტიკას, ხოლო სახელმწიფოს მართვა ადამიანთა საქმიანობის ყველაზე ურთულეს სფეროს განეკუთვნება, ბრძენი და სახელმწიფოს მართვის მცოდნე მოქალაქეების გაერშე ნებისმიერ „სახელმწიფო დაიღუპება, ისევე როგორც იღუპება ზომალდი, როცა მის მართავს მგზავრებისაგან შემთხვევითი წილისყრით დანიშნული მესაჭე“. გარდა ამისა აუცილებელია სახელმწიფოში არსებული ხელისუფლების,

„უფლებების, მოვალეობების და უფლებამოსილებების თანაბარზომიერი განაწილება იმისათვის რომ საკმარისი ხელისუფლება გააჩნდეთ მაგისტრატებს, საკმარისი გავლენა ადამიანებს და საკმარისი თავისუფლება ხალხს“.

ციცერონის თვალსაზრისით რომის სახელმწიფოში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ეკუთვნის მთელ რომაელ ხალხს. (ცხადია, აქ არ იგულისხმებიან მონები) ხოლო ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ეფექტიანად განსახორციელებლად აუცილებელია მისი დანაწილება სხვადასხვა ორგანოებს შორის, რომელთა ჩამოყალიბება და უფლებამოსილებების განსაზღვრა ასევე ხალხის ხელშია. სახელმწიფო ხელისუფლებას სხვადასხვა სახეები მოწოდებული არიან გააწონასწორონ ერთმანეთი, ამავდროულად მათი ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს. ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დანაწილდება ხალხსა, სენატსა და მაგისტრატებს შორის, რომლის დროსაც „ხელისუფლების ყველა სახე, ყველა იმპერიუმები, ყველა მმართველობა მთლიანად რომელი ხალხიდან უნდა გამომდინარეობდეს“. სენატს საკანონმდებლო, ხოლო მაგისტრატებს აღმასრულებელი ფუნქციები დაეკისრებათ.

ციცერონი იძლევა სამართლის მეტად საინტერესო ფილოსოფიურ დახასიათებას, რომლის დროსაც ანვითარებს თვისობრივად ახალ მოსაზრებას, იგი სამართალს და სამართლიანობას ერთიან კონტექსტში განიხილავს. მათ წყაროდ მიიჩნევს ბუნებას, რომელშიც იგულისხმება მთელი კოსმოსი, კაცობრიობის მთელი ფიზიკური და სოციალური გარემო, ადამიანთა საზოგადოება თავისი ყოველდღიური ყოფა ცხოვრებით. ბუნებაში ჩანერგილია უმაღლესი გონი, რომელსაც ღვთიური საწყისი გააჩნია და იგი იცავს ბუნებით სამართლიანობას დედამიწაზე. სამართლიანობა ბუნების მუდმივი, უცვლელი და ხელშეუხებელი თვისებაა.

რაც შეეხება უშუალოდ ბუნებით სამართალს იგი გამომდინარეობს ღვთაებრივი სამართლიდან და მას რა თქმა უნდა ვერ შეედრება ადამიანების მიერ შემოღებული დაწერილი სამართალი „რადგანაც ღვთაებრივი კანონის თანახმად არაფერი არ შეიძლება ბუნებაზე მაღლა იდგეს მთლიანად უნდა ვალიაროთ, რომ ბუნებისათვის დამახასიათებელია გონება“.

აქედან გამომდინარე ციცერონი მიუთითებს „ჭეშმარიტი კანონი ეს გონიერი მდგომარეობაა, რომელიც შეესაბამება ბუნებას, ვრცელდება ყველა ადამიანზე, მუდმივია და უცვლელი, მოუწოდებს მოვალეობის მოსახდელად, უნერგავს დანაშაულის ჩადენისადმი შიშს, რასაც უბრძანებს, უკრძალავს, მაგრამ ის როდესაც ეს არ არის საჭირო არ უბრძანებს პატიოსან ადამიანებს და უკრძალავს მათ ზემოქმედება მოახდინონ უპატიოსნებაზე ბრძანების ან აკრძალვის გზით. მოუწოდო ასეთი კანონის მთლიანად ან ნაწილობრივ შესაცვლელად — უზნეობაა, ნებადართული არაა რამდენადმე შეზღუდო მისი მოქმედება, მისი მთლიანად შეცვლა შეუძლებელია და ჩვენ არც სენატის დადგენილებით, არც ხალხის დადგენილებით ასეთი კანონისაგან განთავისუფლება არ შეგვიძლია“.

ბუნებითი სამართალი როგორც „ჭეშმარიტი კანონი“ ერთი და იგივეა ყოველთვის და ყველგან იგი ყველა ხალხზე თანაბრად მბრძანებლობს, მისი წყარო ღმერთია. ციცერონის აღიარებით „მთელი ბუნებას მართავს ნება, გონება, ხელისუფლება, აზრი, ბრძანება უკვდავი ღმერთებისა“. ბუნებითი სამართალი წარმოიშვა სახელმწიფოს და დაწერილ სამართალზე უფრო ადრე. სახელმწიფოებრივი კანონები წესდება ბუნებითი სამართლის მიერ და არა ხალხის გადაწყვეტილებებით. ციცერონის თანახმად „თუ სამართალი დადგენილია ხალხის ნება-სურვილით, წარჩინებულ ადამიანთა გადაწყვეტილებებით, მოსამართლეთა განაჩენებით, მაშინ იარსებებდა ყაჩაღობის უფლება, ყალბი ანდერძის წარდგენის უფლება, თუკი ყველა ეს უფლება ბრბოს მიერ კენჭისყრით იქნებოდა მოწონებული“.

ციცერონის განმარტებით სახელმწიფოებრივი კანონების სამართლიანი თუ უსამართლო ხასიათი ვლინდება მათი შესაბამისობა-სა თუ შეუსაბამისობაში ბუნების კანონებთან, ასევე არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების, ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებთან მიმართებაში. ბუნებამ მისცა ადამიანს უმაღლესი გონება შეასრულოს ის რაც შესასრულებელია და უკრძალავს საწინააღმდეგოს. ადამიანთა შეხებულებებში განმტკიცებული ეს აზრი კი სახელმწიფოებრივი კანონების შექმნაში ვლინდება.

ციცერონის აზრით „კანონი უნდა ვუწოდოთ იმ დებულებებს, რომლებიც წერილობითი ბრძანებით ან აკრძალვით განსაზღვრავენ

იმას, რაც საჭიროდ მიაჩნიათ“ კანონით დადგენილი სამართლიანობა მოქალაქეებმა აუცილებლად უნდა დაიცვან, არავის არა აქვს უფლება გვერდი აუაროს კანონებს „კანონის მოქმედების ქვეშ ყველა უნდა მოექცეს“. როგორც აქედან ჩანს დაწერილი სამართალს ადამიანებს ღმერთი უბოძებს ბუნებითი კანონების მეშვეობით და მათ ამ დაწერილი სამართლის მოთხოვნებს აუცილებლად დაცვა მოეთხოვებათ.

საყურადღებოა, რომ ციციერონი დაწერილ სამართალს რომაული იურისპრუდენციის გავლენით ორ ნაწილად ყოფს საჯარო და კერძო სამართლად. იგი ასევე აღიარებს ე. წ. „ხალხთა სამართლის“ არსებობასაც, რომელსაც ქმნიან სხვადასხვა ხალხების პოზიტიური სამართალი და საეთაშორისო ურთიერთობებში მოქმედი ბუნებითი ნორმები. ციციერონი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობაში მშვიდობიანობის დამყარების მომხრეა თუმცა არ გამორიცხავს ომის ფაქტორსაც. ომი მის მიერ დახასიათებულია როგორც სახელმწიფოს იძულებითი ნაბიჯი „არსებობს დავის გადაწყვეტის ორი საშუალება, ერთი — მოლაპარაკების გზით, მეორე — ძალით, ამასთან ერთად პირველი დამახასიათებელია ადამიანებისათვის, მეორე ველური მხეცებისათვის, მეორე საშუალებას უნდა მივმართოთ მაშინ, როცა პირველის გამოყენება შეუძლებელია“. ყოველგვარი ომი ორი სახისაა — სამართლიანი და უსამართლო. სამართლიანია ისეთი ომი, რომელსაც იწყებენ მოთხოვნათა წარმოდგენის შემდეგ. სამართლიანი ომის მიზეზია სახელმწიფოს დაცვის აუცილებლობა, ხოლო მიზანი მშვიდობის დამყარება.

ციციერონის თქმით აუცილებელია ომის პირობებში დაცული იქნეს საერთაშორისო სამართლის ნორმები, კერძოდ, დაუშვებელია ელჩების დაპატიმრება ან დახოცვა, მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება, ტყვეებისადმი ულმობელი მოპყრობა, ქალაქების, სოფლებისა და ტაძრების განადგურება და ა. შ. მისიანშებელია ისიც, რომ ციციერონი მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს რომის სახელმწიფოს მიერ წარმოებულ მრავალრიცხოვან დაპყრობით ომებს და მიაჩნია რომ სათანადო პირობებში მიზანშეწონილია სახელმწიფომ თავისი საზღვრების გაფართოების მიზნით ძალა გამოიყენოს მეზობელი ქვეყნების მიმართ.

ახ. წ. აღრ-ის I-II საუკუნეებში ძვ. რომში ძველი ბერძნული სტოიციზმის გავლენითა და თვით სახელმწიფოში შემქნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო აღმოცენდება ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი მიმართულება რომაული „სტოიციზმი“, რომლის წარმომადგენლებად გვევლინებიან ლუციუს სენეკა, ეპიქტეტი და მარკუს ავრელიუსი. ცხადია, რომელი „სტოიციზმი“ ძველი ბერძნული სტოიციზმის მიერ დამუშავებული ფილოსოფიურ-ეთიკური და პოლიტიკურ სამართლებრივი მოძღვრების განმავითარებლად გამოდიან, რომლის დროსაც ისინი უფრო აქტიურად იცავენ ფატალიზმის, პოლიტიკური პასიურობის, ადამიანის ინდივიდუალიზმისა და კოსმოპოლიზმის პრინციპებს.

რომაული სტოიციზმის ერთ-ერთი პირველ წარმომადგენელს ლუციუს სენეკას (ცხ. ახ. წ. აღრ.-ის 3-65 წწ.) ეკუთვნის ფილოსოფიის, პოლიტიკის, სამართლის, ეთიკის დარგში დაწერილი მრავალი შრომა, რომელთაგან გამოსაყოფია „მრისხანების შესახებ“, „მშვიდი ცხოვრების შესახებ“, „ბრძენთა მარადისობის შესახებ“, „გულმოწყალების შესახებ“. მასში ერთდროულად ჩანს ამქვეყნიური პესიმიზმი და უიმედობა, ჰუმანურობა და იდეალური ადამიანის დახასიათება, რელიგიური და პოლიტიკური კოსმოპოლიზმი, რომის იმპერატორთა ერთპიროვნული ხელისუფლების ქება-დიდება, ბედისწერის, ღვთიური გონისა და თვით სიკვდილის გაიდევლება, ადამიანის სულის და სხეული დაპირისპირება და ა. შ.

სენეკას შეხედულებებში ბედისწერა გამოდის ღვთიური სამართლის როლში (იგივე ბუნებითი სამართალი) ხოლო ღვთიური სულის ნაწილებად აღიარებულია ადამიანური გონი — ადამიანთა სხეულში მოცემული უმაღლესი სიკეთე-გონიერება. მისი მტკიცებით როგორც თავისუფალი ადამიანები ისე მონები ერთნაირად იყოფებიან ბედისწერის ღვთიური სამართლის გავლენის ქვეშ. ბედისწერა ადამიანებს ერთნაირად ათამაშებს. მან შეიძლება მონა თავისუფალი გახადოს, ხოლო თავისუფალი ადამიანი მონად აქციოს. „ბედისწერის კანონი ახორციელებს თავის სამართალს“ საზოგადოებაში და ამიტომაც ადამიანები თავიანთ ბედისწერას ბუნების კანონს უნდა მიენდონ და ღირსეულად გადაიტანონ ყოველგვარი უსიამოვნებანი.

„ბედისწერის კანონი“ როგორც ღვთიური სამართალი (ბუნებითი სამართალი) განსაზღვრავს სახელმწიფოების ბედსაც. მთელი სამყარო ეს ერთი სახელმწიფოა, რომლის მოქალაქეებადაც ბუნებითი კანონის თანახმად ყოველი ადამიანი ითვლება მიუხედავად იმისა აღიარებს იგი ამას თუ არა. რაც შეეხება ცალკეულ სახელმწიფოებს მათთან ადამიანთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა დაკავშირებული. სენეკას განმარტებით „ჩვენს წარმოდგენაში უნდა არსებობდეს ორი სახელმწიფო. ერთი, რომელიც შედგება ღმერთებისა და ადამიანებისაგან; მასში ჩვენი ყურადღება არ არის შეზღუდული ღედამიწის ამა თუ იმ კუთხით ჩვენ ამ სახელმწიფოს საზღვრებს ვზომავთ მზის მოძრაობით. მეორე ისაა, რომელსაც ჩვენ მიგვაკუთვნა შემთხვევითობამ. ეს მეორე შეიძლება იყოს ათენი ან კართაგენი, ან იგი შეიძლება უკავშირდებოდეს რომელიმე ქალაქს. იგი შეეხება არა ყველა ხალხს, არამედ მხოლოდ მათ ერთ განსაზღვრულ ჯგუფს. არიან ისეთი ხალხები, რომლებიც ერთი და იმავე დროს ემსახურებიან როგორც დიდ ასევე პატარა სახელმწიფოს, არიან ისეთებიც, რომლებმაც ემსახურებიან მხოლოდ დიდ სახელმწიფოს და არიან ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ პატარა სახელმწიფოს ემსახურებიან“.

უნდა ითქვას, რომ სენეკას ფილოსოფიურ-სამართლებრივი კოსმოპოლიზმი რომის იმპერიის დიდმყრობელური სახელმწიფოებრივი პოლიტიკას მიესადაგება, რომელიც არსებულ ხანაში სწორედ რომ მსოფლიო სახელმწიფოს წარმოადგენდა, როგორც ჩანს სენეკას თვალსაზრისით მისი დროის ადამიანები მსოფლიო სახელმწიფოს ანუ რომის იმპერიას უნდა ემსახურებოდნენ, რომელსაც ბუნებითმა კანონებმა, ბედისწერამ ღვთიური სიძლიერე მიანიჭა.

რომაელ სტოელთა შორის ყურადღებას იქცევს ეპიქტეტიც (ახ. წ. აღრ.-ის 50-140 წწ.) მის შეხედულებებში წინ არის წარმოწეული ბედისწერის, სოციალური უთანასწორობის, უსამართლობის, თავისუფლების, მონობის, მკაცრი სასჯელების საკითხები. ეპიქტეტეს აზრით ბედისწერა ადამიანებს წინასწარ განუსაზღვრავს გარკვეულ მოვალეობებს, რომელთა შესრულებაზე დამოკიდებული საზოგადოებაში და საერთოდ ბუნებაში არსებული წესრიგის შენარჩუნება „იფიქრე იმაზე, რომ შენ დრამის მსახიობი ხარ და უნდა შეასრულო როლი, რომელიც პოეტმა დაგაკისრა,

იქნება ეს დიდი თუ პატარა. შენზეა დამოკიდებული დაკისრებული როლის კარგად შესრულება, როლის არჩევა კი სხვისი საქმეა“. ცხადია ადამიანები იძულებულნი არიან იცხოვრონ თავიანთი ნების წინააღმდეგ, გააკეთონ ის რისი გაკეთებაც არ სურთ, მაგრამ ისინი დაინტერესებულნი არ უნდა იყონ გამოიკვლიონ ამის მიზეზები, უკეთესია დაემორჩილონ ბედს და ამ შემთხვევაში იგრძნობენ თავს თავისუფლებად. „თუ გინდა იცოდე თავისუფალია თუ არა ადამიანი, კარგად დაუკვირდი მას და უპირველეს ყოვლისა გაიგე რა სურს მას, და მას ისეთი რამე თუ სურს, რომლის მიღწევასაც ვერ შეძლებს იგი მონაა“ მიანიშნებს ეპიქტეტი.

საყურადღებოა, რომ ეპიქტეტე მონობას, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას საერთოდ უარყოფითად ახასიათებს. მისი შეგონებით „რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ, იგი სხვასაც არ უნდა უსურვო, შენ არ მოგწონს მონად ყოფნა, ნუ გადააქცევ მონად სხვას, როგორც სათნოება და ბოროტება ვერ გაძლებენ ერთად ისე თავისუფლება და მონობაც“. მიუხედავად მონობის ასეთი კრიტიკისა ეპიქტეტე ადამიანებს მოუწოდებს მოთმინებით აიტანონ ყოველგვარი უსამართლობა, ვინაიდან იგი უფრო სასახელოა, ვიდრე უსამართლობისადმი წინააღმდეგობის გაწევა.

რომაელი სტოიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენლად არის მიჩნეული მარკუს ავრელიუსიც (ცხ. ახ. წ. აღრ.-ის 121-180 წწ.) რომის იმპერატორი ახ. წ. აღრ.-ის 161-180 წლებში. დიდი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, რომლის თხზულებაში „ფიქრები“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბედისწერას, რელიგიას, სამართალს, ეთიკას და ა. შ.

ავრელიუსის მტკიცებით საზოგადოებრივი ცხოვრების, სამყაროს მოვლენების, თვით ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის ჭეშმარიტი მხარის დანახვა შეუძლებელია, ყოველივე საგანსა და მოვლენას უკუნი სიბნელე ფარავს, ყველა და ყველაფერზე ბატონობს ბედისწერა, ამიტომაც მიზანშეწონილია ადამიანმა უდრტვინველად აიტანოს ყოველგვარი ბოროტება და სიავე, ბოროტებას ნუ დაუბირისპირდება ბოროტებით ვინაიდან „მოდალადის დასჯის ყველაზე უკეთესი წესია: ნუ დაემსგავსები მას“. ავრელიუსის თქმით „მოიკვეთე ღრტვინვა ბოროტის გამო და მოიკვეთ თვით ბოროტსაც... იცხოვრე მშვიდად და უდრტვინველად თუნდაც ყველა შენი

მოყვასი ცილს გწამებდეს და გაყივნებდეს“. ამ შემთხვევაში ავრელიუსს თმენა, თავშეკავება, სიმშვიდე სამართლიანობას გამოვლინებად აქვს წარმოდგენილი, რომელსაც იწონებენ როგორც ამქვეყნიური მმართველნი, ისე ზეციური ღმერთები.

უნდა აღინიშნოს, რომ რომაელმა სტოიციზმმა I-II საუკუნეებში თავისი ფილოსოფიურ-სამართლებრივი იდეებით ერთგვარად მოუშადა საფუძვლები ამავე ხანებში კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ასპარეზზე აქტიურად გამოსულ ახალ რელიგიურ მოძღვრებას – ქრისტიანობას, რომელმაც თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა ძველი ბერძნული და რომაული სტოიციზმის მიერ შემუშავებული რელიგიური მონოთეიზმი და კოსმოპოლიზმი, ახალი ეთიკური ფილოსოფია და ბუნებით სამართლის იდეები.

ბიბლიოგრაფია

1. ვ. აბაშაძე – ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, ტომი I, თბილისი, 1975 წ.
2. მისივე – ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან ტომი II, თბილისი, 1977 წ.
3. მისივე – საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1989 წ.
4. გ. ინწკირველი – სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 1996 წ.
5. ი. დოლიძე – ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, 1971 წ.
6. ს. წერეთელი – ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ტომი I, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1973 წ.
7. ს. დანელია – ანტიკური ფილოსოფია სოკრატეს წინ, თბილისი, 1926 წ.
8. მისივე – სოკრატეს ფილოსოფია, თბილისი 1936 წ.
9. მ. გოგიბერიძე – რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი, 1972 წ.
10. პლუტარქე – რჩეული ბიოგრაფიები. ა. ურუშაძის თარგმანი, თბილისი, 1975 წ.
11. ქსენოფონტი – მოგონებები სოკრატეზე, ა. ურუშაძის თარგმანი, თბილისი, 1973 წ.
12. პლატონი – ნაღიმი, ბ. ბრეგვაძის თარგმანი, თბილისი, 1964 წ.
13. მარკუს ავრელიუსი – ფიქრები. ბ. ბრეგვაძის თარგმანი, თბილისი, 1972 წ.
14. В. С. Сергеев - Рабовладельческие общества. Москва, 1925 г.
15. А. В. Валлон - История рабства в античном мире, Москва, 1941 г.
16. В. И. Авдиев - История древнего Востока. Москва, 1953 г.
17. Р. Рубинштейн - Поучение Гераклеопольского царя своему Сыну "Вестник древней истории" № 2, Москва, 1950 г.
18. Хрестоматия по истории Древнего востока, Москва, 1968 г.
19. С. Н. Крамер - История Начинается в Шумере, Москва, 1965 г.

20. И. М. Волков - Закон Вавилонского царя хамураби. Москва, 1919 г.
21. Г. М. Бонгард - Левин, Г. Ф. Илин, Древняя Индия, Москва, 1969 г.
22. М. Гаи - История Индийской философии. Москва, 1968 г.
23. Древнекитайская философия, Москва, 1972 г.
24. В. В. Струве - Хрестоматия по истории древнего мира, Москва, 1950 г.
25. З. М. Черниловский - Итория Рабовладельческого Государства и права, Москва, 1959 г.
26. З. М. Черниловский - Всеобщая История Государства и права, Москва, 1959 г.
27. Политика Аристотеля, перевод с греческого С. А. Жебалова, Москва, 1911 г.
28. Платон - Избранные диалог, Москва, 1965 г.
29. А. К. Бергер - Политическая Мысль древнегреческий демократий, Москва, 1966 г.
30. С. А. Утченко - Цицерон и его время, Москва, 1973 г.
31. М. А. Дынык - Очерки истории философии Классической Греции, Москва, 1936 г.
32. Р. Виппер - Этические и религиозные воззрения сенеки, Журн. Вестник древней истории №1, Москва, 1948 г.
33. История политических учении под редакцией С. Ф. Кечекьяна и Г. И. Федкина, Москва, 1955 г.
34. История политических учении под редакцией К. А. Мокичева, Москва, 1965 г.
35. История политических и правовых учении под редакцией В. С. Нерсесянца, Москва, 1995 г.
36. Теория государства и права. Под редакции В. М. Корельского и В. Д. Перевалова, Москва, 2000 г.
37. В. С. Нерсесянц - Философия права, Москва, 2005 г.
38. Verdross A. Abendländische Rechtsphilosophie, Wien, 1963.
39. Kubes V. Grundfragen der, Wien, 1963.
40. Raufman A. Rechtsphilosophie im wandel. Stationen eines weges Wrankfurt a Main, 1972.
41. Brinkmann K. Lehrbuch der Rechtsphilosophie. Bonn, 1975.
42. Henkel H. Einführung in die Rechtsphilosophie: Grundlagen des Rechts München, 1964.

43. Luf G. Grundfragen der Rechtsphilosophie. 3 Auf. Wein, 1983.
44. Belda P. Derecho natural. Madrid. 1983.
45. Rode K. Gesehishte der europisehen Rechtsphilosophie. Düsseldorf, 1974.
46. Lippelius R. Reshtsphilosophie. München, 1982.

ს ა რ ჩ ე ბ ი

თავი I. სამართლის ფილოსოფიის საგანი, მეთოდი და სისტემა -----	3
თავი II. სამართლის არსი -----	18
თავი III. ინდივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალი -----	28
თავი IV. ძველი აღმოსავლური სამართლის ფილოსოფია -----	39
თავი V. ძველი ბერძნული სამართლის ფილოსოფია -----	49
თავი VI. ძველი რომაული სამართლის ფილოსოფია -----	73
ბიბლიოგრაფია -----	85

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge